

ქართულ ხელნაერთა აღწერილობა

(საქართველოს ეროვნული არქივის
ხელნაერთა ფონდი)

II

შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს:
ლიკა აბრალავამ, ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნიათ,
მაკა კირვალიძემ, ვერა შენგელიამ, მანანა ჭუმბურიძემ

თბილისი

2018

რედაქტორები:

ქეთევან ასათიანი
მიხეილ ქავთარია
დალი ჩიტუნაშვილი

შესავალი და საძიებლები დაურთო
ქეთევან ასათიანმა

კორექტორი:

მარიამ ჯანიკაშვილი

დამკაბადონებელი:

ვიოლა ტულუში

ნიგნში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Materials used in the book are preserved in the National Archives of Georgia

© ყველა უფლება დაცულია

© All rights reserved

ISBN 978-9941-

 საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia

www.justice.gov.ge



საქართველოს National
არქივები Archives of
სამინისტრო Georgia

www.archives.gov.ge

საქართველოს ეროვნულ არქივში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარე ხელნაწერთა აღწერილობის პროექტმა შედეგი გამოიღო: 2016 წელს გამოქვეყნდა აღწერილობის პირველი ტომი, რომელშიც პირველი 100 ხელნაწერი შევიდა. წინამდებარე გამოცემაში კი თავმოყრილია NN100-დან 200-მდე ხელნაწერების აღწერილობა.

აღწერილობის მეორე ტომის სრულიად გამორჩეული ნაწილია ის ხელნაწერები, რომლებიც სხვადასხვა დროს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში იქნა შეტანილი: ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი (1446/105) და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1446/103), ანბანდიდი სახარება (1446/107), ფსალმუნი (1446/171) და ნევმირებული საგალობლები – ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (1446/172).

მსოფლიო მემკვიდრეობის განსაკუთრებული ნიმუშია სახარების წინარეათონური თარგმანის შემცველი ანბანდიდი სახარება, ოთხთავი უმნიშვნელოვანესია როგორც ზოგადად ხელნაწერის ისტორიის შესწავლის, ისე სახარების ქართული თარგმანის არქეტიპის აღსადგენად. წინარეათონურ თარგმანს შეიცავს ასევე ფსალმუნის ფრაგმენტი (X), რომლის სხვა ნაწილებიც დაცულია საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ნევმირებული საგალობლები – ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი – მინიატურული ზომის, ნუსხურად ნაწერი ულამაზესი ხელნაწერია ქართული სანოტო ნიშნების დღეისათვის დაკარგული ტრადიციით. სამივე ხელნაწერი UNESCO-ში 2015 წელს შეიტანეს. მანამდე კი, 2013 წელს, UNESCO-მ მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ატლასი 1745 წლით თარიღდება, ხოლო „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – 1743-45, 1755 წლებით. ცნობილია, რომ ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში ვახუშტის გეოგრაფიული მემკვიდრეობა პირველი ნაშრომია, რომელიც საქართველოს სრულ გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ დახასიათებას გვაძლევს.

ცალკე აღნიშნვის ღირსია ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდში დაცული ავტოგრაფული ნუსხები. ვინრო პროფესიულ წრეებში კარგად არის ცნობილი ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „თალაი მასალის წიგნი“ ანუ ასტროლოგიური შინაარსის ტექსტი, რომელიც **მირზა აბდურიზა თავრიზელის** „აღმოსვლის კითხვის“ საფუძვლებზე არის შექმნილი. ორი ხელნაწერიდან ერთი თავიდან ბოლომდე ვახტანგ VI-ის გადაწერილია (1446/109), ხოლო მეორე (1446/108) უცნობი გადაწერის გადაწერული, თუმცა ვახტანგ მეფისავე ჩასწორებული. ეს ტექსტი ვახტანგს, სავარაუდოდ, სპარსეთში ყოფნისას უთარგმნია (1714-1715).

კოლექციის ამ ნაწილში დაცულია პოლიტიკური მოღვაწის, მოგზაურისა და პოეტის – გიორგი ავალიშვილის ორი ავტოგრაფული ნუსხა: „ვმაჲ ცოდვილისა, იამბიკოდ კატასკევილი“ – სასულიერო შინაარსის იამბიკოებით (1446/117) და იოანე მონყალის „ცხოვრება“ (1446/120).

საგანგებო ადგილი უჭირავს ბატონიშვილების – იოანეს, ბაგრატისა და დავითის მიერ გადაწერილ ხელნაწერებს (1446/118, 121, 122, 125...). ამათგან განსაკუთრებულია იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ცნობილი ნუსხა.

აღწერილობის მეორე ტომი ათონის მთაზე ქართველთა მრავალსაუკუნოვანი და საოცრად ნაყოფიერი მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის (XX საუკუნის პირველ მეოთხედი) შესწავლის ასპარეზსაც გვიძლის. 1902 წელს ათონზე საგანგებოდ იმოგზაურა ცნობილმა მეცნიერმა – ალექსანდრე ხახანაშვილმა. მისი თხოვნითა და მითითებით ადგილობრივმა ბერებმა ივირონში დაცული არაერთი ქართული ხელნაწერი გადმოწერეს. გადამწერები, ძირითადად, იყვნენ მამები: ალექსი ბაქრაძე, პიმენ ასათიანი (ლექსუმელი), ილია ფანცულაია და ა. შ. ქართველების ცხოვრება და კულტურული საქმიანობა ათონზე ბოლო წლებში კარგად ჩანს იმ ათიოდე ხელნაწერში, რომელთა აღწერილობები წინამდებარე ტომში მოხვდა (1446/174, 175, 176, 177, 181, 182, 183, 189, 190, 184, 195). ხელნაწერები გადაწერილია ივირონისა და წმიდა იოანე ღვთისმეტყველის (რომელიც მამა ბენედიქტე ქიტვილიშვილი დააარსა ათონზე XIX საუკუნის შუა წლებში) მონასტრებში, ასევე ივირონის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკვდერში.

განსაკუთრებით საინტერესოა ათონური წარმოშობის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები¹. მათ შორის კი გამორჩეულია ნუსხა, რომელიც შექმნილია ალექსანდრე ხახანაშვილის ათონზე ჩასვლამდე, მღვდელმონაზონ ბენედიქტე ქიტიშვილის მიერ. როგორც ცნობილია, 1821-1830 წლებში ათონი თურქებს ეჭირათ. ლაბუტ-ფაშას მეთაურობით შემოჭრილ თურქთა რაზმებს პირისპირ ერთეულები დახვდნენ. გადმოცემით, ამ ერთეულთა შორის ბენედიქტე ქიტიშვილი და ილარიონ ყანჩაველიც იყვნენ². სწორედ ამ მოვლენებს ეხმაურება ბენედიქტე ქიტიშვილის ხელნაწერისთვის შედარებით გვიან დართული მინაწერი: „დროსა „ჭყონია“ ფაშის შესლვისასა ლაშქრით ივერიის მონასტერში, ვინადგან მისის შიშისაგან სხვა არავინ მოწესე მღვდელმონაზონი ბერძენთაგანი აღარ იპოებოდა, მამა ვენედიქტე ამით ასრულებდა ლოცვას ბერძულს ენაზედ, ხოლო საიდუმლოს და ყოველს წესს ღვთისმსახურებისას ეკკლესიაში – ქართულს ენაზედ“ (194).

სასიამოვნო იყო რამდენიმე სიახლე, რომელიც ხელნაწერთა წინამდებარე აღწერილობაშია შესული: N1446/146 ხელნაწერში, რომელიც „მისტიკურ თეოლოგიას“ შეიცავს და საქართველოს კათალიკოსის ანტონ I-ის სიცოცხლეშია გადანერილი, რესტავრაციის დროს აღმოჩნდა ანტონ I-ის სრულიად უცნობი მინიატურა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენამდე კათალიკოსის მხოლოდ რამდენიმე და ისიც გვიანდელმა გამოსახულებამ მოაღწია, აღნიშნული მინიატურის გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამავე რიგის სიახლეებს მიეკუთვნება წმიდა მეფეების – დავითის, თამარისა და ვახტანგ გორგასლის დღემდე უცნობი მინიატურების გამოვლენაც. მართალია, ხელნაწერი 1808 წელსაა გადანერილი და საკმაოდ გვიანდელია, მაგრამ ამ სამ მეფეთაგან არც ერთის სხვა გამოსახულება ხელნაწერებში დღემდე არ დადასტურებულა.

აღწერილობის მეორე ტომში უხვად არის ჩართული საერო ლიტერატურა: ისტორიოგრაფია, მედიცინა, ფოლკლორი, მხატვრული ლიტერატურა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პოეზიის ნაწილი, ვინაიდან

¹ ამ ანდერძებზე ათონზე ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით საგანგებოდ იმუშავა ლევან მენაბდე. იხ. ლევან მენაბდე, ძველი მწერლობის კერები, 1980, გვ. 236-247.

² იქვე გვ. 236.

ცნობილ ავტორებთან ერთად აღწერილობებში არაერთი ისეთი ავტორის ლექსია შესული, რომლის შესახებაც მეცნიერთა ვიწრო წრემაც კი არაფერი იცის.

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს არამხოლოდ დარგის სპეციალისტებს, არამედ ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობით დაინტერესებულ მკითხველსაც.

მეორე ტომის მასალა აღწერეს:

ქეთევან ასათიანი: 107, 112, 137, 157, 159, 160, 164, 180, 181, 194, 200

თამარ გაბუნია: 102, 113, 114, 119, 120, 123, 126, 128, 131, 133, 139, 143, 152, 153, 154, 155, 165, 170, 175, 176, 177, 178, 182

მაკა კირვალიძე: 108, 109, 116, 117, 121, 127, 132, 136, 141, 144, 147, 149

ვერა შენგელია: 101, 106, 111, 118, 122, 124, 125, 129, 134, 138, 140, 142, 145, 150, 151, 156, 162, 163, 166, 167, 169, 179, 184, 185, 186, 187, 193, 197, 198, 199

მანანა ჭუმბურიძე: 103, 104, 105, 110, 115, 130, 135, 146, 148, 158, 161, 168, 174, 183

ლიკა აბრალავა: 171, 172, 173, 188, 189, 190, 191, 192, 195, 196, 198

განსაკუთრებული მადლობა:

ნინო ბადაშვილს, სოფიო ებილაშვილს, ნათია სურმანიძეს, თეა ქიმერიძეს, თამთა შონვაძეს, სალომე ქასაბიშვილს, ბესიკ ჯაჭვლიანს, მანანა ჯოხარიძეს, თეა ხარშილავას

კრებული [XVIII]

1446/101

ტიქნიკური აღწერილობა:

159 ფ. ცარიელი გვერდი – 1v, 159v; ზომები: ყდა – 332×218, ქალაღი – 328×210, ტექსტი – 250×142, სისქე – 30; სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 24/30, ქვედა – 50, მარცხენა – 29, მარჯვენა – 40; ქალაღი – ცისფერი, მელანი – შავი, ნითელი; მოყვითალო მუყაოს ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სათაურები, სტრიქონების აღრიცხვა და საზედაო გრაფემები სინგურით; სტრიქონების რაოდენობა – 26; აღრიცხვა – რვეულე-ბრივი, აღნიშნული მხედრული ასოებით რვეულის დასაწყისსა და დასასრულს, ასევე გვერდობრივი – აღნიშნული არაბული რიცხვებით; შეიმჩნევა ჭვირნიშანი; განკვეთილობის ნიშნები: **•, ♣, ♠**; [XVII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები; ხელნაწერი ეკუთვნოდა **დავით აღმაშენებლის ძის ძე მაჩაბელს** (1r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ალექსანდრე მაჩაბლისგან** სოფელ **ქურთიდან**.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **დღისა და ღამის გაბაასება: თქმული მეფის ერეკლეს ძის მეფე თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ, შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამის. ან წიგნსა ამას სწოდებოეს სავანე თქმულთა -**

ვით ჳელ-ვყო აღძრვად სიტყუათა, ვერ სიბრძნის ღირსმან

სწავლობით,

ვერცა ღრმად გამომეტყუჴლი, რიტორებრ ენამრავლობით ... (5r-78v).

შენიშვნები:

1. „აქა ისაკის შეწირვის ამბავი“ და „აქა ისრაელის ამბავი“, სულ 63 სტროფი არ არის შეტანილი ტექსტში (13v-14r).

2. ნაწარმოების ბოლო თავი – „აქა ლეილ-მაჯნურის ამბავი“ მხოლოდ სამი სტროფით არის შემორჩენილი (აკლია ოთხი სტროფი). აქვე ლურჯი მელნით შესრულებულია მინაწერი, რომელიც შემდეგს იუწყება: „სამწუხაროდ, „ლეილმაჯნურიანი“ დაკარგულა რეველუციის დროს. ამასთან, სხვა მრავალი ხელთნაწერი საბუთები ისტორიისთვის საყურადღებო დაიკარგა. **ა. მაჩაბელი**“ (78v).
3. მთელ ტექსტში საგანგებოდ არის დატოვებული ცარიელი ფურცლები (6v, 8r, 9r, 10r, 11r, 11v, 16v, 17v, 18v, 19v, 20v, 21r, 21v, 22r, 22v, 23v, 25r, 26r, 27r, 28r, 29v, 30r, 31r, 32r, 32v, 33r, 33v, 34r, 35v, 37v, 38r, 39r, 40v, 41r, 41v, 42r, 43r, 43v, 44v, 45v, 47v, 50v, 53v, 54r, 58v, 60r, 61r, 62r, 63r, 63v, 65r, 66v, 68r, 70v, 71r, 72v, 75r, 76v, 78r, 78v). პირველივე ცარიელ ადგილთან მინაწერია პასტით (იხ. შენიშვნ. 2): „ცარიელი ადგილები დასახატათ ყოფილა დატოვებული **ა. მაჩაბელი**“ (მხედრული, ზედა არშიაზე) (6v).

ბიბლიოგრაფია: თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 1-95.

2. **დავით გურამისშვილის ნათქვამი: ეო მეო -**

ეო, მეო, აქეთ მომწედეო,

რას მოგიტხრობ სიყვარულსა ყური მომიგდეო ... **(79r-81v)**.

შენიშვნა: გამოქვეყნებულ ვარიანტთან შედარებით წინამდებარე ხელნაწერის ტექსტს შიგადაშიგ აკლია სტროფები და უჩვენებს გარკვეულ ვარიანტულ სხვაობებს.

ბიბლიოგრაფია: ქართული მწერლობა, ტომი VII, თბილისი, 1989, გვ. 450-454.

3. **მათვე გურამოვის ნათქვამი: ეო, მეო, დავითს მივბაძეო -**

ეო, მეო, აქეთ მამხედეო

გამიგონე, რას გიამბობ, ყური მომიგდეო ... **(81v-82v)**.

წყდება: რადგან მამა ვარ, მემგზავსე, გულში დაიდეო,

ღვთის ძალასა განგებულებას სხვას ვერას მოხვდეო [...] **(82v)**.

4. **[იოანე შავთელი – „აბდულმესიანი“] -**

დასაწყისი: ... ანდობან მოგვმან, გრძნებითა მბოგვმან
მისნობით ჳელ-ყო ზავით ზლაპრობა,

ეშმაკს ევედრა, სული შევედრა
 მით ექმნა სრულად მათთან საგრობა ... (82ar-84r).

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია, იწყება 79-ე სტროფიდან.

ბიბლიოგრაფია: ჩვენი საუნჯე, ტომი II, თბილისი, 1960, გვ. 503-511.

5. **[თეიმურაზ I], სხვა ჯამი ლექსთა ამათ, სხვაგვარნი ლექსნი დაინ-
 ყებიან, რომელ არს შაირნი -**

ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან,
 შენ ხარ სავსება ყოველთა, რაც არის ქვეყანაშიგან... (84r-86r).

შენიშვნა: გამოცემაში ლექსის სათაურია: „სოფლის სამდურავი“.

ბიბლიოგრაფია: ჩვენი საუნჯე, შედგენილი ა. გვახარიას და ლ. მე-
 ნაბდის მიერ, ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, ტომი IV, თბილისი,
 1960, გვ. 93-96.

6. **ამბათქება (...) კვალად -**

არს კაცთა ტომი დიდებით მჯდომი, შორის ჰაერთა ცას სამყაროსა,
 ბეთლემს შობილსა ღვთად შემკობილსა ჰნებავს ქვესკნელსა არ
 დამყაროსა ... (86r-v).

7. **ანტონი კათალიკოსის თქმული ქართველ მეფის იესეს ძისა -**

აჭვირვებს ადენს ალებსა, აღმასი აელვებული,
 ბრწყინავს ბადრ ბაბილონურად ბაგითა ბრძნულად ბედული... (87r-v)

შენიშვნები: ტექსტის ბოლოს ცარიელ ადგილას ეტყობა მურის ბეჭ-
 დის კვალი (87v).

8. **ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონიისა და ყოვლისა აღ-
 მოსავლეთისა და დასავლეთისა ჩრდილოეთისა და ყოვლისა
 სამყრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთმეფისა. იტყვიან ძედ
 ყოფად მისა მაკედონიის მეფისა ფილიპპესად, არამედ არა არს
 ესრეთ და ცრუ არს ესე ყოველივე. არს იგი ძე ეგვიპტის მეფისა
 ნეფთალიმისა ფილიპპეს ცოლისა და დედოფლისა ალიმპიადეს
 მიერ შემთხვევითა მით, ესევეითარითა ვითარმედ - იყო მეფე ეგ-
 ვიპტესა ნეფთალიმ, მისნობისა და ვარსკვლავთმრიცხუჭლობისა
 ჯელოვნებითა განსწავლული ფრიად ... (89r-153r).**

ბიბლიოგრაფია: „ალექსანდრიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.

9. ყოვლად სამღუდელოს მროველ მიტროპოლიტის იონას მიერ თქმული გედეონოვისა, ოდეს საქართველოდამ წარვიდა და მოვლო საბერძნეთი და მოილოცა იეროსალიმი და მოვიდა როსიად და მუნ მიიცვალა მოსკოვსა მონასტერსა პოკროვისასა დაესაფლავა. საუკუნო იყავნ წსენება მისი – თიფლის აზიით და მოვლე პონტია ზღვით, ევროპ ბიზინტით, არხიპელაგ ნისებით ... (153v).

ბიბლიოგრაფია: კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 352-353.

10. ქება და დიდება წმიდისა და ერთარსისა სამემებისა(...) და მღუთაებისა ბუნებით განუყოფელისა, ხოლო გუამით განყოფილისა, კრებათგან დამტკიცებული: ლექსად თქმული, მეფეთ მეფის ღვთივგვირგვინოსნის თეიმურაზისაგან. ნეტარად იყოს წსენება მისი -

აღვალო პირი – სიბრძნე და მძკრი, ზესთა ძალისა ჩემისა მბობად, ღვთისათვის რამე ნათლად არ ღამე, უღრმესსა რასმე თქვენად მოთხრობად (154r-156r).

ბიბლიოგრაფია: თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ლექსი „შვიდთა კრებათათვის“, ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1933 წ., გვ. 161-167.

11. იესეს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავითის ჰრტოდ აღმოფურჩვნილისა, და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა და ღვთისმეტყველებისა მადლსა ღირს ქმნილსა, ღვთივგვირგვინოსნისა მეფეთმეფისა და თვთ წელმწიფის თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წმინდათ ქება ანბანზედ ლექსად თქმული -

„ადამ ვახსენოთ პირველად თვთ ღმერთმან შექმნა რომელი აბელ და სეით მოყვისითურთ, მთასა წმინდასა მდგომელი...“ (156r).
წყდება: და ფავსტი და ეფრემ მიჩვენებს სამოთხისა კარსა ღიასა, ქსენეფორე და პორფირი, პართენი, ჯერასიმე ქვაბსო (156r-157v).

ბიბლიოგრაფია: თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1933 წ. გვ. 145-149.

12. ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი – ღარიბი

ანო, აღმოვსთქვამ სიტყვასა, ცხელის ცრემლითა მტირალი,
ბანო, ბროლისა მიწნურსა დავგმობ მოუდვას ვინ ალი ... (158r)

წყდება: [...] და პარო პირმზეს რა მოვშორდი, გავწმი მით ვარ აღარ
ნელად [...] (158r).

შენიშვნა: ანბანთქების ბოლოს, მარჯვენა არშიაზე, მინანერია: „აკლ-
და“ (158r).

13. კულად ანბათქება სხვებრი -

ან, ამას ვტირი, ბან, ბნელსა მჯდომი, გან, გულთა მდულრად, დონ,
დადაგული ... (158v).

14. ანბანთქება -

აღვალს ბედსა გვართი **დავით, ედემს** ვრცელად ზის ჭე თხემსა ...
(158v).

15. ანბანთქება -

ადამ ბრალ გარე დებული, **ევას** ვერ ზევს ჭეთერსა თმენით ...
(158v).

16. ანბანქება -

ამისთვის ბაგე გავძარ დადებით, ესმეს ვის ზრდანი ჭეთურთის
თემსა ... (158v-159r).

17. ანბანთქება -

ამას ბრძენი გულ დგმით ერჩდეს, ვლტოლით ზმნიდეს ჭსრეთ
თქმულსა ... (159r).

18. ანბანთქება -

აღვძრავ ბაგეთა მოსადაგეთა, მცირედ რაც ძალმიცს ვიტყვი ენითა
... (159r).

მინანერები:

1. **მხედრული:** ესე ლექსების წიგნი ეკუთნის წასაკითხათ და თავშესაქცე-
ვრად ს. ქუ[რთა]ში მცხოვრებელს თავად **ალხაზის ძის ძეს, დავით მაჩა-
ბელს.** ვინც მოიპაროს და აღარ მოიტანოს, ჰკითხოს თვთ იესო ქრისტეს
[...]. როველმა, ამინ. 1874-ს წელსა 11.7. 1 დეკემბერსა დავსწერე მე თავ.
იაკოფ რუსიშვილმა (1r).

2. მხედრული: 1888-ს წ. მოვედი ს. ქურთაში ს. ლოლეთიდგან და მოვიყვანე ჩემი დისწული [...] ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი მღვდელმ[ა] იაკოვ [...] რუსიშვილმა თიბათვის 8-ს. მინაწერი არის ძალიან მკრთალი (80v, ქვედა არშია, ფანქარი, გვიანდელი ხელი).
3. შიგადაშიგ ტექსტისავე ხელით არის მინიშნებები მოსახატ ადგილებზე ან ტექსტის გაგრძელებაზე (9r, 10v, 63r).

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერის დანომვრისას მექანიკურად გამოტოვებულია ფურცელი 88, ხოლო 82 გამეორებულია ორჯერ.
2. წინ ერთვის: [სარჩევი, ანუ ზანდუკი] (2r-4v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 96-99.

რუსუდანიანი [XVII-XVIII]

1446/102

ტიქნიკური აღწერილობა:

433 ფ. ცარიელი ფურცლები – 7r, 431r, 433r, 434v; ზომები: ყდა – 295×210, ქალაღი – 285×210, ტექსტი – 230×155/250×165, სისქე – 110; სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 10/20, ქვედა – 23/25, მარცხენა – 17/29, მარჯვენა – 19/20. მასალა: ცისფერი და ღია ყავისფერი ქალაღი, მელანი – შავი, ყავისფერი, წითელი; ხელნაწერს აქვს მწვანე, კოლენკორგადაკრული მუყაოს ახალი ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სტრიქონების რაოდენობა – 19/20; აღრიცხვა – ფურცლობრივი და გვერდობრივი; იწყება გვერდობრივით ა-კა (ფფ. 1-11), ხოლო შემდეგ (გვ. 12-დან) გრძელდება ფურცლობრივი აღრიცხვით (ა-ტგ); აღრიცხვა ყოველთვის თანმიმდევრული არ არის, ფურცლების ნაწილი დაუნომრავია. აღრიცხვა აღნიშნულია მხედრული ასოებით, ძირითადად, ქვედა არშიებზე; განკვეთილობის ნიშნები: •, ♣, ❖; ხელნაწერი თავბოლონაკულია; გვიანდელი მფლობელი – **წერეთლის რძალი ქეთევანი** (430r); ხელნაწერი 5 სხვადასხვა ხელითაა გადანერილი: 1) 1r-9v; 76r-77v; 115r-118v; 231v-238v; 246r-252v; 280r-281v; 387r-392v. 2) 10r-75v; 78r-114v; 119r; 393r-424v; 426r-430r. 3) 15r-v (ფრაგმენტი). 4) 119v-231r; 239r-245v; 253r-279v; 282r-386v. 5) 425r-v; აქედან 15r-v ფრაგმენტი, რომლითაც ხელნაწერის ერთი ნაწილი არის შევსებული, უნდა იყოს **ქეთევან წერეთლის** ხელი; თარიღდება XVII-XVIII სს., დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები; შიგადაშიგ ახლავს ჩანახატები: ბატონიშვილი, მაცხოვრისკენ გაშვერილი თითით (ზედა ფორზაცი), სხვადასხვა ჩანახატი (432v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: პირველი დასაწყისი რუსუდანიანთა ამბავი, ცხოვრება, მისი დაბადება სიკუდილამდის, თუ ვითარ აღიზარდა, ანუ ვითარსა ქირსა და განსაცდელსა შთავარდა... (1r-5r).

თხზულება შემდეგი თავებისაგან შედგება:

1. აქა ქორწილი **მანუჩარისა და რუსუდანიისა** (5v-8r).
2. აქა წარსვლა **მანუჩარისა** (8r-11r).
3. აქა სევდისაგან და ტირილისაგან მწარედ გასულსა და ბნედილსა **რუსუდანს** მოპარეს და წაიყვანეს მისი სასურველი **როდენ** ქალი (11r-13r).
4. აქ მემატა სევდა სევდასა ზედა: **რუსუდანს** მისი პირმშო, სასურველი, საყვარელი შვილი **ფრიდონ** ნავიდა იგიცა მამასთან (13r-20r).

შენიშვნა: ტექსტში „სევდა სევდასა“ წერია ფორმით „სედა საგედ“.

5. აქ ანბის დასაწყისი ჳემნიფის **ხოტელ ხოსიმისა** ძისა მის ზავისა იყო ჩინეთისა ჳემნიფე (20r-22v).
6. აქა ჳელმნიფის შვილის – **ზავის** – ველად გაჭრა და გაღარიბება (22v-24v).
7. აქა ზავისაგან **ჩინეთისა** სამზღვართა და დაგდება და გველთა ომი (24v-30v).
8. აქა ჩინეთის ხემნიფის შვილის **მისრეთს** მოსვლა, მისრეთს ხელმნიფის შვილის **მისრის** გამთელება (30v-35r).
9. აქა **ზავისაგან** ვეშაპისა ომი და მორევნა მისი (35r-37r).
10. აქა კანჯრის ჳოგი ნახა **ზავ** (37r-38v).
11. აქა ჩინეთის ხელმნიფის შვილის **ზავისაგან ინდოეთს** მოსვლა და ბძანებითა ღმერთისათა წყლისა გამოჩენა (38v-43r).
12. აქა ჩინეთის ხელმნიფის შვილისაგან **უჩინმაჩინის** ქალაქად მოსვლა და ბილნის დევის სიკდილი (43r-47v).
13. აქა ქალისა შეყრა **ზავ** (47v-52r).
14. აქა ზღვათა მეფესთან წიგნის მიწერა და სამახარობლოს კაცის გაგზავნა და საქორწილოთ წვევა (52r-53r).
15. აქა ზღვათა მეფისაგან მამისა სისხლის საძებრად წამოსულა და მახარობლისა წინ დაახდომა და მისგან დიდი სიხარული და სამთა ჳელმნიფეთა ერთად შეყრა (53r-63r).
16. აქა **ზავისაგან** ინდოეთის მეფესთან წიგნის მიწერა და თავისის ამბის შეთლა (63r-65v).
17. აქა **ზავისაგან** წიგნის მიწერა **მისრეთის** თანა (65v-70r).
18. აქა **ზავისაგან მისრეთს** მისლა და ქორწილი (70r-72r).
19. აქა **ზავისაგან** მამასთან წიგნის მიწერა (72r-75r).
20. აქა მისრელის ჳელმნიფის **ზავის** გასტუმრება საშინაოდ (75r-81v).

21. აქა **ზავის** შინ მისვლა და ქორნილი (81v-83v).
22. აქა ქორნილი ორთავე ძეთა და ასულთა მეფეთასა და **ზავის** ხელმწიფედ დალოცვა (83v-86r).
23. აქა **ზავისაგან** თავისა ქალაქს მოსვლა და მამასა და დედასა და დათა გამასპინძლება (86r-87r).
24. აქა **ზავისაგან** დათა ქორნილი (87r-88v).
25. აქა მეჯლიში **მავრიდის**, **მისრისა** და **არზუთის** (88v-91v).
26. აქა მეჯლიში და ლხინი **მავრიდის** და **გორშარაბსა** და **არდუხის** (91v-93v).
27. აქა წასვლა **ზავისაგან** დევთა საომრად და **მისრის** და **გორშარაბს** შინა წასვლა (93v-101r).
28. აქა დიდი ომი **ზავის**, **მისრის** და **ნავშადურის**, **გორშაბის**, **ნასთურის**, **ბაყბაყდევის**, **ხაზარან დევის**, **შავის დევის** და **იაროს დევის** და **რაზმზან დევის** და მათთა ლაშქართა (101r-103r).
29. აქა **ზავისა** და **შავის დევის** ომი და **ბაყბაყდევის** ომი, **ნავშადურისა**, **ხაზარანისა**, **გორშარაბს** და **დაროზ დევის**, **ნასთურისა** და **რაზიმ დევის** და ომი ღთით მათგან **მორეენა** და **დავდვა გაქარვა** (103r-111r).
30. აქა ანდერძი **ჯელმწიფის ზავისა**. ნახეთ სიმუხანათე სოფლისა (111r-113v).
31. აქა სიკვდილი **ზავ** **ჯელმწიფისა** და **მთავრიდ** დედოფლისა. ნელულმცა ხარ, სიკვდილო (113v-114v).
32. აქა ტირილი და მოთქმა **მანუჩარ** **ჯელმწიფისაგან** მამისა (114v-115ar).
33. ამასთან უფროსი და იჯდა და ესრეთ უწერა: აქა ტირილი და მოთქმა **არზუთისა მისრეთის** დედოფლისა (115ar-v).
34. მერმე **არდუხ** იჯდა, ინდოეთის დედოფალი უმცროსი და ესრეთ ეწერა: აქა ტირილი და მოთქმა უმცროსის დის **არდუხისა** (115av-116v).
35. მერმე **მისრი** იჯდა, მისრეთის მეფე, მისი ძმად წოდებული საკუთარი **ზავისა**: აქა ტირილი მისრისა, მისრეთის მეფისა ქებით აღვსილისა (116v-117r).
36. მერმე **გორშაბ** იჯდა, ინდოეთის მეფე, შვენიერი **ჯელმწიფე**: აქა ტირილი და მოთქმა **გორშაბისა** (117r-v).
37. ამასთან იჯდა ზღვათ მეფე **ნავშადურ**, დიდი **ჯელმწიფე**, ძმა მავრედ დედოფლისა. აქა ტირილი და მოთქმა ზღვათ მეფის **ნავშადურისა** (117v-118r).
38. აქა **ნავშადურ** ზღვათ მეფე დედოფალსა **მავრიდს** მოსთქვამს (118r-v).

39. მასთან ზის **უჩინმაჩინის** ჯელმნიფე **ნასთურის** ძე **ჯერეთ** ყრმა. აქა ტირილი **ნასთურ** ჯელმნიფის ძისა, **ჯაბი** ჯელმნიფედ ვმობილისა (118v).
40. მაგრამ კიდევ ვახსენებ **მისჯის** და არცა დაუტეობ მისსა სჯაბათ (118v).
41. მისის საფლავის ქვაზედ ესრეთ ეწერა ანდერძი (118v-119v).
42. აქა ამბავი ხათაელთა ჯელმნიფისა **ტომერანისა** და ძისა მისისა **ჯიმშედისა**, კარი მეორე (120r-122v).
43. აქა დაბადება **ჯიმშედ** ჯელმნიფისა (122v-124r).
44. აქა **ჯიმშედ** დიკარგა(!) გრძნებისა კვერცხითა (124r-131r).
45. აქა **ჯიმშედისა** და აღმასის გველის ომი და ბძანებითა ღთისათა **ჯიმშედისაგან** მორევა (131r-133v).
46. აქა დევის ომი და **ჯიმშედისაგან** მის დევის სიკვდილი (133v-137v).
47. აქა **ჯიმშედისაგან** შავის ვეშაპის მოკვლა და მის უღრუბლოს მზის ბეფარის გამოყვანა (137v-142v).
48. აქა **ჯიმშედისა** და მისი სიმამრის ომი და **ჯიმშედის** გამარჯვება (142v-147v).
49. აქა დევის ქალაქში მისვლა **ჯიმშედისაგან** (147v-151r).
50. აქა **ჯიმშედ** დაიკარგა და ქაჯთა დედოფალი ნახა (151r-153r).
51. აქა **ჯიმშედისაგან** აღმასის ქალაქში მისვლა (153r-171r).
52. აქა მამასთან წიგნის მიწერა **ჯიმშედისაგან** (171r-174r).
53. აქა **ტომერან** ჯელმნიფისა და ძისა მისისა **ჯიმშედის** შეყრა (174r-175v).
54. აქა შინ ქორწილი **ჯიმშედისა** და მამისაგან ჯელმნიფედ დალოცვა (175v-181v).
55. აქა ანბავი ყვითლის ქალაქისა და ჯემნიფის **გოსტამისა** და ძისა მისისა **ხოსროსი**, კარი გ (182r-190v).
56. აქა ზღვათა მეფის ელჩის ნახვა ყვითლის ქალაქის ჯემნიფის **ნუშრევანისაგან** (190v-194r).
57. აქა დაბადება ჯემნიფიშვილისა **ხოსროსი** (194r-195v).
58. აქა ვეზირიშვილის მოსვლა ჯელმნიფესთან პირველი (195v-201v).
59. აქა **გომიშას** მოსვლა და **ქეთევანის** წიგნის მოტანა (201v-207v).
60. აქა ომი ყვითლის ქალაქის ჯელმნიფიშვილის **ხოსროსი** და ზღვათ მეფის შვილი **ბარზინისა** და **ხოსროსაგან** უღბუზის მოკულა (207v-208v).
61. აქა პირველი ომი **ხოსროსა** და **ბარზინისა** (208v-209r).

62. აქა მეორე ომი **ხოსროს** და **ბარზინისა** და **ხოსროსაგან ბარზინის** სიკუდილი (209r-210r).
63. აქა **ხოსროსაგან** არჯანგ დევის ომი და დევის სიკვდილი (210r-211v).
64. აქა დიდი ომი დევთა და **ხოსროსაგან** გამარჯვება (211v-213r).
65. აქა ხოსროსი და ქაქუთ დევის ომი და **ხოსროს** გამარჯვება და დევის სიკვდილი (213r-217r).
66. აქა კიბის გამოჩენა, **ხოსროსი** და **ქეთევანის** შეყრა (217r-225v).
67. აქა **ხოსროსაგან** მამისა დედის ნახვა მიპარვით (225v-228r).
68. აქა ქორწილი **ხოსროსი** და **ქეთევანისა**, დიდი ლხინი და მეჯლიში (228r-231v).
69. აქა **ზავისაგან** ვეშაპის მოკვლა და ვეშაპისაგან ძნელად დაჭრა და ჯელმნიფის შვილისაგან ფასკუნჯის მოყვანა და **ზავის** გამთელება (231v-232r).
70. კარი პირველი. დასაწყისი **ყაისარ ურუმის** ჯელმნიფისა **ყარამანისა** და ძისა მისისა **ყაისარისა** სასმენელად ამო და შვენიერი, რომელსა **ყაისარიანი** ეწოდების (232r-233v).
 აქა დედოფალი დაორსულდა და დიდი სიხარული შეიქმნა (233v-234r).
71. აქა დაბადება ჯელმნიფის შვილის **ყაისარისა** (234r-236v).
72. აქა **ყაისარისაგან** გამოსვლა გარეთ მიწის ქალაქისაგან (236v-237v).
73. აქა დედოფლისაგან თავის სასურველის შვილის **ყაისის** ნახვა (237v-238v).
74. აქა **ყაისისაგან** პირველი ბურთაობა (238v-241v).
75. აქა **ყაისარისაგან** ვეშაპის ომი და მოკვლა (241v-243r).
76. აქა ანდერძი **ყაისარისა** (243r-250r).
77. აქა სახლის უხუცისაგან **ყაისის** დალოცვა, **ფარუხმან** ქება შეასხა (250r-252r).
78. აქა **შერუქ** ჯემნიფისა და ყაისის შეყრა და ერთმანეთის ნახვა (252r-259v).
79. აქა ქორწილი **ყაისისა** და **შერუქ** მეფის ასულისა **ხორაშანისა** (259v-263r).
80. აქა ომი **ყაისარისა** და ჩრდილოეთის ჯელმნიფისა (263r-266r).
81. აქა **ყაისარისაგან** ჩრდილოეთის მეფის შეპყრობა (266r-269v).
82. აქა მაზმურ დევისა და **ყაისარის** ომი (269v-271r).
83. აქა დევის სიკვდილი **ყაისარისაგან** (271r-274r).
84. აქა **ყაისარისა** და მისთა მშობელთა შეყრა (274r-287r).

85. აქა ანბავი გლახათა ჴელმნიფისა **ნოდარისა** და ძისა მისისა **გვარჯასპისა**. კარი მეხუთე (287v-290v).
86. აქა ანდერძი **არჯასპი** ჴელმნიფისა (290v-295r).
87. აქა ბალში ლხინი ჴელმნიფისა (295r-296r).
88. დაბადება ჴელმნიფიშვილისა **გვარჯასპისა** (296r-301r).
89. აქა გივისაგან **გვარჯასპის** ნახვა (301r-305v).
90. აქა გაჭრა **გვარჯასპისა** (305v-306v).
91. [მწვანისა] გველის სიკვდილი **გვარჯასპისაგან** (306v-310r).
92. აქა ომი **გვარჯასპისა** და თეთრის გველის მოკვლა (310r-315v).
93. აქა **გვარჯასპისაგან** წითლის დევის მოკვლა (315v-319r).
94. აქა **გვარჯასპისაგან** შავის დევის მოკვლა (319r-320r).
95. აქა ლომის მოკვლა ჴელმნიფიშვილისაგან (320r-326v).
96. [აქა] **ზარიარის** ძიძის ანდერძი (326v-330r).
97. აქა დევთ ომი **გვარჯასპისაგან** (330r-331r).
98. [აქა] ვეშაპთა დაჯოცა **გვარჯასპისაგან**, დიდება ღმერთსა (331r-335v).
99. აქა **თუმანის** წამოყვანა **გვარჯასპისაგან** უქორნილოდ (335v-338r).
100. აქა **ფახფურ** მეფისაგან **გვარჯასპის** წიგნის მიწერა (338v-340r).
101. აქა თეთრს ქალაქში ქორნილი **გვარჯასპისა** (340r-342v).
102. აქა მწვანეს ქალაქში ქორნილი **გვარჯასპისა** (342v-347r).
103. აქა ხუთნი მეფენი შემეყარნენ **გვარჯასპის** (347r-356r).
104. აქა **გვარჯასპი** დედას შეეყარა (356r-357v).
105. აქა ჴელმნიფის **იბრეიმის** ამბავი. კარი მეექუთე (357v-366v).
106. აქა ამბავი ბერძენთ მეფის **კოსტასი**. კარი ზ (366v-370r).
107. [ანბავი **ამირყასუმისა**. კარი მერვე] (370r-376r).
108. აქა ამბავი **ღუშმაქამანაქის** ჴელმნიფის **გოსტამის** (376r-380r).
109. აქა ჴელმნიფის და **გოსტამის** ცხოვრება მისგან ანდერძის დანერა (380r-384r).
110. აქა თეთრის დევის სიკვდილი **გოსტამისაგან** (384r-387v).
111. აქა ვეშაპის მოკვლა **გოსტამისაგან** ძალითა ღვთისათა (387v-388r).
112. აქა **გოსტამისაგან** წითლის დევის სიკვდილი (388r-390r).
113. აქა **გოსტამისაგან** თავის თავის მოთქმა და დამბურის დაკვრა (390r-397v).
114. აქა **გოსტამისაგან** ჴელმნიფის შეყრა და ქორნილი (397v-401v).
115. აქა **შამესი** ჴელმნიფის **ბარნაოზის** ანბავი. კარი მეთე (401v-406r).
116. აქა წიგნი **ფრიდონისა** დედას თანა მიწერილი (406r-422r).

117. აქა **ფრიდონის** მოსვლა დედას თანა და მესამესა დღესა ჴელმწიფედ დალოცვა სრულად იმანელთაგან და **ფრიდონისა** გაჴელმწიფება (422r-424r).
118. ან აქა **რუსუდანის** სიკვდილი და მისთა მშობელთა მწარე დღე (424r-430r).

მინაწერი:

ყველა მინაწერი მხედრულია:

1. ღმერთო, ადღეგრძელე საქართუჴლოს მეფის სძალი, იმერეთის სალთხუცის – წერეთლის ასული **ქეთევან**, მემცხედრით და ძით თვისით **გრიგოლით** (1r, ტექსტის ზემოთ, წითელი მეღნიტით).
 2. საქართველოსა და სხვათა და სხვათა მეფის **გიორგის** სძალი, **იმერთ სალთხუცის, წერეთლის ზურაბის** ასული **ქეთევან** ვარ, რომელ ამაოდ სასმენელი ამბავი ესე თორმეტთა მეფეთა და ნათქვამი იბ ძმათა დისა თვისისა შესაქცევლად ვახლავარ, ვითარცა იმათ შუაქციეს და თვისი **რუსუდან**, ეგრეთ მე უგანათლებულესა **ქეთევანს**, ქორონიკონს უოე, რომელმაც ამავე წელს იქორწინა მეფის ძეს **იოანუხედ** და მიეცათ ძეცა **გრიგოლ** ქორონიკონს უოჴ (1790), წელსა ჩშია (1911). ღმერთმა მრავალჴამიერ ყოს“ (181v, სხვა ხელით ერთ-ერთი თავის – „აქა შინ ქორწილი **ჯიმშედისა** და მამისაგან ჴელმწიფედ დალოცვა – დასასრულს).
 3. **წერეთლის** ასულის, მეფის რძლის **ქეთევანის** ვარ (430r, ტექსტის ბოლოს **ქეთევანის** ხელით).
 4. ქ. ბულბულნი აღარა ჴმობენ ვარდსა: ნუ გაშლი მაის[ო], როს დაიბადა ჴვარეშან ბრწკალედ მზებრ გაივს[ო], მან განანათლა უკუნი მთვარის სინათლე დაივს[ო], ამა წიგნის ფალავანთა უმეტესია ყოვლის[ო] (430v).
- აქვე: ღმერთო, შეინყალე ცოდვილი **მ. საბინინი** 1881წ. (430v, სხვა ხელით).
5. საქართველოს მეფის ძის **იოანეს** ძე **გრიგოლ** დაიბადა იანვრის 24 წელსა (431v, სხვა ხელით).
 6. საქართველოს მეფის ძის **იოანეს** ძე **გრიგოლ** დაიბადა იანვრის 24, წელსა 1782 (431v, ცარიელ გვერდზე).

შენიშვნა: მოგვიანებით ნაუშლიათ 1782 და დაუნერიათ 1792.

7. წერეთლის ასულის, მეფის რძლის **ქეთევანის** (432r, მხედრული) (გამეორებულია რამდენჯერმე).
8. **ქეთევანის** ვარ (432r, თხზული ასოებით, მხედრული, გამეორებულია რამდენჯერმე).
აქვე თხზული ასოებით: ღმერთმან [...], ღმრთისმშობელს, ღმრთის-მშობელს.
9. ქ. წიგნი ვარ კარგი საკითხად ანბად ტკბილგასაგონი, მამაცებისა განწვრთნელი აბჯარ-ლახტის მოსაგონი, ვინცა ისმენს ამ ომთა, მათ წაუვათ მისკენ გონი, და ჯაბანთ კაცათ გაგონება, ეფხრინებათ თვისთვის ქონი (432r).
10. ღმერთო, ადღეგრძელე პატარძალი **ქეთევან**, მისი ძე **გრიგოლ** (432r).
11. პატარა **გრიგოლ** დაიბადა იანვრის კდ, ქორონიკონს უოჴ, მეორე წელიწადი გაუხდა იანვრის კდ, ქორონიკონს უ პ (1792), ქრისტეს აქეთ ჩლუბ (1792) (432r).
12. ქ. ღმერთმან გადღეგრძელოს, ჩვენ ჳელმწიფის რძალო, რომ ეს წიგნი გვათხოვე, ღმერთმან თქვენი მოწყალება ნუ მოგვაკლოს და ჩვენი თავი თქვენი ჭირის სანაცლო ქნას და ნურც თქვენი გული ამათზე განარისხოს და ესენიც თქვენს სამსახურში დახოცოს ღმერთმან (432v).
13. ქ. ღმერთო, ადღეგრძელე **ბატონისშვილი იოვანე** და მეუღლე მის **ქეთევან** და ძე მათი **გრიგოლ** (432v, სხვა ხელით).
14. მეფის რძალი **ქეთევან** (432v, მხედრული, თხზული ასოებით. აქვე იგივე ტექსტი გაშლილად).
15. რუსული: В этой рукописи четыреста тридцать пять (435) лист + один (I), приклеенный из [неких хроник исследования] (433v, სარჩევთან ხელმონერაა, რომელიც არ ირჩევა).
16. В сей рукописи четыреста тридцать пять (435 листов) + I, 1960 VII/27 (434r, სარჩევის ბოლოს).

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები: ხელნაწერს ახლავს შედარებით გვიანდელი მხედრულით გადაწერილი სარჩევი (433v-434r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 99-100.
2. ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბილისი, 1940.
3. რუსუდანიანი, საშ. საუკუნეთა ქართული ლიტ-რის ძეგლი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1957.
4. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბილისი, 1958.

აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1743-45, 1755

1446/103

ტექნიკური აღწერილობა:

372 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 2v, ფ.94¹, ფ.97¹, 109v, 130v, ფ.130¹, 136r, 137v, 138r, 139v, 140r, 141v, 142r, 143v, 144r, 145v, 168v, ფ.169; ზომები: ყდა – 416×170, ქალაღი – 403×158, ტექსტი – 388×130, სისქე: – 40; სტრიქონებს შორის მანძილი – 3; არშიები: ზედა – 10, ქვედა – 13, მარცხენა – 8; მარჯვენა – 28, მოყვითალო, ორად მოკეცილი, ვერჟერიანი ქალაღი; მელანი – შავი, წითელი. მასალა: მომწვანო ფერის მუყაოს ყდა, კიდეები გამაგრებული აქვს ტყავით; ყუაზე წარწერა ფრანგულ ენაზე, ოქროსფერი ასოებით: „WAKHOUSHT, HISTOIRE DE GEORGIE (ORIGINAL)“; ყდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის უნდა იყოს; დამწერლობის სახეობა – მხედრული; აქვს ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 51/52/53; **აღრიცხვა: სამი სხვადასხვა სახის; აქედან ორი დედნისეულია, ხოლო მესამე – შედარებით გვიანი პერიოდის: ა) ფურცლობრივი, მხედრულით – ყოველი ორად გაკეცილი ფურცლის პირველი გვერდის ქვედა არშიაზე. იწყება ა-თი (5r) და მთავრდება ე-თი (130r), არ ჩანს ე, ვ, იბ, ივ, კ, კა, კზ, კწ, ლზ, მწ; ორჯერ არის გამეორებული ლ, მ-დან მექანიკური ნახტომია მბ-ზე, ხოლო ლვ-ს ნაცვლად შეცდომით არის აღნიშნული ლგ; ბ) გვერდობრივი, არაბული რიცხვებით – ყოველი გვერდის ზედა მარჯვენა და მარცხენა არშიებზე; გვერდების აღრიცხვისას ჩავარდნილია შემდეგი ნომრები: 17-20, 26-29, 42-47, 93-96, 161-172, 205-208, 215-220, 234-237, 249-252, 283-290; გამეორებულია 40-41; კიდეების ჩამოჭრის გამო დედნისეული აღრიცხვა ხშირად დაკარგულია. ხელნაწერის თავფურცელსა და 168r-ზე დართულია სააზიო მუზეუმის ბეჭედი ორთავიანი არნივის გამოსახულებითა და შემდეგი წარწერით: „Печать Азиатского музея 1818 г.“; განკვეთილობის ნიშნები – •, ♣, ♠; ავტოგრაფი; ავტორი – ვახუშტი ბაგრატიონი; ხელნაწერის ძირითადი ნაწილი ვახუშტიმ დაასრულა 1745 წელს (6v), კინკლოსი დაასრულა 1755 წელს (166v); 1789 წლიდან გარკვეული პერიოდი ხელნაწერის მფლობელია დიმიტრი ბაგრატიონი (4v), შემდეგ კი – იმერეთის დედოფალი ანა. ანა დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ, კონსტანტინე ბატონიშვილმა, ვახუშტის ნაშრომები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადასცა.**

ხელნაწერი ეროვნულ არქივში შესულია 1925 წელს ლენინგრადის (დღეს სან-კტ-პეტერბურგის) სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

2013 წელს ხელნაწერი შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. [სომხით-საბარათიანოს სოფლების სია, ქართლ-კახეთის სოფლების სია თექვსმეტ სვეტად] (3r-4v).
2. ქ. მკითხველთათვის სიტყვა რაგსათვის არს შრომა ესე (5r-6v).
შენიშვნა: ამ თავის ბოლოს ტექსტისავე ხელით დართულია შემდეგი ანდერძი: „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩემე (1745), ქართულსა ულგ (1745), ოკდონბერს კ (20), მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეფოსა ქალაქსა მოსკოვის პრესნას“ (6v).
3. ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი (7r-10v).
4. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (11r-47v).
5. უწყებულება მკითხველთათვის (48r-49v).
6. აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა (50r-59v).
7. შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა (60r-79v).
8. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა (80r-
9. ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა (80r-94v). ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა (85r-94v).
10. აღწერა აწინდელის ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა (95r-97v).
11. აღწერა საჩინოთა ადგინებთა სამცხე-საათაბაგოსი (98r-102r). ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა (102r-109r).
12. აღწერა ეგრისის ქუეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა (110r-130r).
13. ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა (131r-135v, 136v-137r, 138v-139r, 140v-141r, 142v-143r, 144v-145r).

14. ანბანსა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი, სახელნი ადგილთა და ქუეყანათა და მეფეთა (146r-151v).

ახლავს შემდეგი ავტორისეული შენიშვნა: „აღსრულდა ჩვენ მიერ დიდებად ღვთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, უკუნისამდე, ამინ. თუმცა აღუსრულებელ არს დასასრულადმდე, არამედ თვითვეულად და მიზეზნი ბოროტებისა და კეთილობისად წარმოჩინებისად, ესევე ვაკმარენით. ვინადგან ამითიც იცნობებიან სრულიადი ქმნულებანი მეფეთა, მთავართა და მცირეთამდე. ხოლო ქრონიკონნი ქრისტესნი და ქართულნი, რომელი არს ხუთასიანი ამისთვის დავსხენით, რამეთუ ვინადგან **საქართველოსა** შინა უმეტესად ხმარობენ ხუთასიანს ქრონიკონსა, რათა ურწმუნებელმან ამას წიგნსა შინა წერილნი თუცა იხილონ სხვათა შინა რაიმენი ქრონიკონნი და მოიძიონ აქა, არღარა საჭიროდ ექმნათ და არცა უჭმდესთ გამოორიცხე[ა]ნი და სცნან ჭეშმარიტი და სიცბილნი ტყუილისა“ (151v).

15. დასაბამითგანი რომაული, დასაბამითგანი ქრონიკონი, ქრისტეს აქათ ქრონიკონი, ქართული ხუთასიანი, ინდიკტიონი (152r-157v).
16. კინკლოსი საუკუნოა ხუთას ოცდა თორმეტი წლის მოქცევაზე და კვალად იგივე იქმნების და ეს არს ქმნული ათას შვიდას ორმოცდა-თხუთმეტი წლიდამ მოყოლილი ... (158r-167v).

კინკლოსის ბოლოს დართულია შემდეგი ანდერძი:

ვქმენ საუკუნო კინკლოსი, **ა**წ ჯდება წარსან ეე გენი **ხ**უთასის უნ, მან და განი, **უ**ფლისა ჩინ, ღან, ნარენი, **შ**იგ ჴელთა მზისა მოქცევით, **ტ**ო მთვარის ცხრამეტს მიმდენი, და **ინ**დიკტით ათცამეტურით მე ზედნად კლიტის ბაჩვენი (აკროსტიქი „**ვახუშტი**“) (166v).

მინაწერები:

1. *De présent ouvrage en l'original autographe de l'histoire et de description de la Géorgie par Wakhoucht, fils naturel du roi Wakhtang VI, venu en Russie en 1724 (v. Bulletin scientifique IV, 329 et suiv., les preuves sur lesquelles se fonda l'opinion de son authenticité).*
1. *Des mains de l'auteur il passa dans celles d'un de les parents, le prince Dimitri Bagration, mort je crois à Moscou trente ou quarante ans et dont le nom se trouve sur les gandes du commencement.*

2. *Sefut ensuite cedé la reine Anna d'Imereth, morte en 1836, enterrée á Moscou dans l'église du Donskoi monastir.*
3. *Detzarévitch Constantiné, fils de la précédente, encore vivant á Moscou, en hérita ensuite et le céda á l'académie au mois décembre 1838.*

Des copis en sont nombreuses et plus ou moins differentes les unes des autres non seulement pour l'orthographe, mais à cause des additions qui y ont été faites (v. la copie du Musée asiatique écrite par Simon Tabidzé). Mais il en est une, la plus authentique de toutes, faite par ordre de la reine Anna elle-même en ... Cette copie, qui n'est pas tout à fait complète, se trouve également au Musée asiatique.

Enfin il n'existe qu'une copie authentique des cartes, faite à la même époque sur les originaux, qui fut acquité en 1838 par l'Académie. 22 février 1839. Brosset (1r, თავფურცელი, მარი ბროსეს ავტოგრაფი).

(თარგმანი: წინამდებარე ნაშრომი არის **ვახუშტის** ავტოგრაფი საქართველოს ისტორიისა და აღწერისა. იგი იყო **ვახტანგ VI**-ის უკანონო შვილი, რომელიც იმყოფებოდა **რუსეთში** 1724 წელს (იხ. *სამეცნიერო კრებული*, IV, 329 და შემდგომი. მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსაზრებას მისი ავტენტურობის შესახებ): 1. ავტორისგან ის გადადის მისი ერთ-ერთი ნათესავის, თავად **დიმიტრი ბაგრატიონის** კუთვნილებაში, რომელიც ვგონებ **მოსკოვში** გარდაიცვალა ოცდაათი თუ ორმოცი წლის წინ და რომლის სახელი ნახსენებია ნაშრომის თავფურცელში. 2. შემდეგ მისი მესაკუთრე ხდება იმერეთის **დედოფალი ანა**, რომელიც გარდაიცვალა 1836 წელს და დაკრძალულია **მოსკოვში**, **დონის** მონასტრის ეკლესიაში. 3. შემდგომში მისი მესაკუთრე ხდება ახლაც **მოსკოვში** მცხოვრები დედოფლის ვაჟი, უფლისწული **კონსტანტინე**, რომელმაც ნაშრომი 1838 წლის დეკემბერში აკადემიას გადასცა.

არსებობს მრავალი განსხვავებული ასლი (არა მარტო მართლწერის თვალსაზრისით, არამედ მრავალი მინაწერის გამო; იხ. სააზიო მუზეუმში დაცული **სიმონ ტაბიძის** მიერ შესრულებული ასლი); მათ შორის არსებობს ერთი შედარებით სრულყოფილი ასლი, შესრულებული დედოფალი **ანას** ბრძანებით ... წელს; ეს არასრული ასლიც ინახება აზიურ მუზეუმში.

და ბოლოს, არსებობს იმავე პერიოდში ორიგინალების მიხედვით შესრულებული რუკების ერთადერთი ავტენტური ასლი, რომელიც აკადემიამ 1838 წელს შეიძინა (22 თებერვალი 1839, **მ. ბროსე**).

2. კნიაზ **დიმიტრი ბაგრატიონისა** არის ეს „ქართლის ცხოვრება“ 1783 წლიდან (4v, მხედრული, სხვა ხელით).
3. ხელნაწერში გვხვდება რამდენიმე რუსული მინაწერი (36r, 38r).
4. В сей рукописи 4 листа и 373 страницы. СПб., 15-28, IX. 01 (ხელმოწერა), 169v

შენიშვნები:

1. თავფურცელზე დართული აქვს მხედრული ანბანი, ნაბეჭდი (1r).
2. XIX საუკუნის დასაწყისში ხელნაწერისთვის სააზიო მუზეუმში დაუმატებიათ ლურჯი ფერის ორი ფურცელი მინაწერით: „Mss. Georg. N2, a, ex, Museo asiatico academiae imp. Scient. Petropol“ (2r).
3. ხელნაწერში ჩანს ავტორის რედაქტორული მუშაობის კვალი: ადრინდელ ნაწერზე დანებებული ქალაქი ჩასწორებული ტექსტებით, გადაშლილი და თავიდან შეტანილი ცალკეული სიტყვები თუ წინადადებები, შენიშვნები, ჩამატებები (41v, 42r, 43r, 45v, 46r ...).
4. **დიმიტრი ბაგრატიონის** გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი იმერეთის ყოფილი დედოფლის – ანას – საკუთრება გახდა. 1910 წელს **ანა დედოფალი საქართველოდან რუსეთში** გაემგზავრა. მისი დაკვეთით ხელნაწერი გადაუწერია ოსე გაბაშვილს 1826 წელს. **ანა დედოფლის** გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა – **კონსტანტინე ბატონიშვილმა** – „აღწერის“ დედანიც და პირიც გადასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. მცირე ხნით ადრე მისგანვე შეიძინა აკადემიამ ვახუშტის 1745 წლის რუკების ასლები, რომლებიც **ანა დედოფლისავე** ბრძანებით გადაიღო **მაია ჩიქოვანმა** (გამოც. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 221. იხ. ბიბლიოგრაფია).

ზომბადი ბიბლიოგრაფია:

1. Description Géographique de la Géorgie par le Tsarévitch Wakhoucht publiée d'après L'Original Autographe par M. Brosset S.Pétersbourg, 1842.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, თფილისი, 1904 წ.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ.

4. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშვიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 100-101.
5. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997 წ. თბილისი.
6. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრი, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები, თბილისი, 2018, გვ. 54-73.

ისტორია გეორგიისა, ანუ ყოვლისა საქართველოდსა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაბრატიონისა, ქისა ვახტანგ მეფისა, 1808

1446/104

ტიქნიკური აღწერილობა:

435 ფ. ცარიელი ფურცლები – I-X, 1v, 2v, 3v, 4r-v, 196r-236v, 238r-256v, 342v-389v, 411v, 418v-421v, 423v-433r; ზომები: ყდა – 330×225; ქალაღდი – 340×207, განსხვავებული ფორმატის ქალაღდი – 206×164 (ფფ. 18-21, 61, 62), 201×128 (ფ. 237); ტექსტი – 238×140, განსხვავებული ფორმატის ქალაღდზე – 105×110 (ფფ. 18-21, 61, 62), 125×80 (ფ. 237); სისქე – 95; სტრიქონებს შორის მანდილი – 3; არშიები: ზედა – 29, ქვედა – 50, მარცხენა – 12, მარჯვენა – 40; მასალა: ცისფერი ქალაღდი, ორად მოკეცილი; მელანი – შავი და წითელი; საზედაო გრაფემების გასაფორმებლად – ცისფერი, მწვანე, ყავისფერი; ყდა – წითელი, ტყავის, რესტავრირებული, შევსებული შინდისფერი ტვიფრული ტყავით; დამწერლობის სახეობა – მხედრული, საზედაო გრაფემები – მთავრულით, სათაურები თხზული მთავრულით, ფერადი საღებავებით; სტრიქონების რაოდენობა (ძირითადად) – 30/31/32; აქვს გადამწერის ხელით შესრულებული გვერდობრივი აღრიცხვა (არაბული ციფრებით), ერთი გვერდი მეორდება (331), ნუმერაცია წყდება 369 გვ-ზე და გრძელდება 426-ზე, ისევ წყდება 598-ზე და გრძელდება 600-ზე, ნუმერაცია სრულდება 658 გვ-ზე (ბოლო ნაწერ ფურცელზე); გარდა ამისა, ხელნაწერს აქვს რვეულებრივი სათვალავიც (აღნიშნულია არაბული ციფრებითა და მხედრული ასოებით; აქვს ჭვირნიშანი.

ხელნაწერის ყდა გადაქეცილია, ყუა – დაზიანებული.

გაფორმება: დეკორირებულია სათაურები და საზედაო გრაფემები (5r). მინიატურები: ხელნაწერის ძირითადი ნაწილი მოხატულია შავი მელნით შესრულებული ალფგორიული შინაარსის ჩანახატებით, თავსამკაულებითა და ბოლოსამკაულებით – მითიური ცხოველები თუ ფრინველები, ანგელოზები, მცენარეული ორნამენტები, ორთავიანი არწივი (1r, 3r, 12v, 105r, 134v, 185r, 195v, 264v, 276r, 292v, 293r, 308v), აგრეთვე დამატებით ნაწილში – თაღოვანი თავსამკაულები და მცენარეული ბოლოსამკაული (412r, 414r-v, 415v, 416v,

418r); თავფურცელზე წარმოდგენილია ბაგრატიონთა გერბი ტრადიციული წარწერით: „ეფუცა უფალი **დავითს** ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ყო იგი ნაყოფთაგან“ (მხედრული, 2r). ხელნაწერის განსაკუთრებული შემკულობის ნაწილია საზედაო გრაფემები, რომლებშიც სამი ქართველი მეფის გამოსახულებაა ჩასმული: ა) **ვახტანგ გორგასალი** – საზედაო გრაფემა მ-ს მუცელში (36v), ბ) **დავით აღმაშენებელი** – საზედაო გრაფემა დ-ს მუცელში (57v), გ) **თამარ მეფე** – საზედაო გრაფემა დ-ს მუცელში (65r).

ძირითადი ტექსტი ნაწერია ერთი ხელით 5r-342r, 390r-418r, 422r-423r; კომენტარები და შენიშვნები შესრულებულია ტექსტისგან განსხვავებული ორი სხვადასხვა ხელით – დავით ბატონიშვილი: 15r, 16v-17v, 22r, 24r-26v, 57r; მეორე უცნობი გადამწერი: 23r, 56r, 157v-158r, 187r, 272r. ტექსტში ჩანს უცნობი მესამე გადამწერის როგორც ტექსტისგან, ისე კომენტარებისგან განსხვავებული ხელი: 3r, 72r, 237r-v, 422r.

შიგადაშიგ დასმულია რუსეთის სააზიო მუზეუმისა (1r, 418r) და პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკების (ზედა ყდის ფორზაცი, 1r, 258r, 344r, 390r) ბეჭდები. 1808 წელი, დათარიღების საფუძველი – ხელნაწერის თავფურცელზე დართული ინფორმაცია (3r).

გარკვეული პერიოდი ხელნაწერი **თეიმურაზ ბატონიშვილს** (1782-1846) ეკუთვნოდა (5r).

ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლენინგრადის (დღეს სანქტ-პეტერბურგის) სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ისტორია გეორგიისა, ანუ ყოვლისა საქართუჭლოჲსა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატიონისა, ძისა ვახტანგ მეფისა – ტომობა და ჰშთამომავლობა ქართუჭლთა ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა (5r).

„ისტორია“ შემდეგი თავებისგან შედგება:

1. ტომობა და ჰშთამომავლობა ქართუჭლთა (5r-12v).
2. აღწერა სამეფოჲსა საქართუჭლოჲსა (13r -105r).

„აღწერაში“ ჩართულია: კადუზიანების ისტორია, კვიროსისა და **ალექსანდრე მაკედონელის** ლაშქრობები კავკასიაში (18r-21v, და-

ვით ბატონიშვილის ხელით), ასევე ატენის სასწაულებრივი ჯვრის ისტორია (61r-62r, **დავით ბატონიშვილის ხელით**).

შენიშვნა: 1. დავით ბატონიშვილის კომენტარები:

ა. ა. ეს ნათესავთ შთამომავლობა სიცრუე არს. **იაფეთის** შვილებს არც ერთს არ რქმევიათ **ავანან**. **იაფეთის** შვილები იყვნენ შვიდნი: 1. **ლამერ**, 2. **მაგოგ**, 3. **მადიამ**, 4. **იოან**, 5. **ელისონ**, 6. **თობელ**, 7. **მოსოხ**, ხოლო ძენი ლამერისანი: 1. **ასქანას**, 2. **გიფათა** და **თორღამ** ანუ **თარგამოს**. ეს სამი შვილი იყო **ლამერისნი**. მასასადამე, ასე იქნება **ქართლოსის** შთამომავლობა: **იაფეთ** შვა **ლამერ**, **ლამერ** შვა **თორღამა**, **თორღამა** შვა **ქართლოს** (15r, ქვედა არშიაზე).

ბ. ხაზართა ერნი არის **ღინოვიის** აღწერასა შინა მოხსენებულნი, რომელიცა მან აღწერა ლუნთათვის, წინაპარნი აწინდელთა ყირღისთანი და მუნ გარემოთა, რომელნიცა მრავალგუარად, გინა მოსახლედ განიყოფიან, ვიზინტიელნი ისტორიკოსნი უწოდებენ მეფეთა ამათთა ხაყანად ანუ ხაღანად, ხოლო აზნაურთა პეხათ. ამათ შემწეობითა ბერძენთა ალაშენეს ქალაქი **სარკელათ** ნოდებული, რომელიცა ნიშნავს ბერძნულთა ენითა **ბელლოროდად** (ესე იგი თეთრი ქალაქი) ან ნოდებული **ბელგრადად** ანუ **ბელაგოროდად**, რომელსაცა თათარნი **სარიყალად** უწოდებენ (მეფის ძე **დავით**) (16v, მარცხენა არშიაზე).

გ. ხოლო შემდგომად დანთქმისა მენამულისა ზღვასა შინა, **ამენოჭისსა** ფარაოსსა იქმნა ძე მისი უხუცესი **სეზოსტრის** მეგიბტელთა ზედა მეფედ, ნელთა დასაბამითგან 2513, ხოლო შობადმედ ქრისტესსა 1491, ამან დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი ვიდრე **ინდოეთადმედ** და შემდგომად დაპყრობისა **ინდოეთისა** უკმოქცეული მუნით მოვიდა მუნით(!) ქვეყანასა ივერიელთასა, ამან შეიყვანა მფლობელობასა შინა თვისსა სრულიად **ივერია** და **კოლხიდა** და დასახლნა მუნ რაოდენნიმე ერნი **ეგიპტისანი** და შემდგომად სიკვდილისა **სეზოსტრესისა** კუალად განთავისუფლდენ ქართულებნი, მონებისაგან მეგვიპტელთასა და შევიდნენ ფლობასა ქუჭმე მცხეთელ მამასახლისისა (მეფის ძე **დავით**) (17r, ქვედა არშიაზე).

დ. ხოლო ოდეს **ნინ** მეფე **ასურეთისა** შეიპყრა ცოლმან მისმან **სემირამიდა** და მუნ პყრობილებასა შინა მოკუდა, იქმნა მეფედ ასურასტანელთა **ნელთა** 2789 ზედა და განძლიერდა ესრეთ, რომელ დაიპყრა ამან **ბაბილოვანი**, **ეთიოპია**, **ეგვიპტე** და სრულიად **აზია** ვიდრე **ინდოეთადმედ** და ეგრეთვე **სომხითი**, ამან შეიყვანა უღლისა ქუჭმე მონებისა თვისისა სრულიად **ივერია**. ხოლო შემდგომად სიკვდილისა ამის, ვინაჲთგან ძე მისი **ნინია** იყო კაცი მცონარე, მშუჭბი და მფუ-

ფუნებელი, ამად კუალად [განთავისუფლდა **ქართლი**] უღლისაგან ასურასტანელთასა (მეფის ძე **დავით**) (17r, მარჯვენა არშიაზე).

ე. ხოლო შევიდა რა **სემირამიდა** მათათა **კავკასიისათა** და მიინია ადგილსა **დალისტნად** წოდებულსა. მუნ იხილა სიმაღლე საშინელი აღსრული ერთისაგან კლდისა, რომელსაცა აქვნდა სიმაღლე ათშვიდმეტი სტადიონი, ანუ ხუთი ათას ხუთას რვა ფუტი. ბრძანა **სემირამიდამან** მოდგმად კლდესა მას ზედა კიბენი და მირჭმად პალონი და ესეთითა სახითა აღგზავნა მას ზედა ჴელოსანნი და გამოაკვეთინა მას ზედა სახეე თჳსი გარემოცული დარაჯათაგან (17r, ზედა არშიაზე).

ვ. წელთა დასაბამითგან 3369, ხოლო ქრისტეს მოსვლამდე 635, შემდგომად სიკვდილისა **ფრაოტ** მიდთა მეფისა, იქმნა მიდელთა ზედა მეფედ ძე მისი **ციაკსარ**. ესე იყო მხნე და ახოვანი. ჟამსა ამისსა გამოვიდეს სკვთნი გზით **მეოტის** ტბით, რომელთაცა წინა უძღოდა მათ მეფე მათი **მადიეს**; მოვიდნენ და შთამოსახლდენ ყოველსა **მცირესა აზიასა** შინა და **მიდასა, კოლხიდიასა** და **ივერი[ა]სა** შინა. ხოლო **ციაკსარ** ვინაჲთგან ვერ წინააღუდგა და იძლია მათგან, მივიდა და განამაგრა **წინევი** და ეპყრათ ამათ ადგილნი ესე, ვიდრე 28 წლამდე. ხოლო შეითქვენენ ყოველნი ესე მოსახლენი და თუთოეულთა მოსახლეთა დაათრვნეს მდგმურნი თჳსნი და მოსწყვდნეს და კუალად აღდგა მეფობა. ხოლო შემდგომად სიკუდილისა მის, იქმნა ძე მისი **ასტიახ** წელთა დასაბამითგან 3409, ამას უწოდებენ **დეიოკს** და **არფაკსადს**. ამან მისცა ასული თჳსი **კამბიზესს**, სპარსთა მეფესა, რომლისაგან იშვა სახელოანი მეფე სპარსთა **კიროზ**.

ხოლო წელსა 3410, ოდეს **ახემენ**, მამამან **კამბიზესისამან** განაცხადა თავი თჳსი სპარსთა მეფედ, ამად ხმობილი **სპანდიერ** ესე იგი დაბარებული მამისაგან თჳსისა **გუასტაბისასა**, უკუნ იქცა სპარსეთად, ხოლო სძლო რა მათ **კამბიზესს**, იგი იქმნა მეფედ სპარსთა (17v, მარცხენა და ქვედა არშიებზე).

ზ. წელთა დასაბამითგან 3468 **კვროს** ძემან **კამბიზესამან** შემდგომად სიკვდილისა მამისა თჳსისა, დაიპყრა ყოველი **სპარსეთი**. ამან გარდააგდო **ასტიახს**, პაპაჲ თჳსი ტახტით და ინოდაცა მიდელთა ზედა მეფედ და იპყრა **ბაბილოვანი** და სძლო მეფესა ლიდელთასა **კრეზს** და შეიპყრა იგი და წელსა 3468 მოვიდა **სომხითს**, დაიმორჩილა სრულიად **სომხითი** და მეფეი მათი. მუნით მოვიდა ივერიელთა ადგილთა შინა **ალვანს**. ამან მოხარკე ჰყო ყოველი **ივერია** და აღაშენა ქალაქი **ალვანდიასა** შინა სახელსა ზედა თჳსსა, რომელსაც უწოდა **კირაპოლად**, რომელიცა აწ იწოდების **შამახიად**. ხოლო შემდგომად სიკუდილისა ამის განთავისუფლდა **ქართლი** მონებისაგან სპარსთასა მით,

რამეთუ ძე მისი **კამბისეზ** წარვიდა მეგვიპტელთა ზედა და მუნ ადგილთა აქვნდა ბრძოლაჲ. ხოლო ჟამსა მას შინა იქმნა სპარსთა შორის აღრეულებაჲ მით, რამეთუ **სემირამიდის** ვინმე მოგუჲმან ალადგინა შფოთი და ინოდა სპარსთა მეფედ. **კამბის** წარემართა რა მას ზედა, წარმოელვარა ქარქაშით ჳმალი, დაეცა ფერხთა ზედა და მოკვდა მით.

წელთა დასაბამითგან 3483 სცნეს რა დიდებულთა სპარსეთისათა მცბიერებით მიღებაჲ ტახტისა სპარსეთისა მოგვისაგან, შეკრბენ და წარკუჭტეს მას თავი და გამოირჩიეს მეფედ თვისსა ზედა **დარიოზ**, **ძე ისტასპოვისა**, ხოლო ამან დაიპყრა ყოველი **აღმოსავლეთი** და მოხარკე ჰყო ყოველი **ივერია**. ხოლო ოდეს წარემართა **სკვთთა** ზედა, დაიძლია მათგან და შემდგომად ბერძენთაგან. კუალად განთავისუფლდა **ივერია** მონებისაგან სპარსთასა და უმეტეს მაშინ, ოდეს შემდგომად სიკვდილისა ამის ძე ამისის **ქსერქს** წარემართა მილიონითა მხედრობითა **საბერძნეთსა** ზედა, რომელსაცა სძლო **თერმოპილს**, ადგილსა წოდებულსა. **ლეონიდმან**, წინამძღვარმან ათინელთამან და **თემისტოკლემან**, ვიდრე **არტაქსერქს მემნონადმდე** (მეფის ძე **დავით**) (22r, ქვედა და მარჯვენა არშია).

თ. წელთა დასაბამითგან 3921, ოდეს **მიტრიდად ევპატრონმან**, მეფემან **პონტოჲსამან**, დაიპყრა **მცირე აზია** და მისწყვიდნა **პონტოასა** და **აზიასა** შინა მხედარნი რომთანი და შეიპყრა მხედართმძღვანი მათი **აკვილა** და შთაასხა პირსა გამდნარი ოქროჲ, რომელსაცა რქუა: ნუთუ ანცა ვერა განსძღეა?! ამან დაიპყრა სრულიად **ივერია** ამიერ-იმიერი და **კოლხიდა** და დაუტევა **კოლხიდას** განმგედ ყოველთა ივერიელთა ზედა ძე თჳსი **არიარატ**. ხოლო ოდეს იძლია რომაელთა კონსულისა **სილასაგან**, მაშინ ორგულ ექმნენ ამერ-იმერნი. მოვიდა **კოლხიდას**, შეიპყრა ძე თჳსი, რომელიცა ბრალეულ-ჰყო შფოთისა ამისთჳს და მოკლა იგი და დასაჯნა მეშფოთენი და კუალად შეიყვანა კუალად **ივერია** სრულიად მონებასა შინა თჳსსა, ვიდრე მოსვლადმდე **პომპე** დიდისა.

წელთა 3939, ხოლო ოდეს ალადგინა ბრძოლაჲ კუალად **მიტრიდატ** პირისპირ რომაელთა ზედა, მაშინ წარმოგზავნეს რომაელთა **პომპე** დიდი დასაპყრობელად ყოველთა **პონტოჲსა** და **აზიისა**. მოვიდა და დაიპყრა **სომხითი** და შეიყვანა მეფე მათი **ტიდრან** მონებასა ქუეშჳ, რომელთასა ხოლო მუნით წარმოემართა **მიტრიდატს** ერთად **პონტოელთა პომპეისაგან**, გარდაადგეს იგი ტახტით და ჰყვეს ნაცულად მისსა მეფედ თჳს ზედა ძე მისი **ჭარნაკ**, ხოლო **მიტრიდატ** შეივლტო რომელსამე ციხესა ცოლითურთ თჳსით და ვინათგან არლა სადა აქუნდა ნავთსაყუდელი, მიიღო სანამლავი ცოლითურთ და მოკვდა. მუნით მძღვეელი **პომპე** წარმოემართა ივერიელთა ზედა. მაშინ მე-

ფობდა **არშაკ**, ძე **მირვანისა**. ამას წარმოუგზავნა **პომპეიმ** დესპანი ზავისა[თვის], ხოლო ამანცა ჰყო ზავი მცბიერებითა და წარეგზავნა **პომპეის** ძლუნად სე[ლი] სრულიად და ოქროსაჲ, ხოლო განეშ[ორა] **პომპეი** და წარემართა **ალვანდისაკენ**. მაშინ იყო ალვანდელთა ზედა განმგედ **ოროდა** და შეითქვენენ ამერ-იმერ[ნი] და ალვანდელნი და ჰყვეს მხედართმძღვანად ძმაჲ ალვანდელთა [მე]ფისა **კოსის**, რომელთაცა ჰყვათ ორმოცი ათასი მხედარნი. იყვენენ კიდესა ზედა მტკვრისასა, ჰყვეს ბრძოლაჲ, იძლიენენ ივერიელნი რომაელთაგან, რომელიცა თვთ **პომპეიმ** მოკლა ხელითა თჳსითა მხედართმძღვანიცა მათი **კოსის** და შეივლტენენ მათათა კლდეთა და ქვაბთა შინა ყოველნი ივერიელნი. იხილა რა უძალოებაჲ თჳსი, განმგემან ალვანდელთამან **ოროდა** (ანუ **ორეზეს**), ჰყო **პომპეის** თანა ზავი. დაიზამთრეს რომაელთა კლდესა ზედა მტკვრისასა, ხოლო გაზაფხულს წარმოემართნენ **საქართველოსა** ზედა. დაიპყრო **პომპეიმ** სრულიად **საქართველოჲ**, გარდავლო მთაჲ **ლიხეთისა** და შთავიდა **იმერეთს** და დაიპყრა **იმერეთი** და **კოლხიდა**, შეიპყრა მეფე **კოლხიდისა ოლტაკ** და შთავიდა სადაცა მთავრდების მდინარე **ჭაზის** (ესე იგი **რკონისა**) ზღვასა შინა. მუნ შთაჯდა ნავთა შინა ზღვათა **პონტისასა** და წარვიდა, ხოლო შემდგომად სიკვდილისა **პომპეისა**, რომელსაცა აქვნდა ბრძოლაჲ პირისპირ აგვისტოს კეისრისა. კულად განთავისუფლდა **ქართლი** მონებისაგან რომაელთასა (მეფის ძე **დავით**) (24r, ქვედა და მარჯვენა არშია).

ი. ოდეს **ოტტავი ავგუსტ** და **ანტონი მარკ** იქმნენ გამორჩეულ, რომელთაგან ტრიუმვირად, მაშინ **ოტტავიანს** ხვდა წილად **ევროპაჲ**, ხოლო **ანტონის აზიაჲ**, წარვიდა **ანტონი** და დაიპყრა **ეგიპტე** და შეიყვანა უღელსა ქუჭშე რომაელთასა დედოფალი მათი **კლეოპატრა**, რომელსა ეტრფოცა და იყო მისგან შუჭბითა და განცხრომითა, ვინაჲთგან **კლეოპატრა** იყო ფრიად შუჭნიერ. ჟამსა მას **არტაბაზს**, მეფესა **სომეხთასა**, ძესა **ტიგრანისასა** აქვნდა ბრძოლაჲ პირისპირ მიდთა და პართთა და ოდეს ვერა წინააღუდგა იგი მათ, ჰსთხოვა შეწევნაჲ **ანტონის** ამ[ა]დ, რომელ მაშინ **სომხითი** იპოებოდა საფარველსა ქუჭშე რომაელთასა და ამისთვის **ანტონი** წარმოემართა შველად სომეხთა მეფისა სამეოციათასითა ქუჭვითითა და ათიათასითა ცხენოსანითა რომაელთა მხედრობითა მოვიდა **სასომხითს**. ამან მოუწოდა მეფესა **ადერკს** თჳს თანა და ოდეს **ადერკ** მეფემან არა ინება მოსვლა მის თანა, განრისხებულმან **ანტონი** წარგზავნა **ივერიასა** ზედა მხედრობანი რომთანი მხედართმძღვანებლობითა მოადგილისა თვისისა **კანდისათა**. პოვნა რა მეფემან, მოიკრიბნა იმერ-ამერნი, რანელნი, მოვაკანელნი და დარუბანდელნი. მოვიდნენ რომნიცა **სომხითს** და იკვეთნენ წელსა დასაბამითგან 3971 ქრისტე-

სადმდე 33 წლითა უწინარეს. იძლივნენ ქართველნი და თვით მეფე შეივლტო მათა კავკასიისათა, ხოლო რომთა დაიპყრეს ყოველი ივერია და კავკასია ვიდრე **დარუბანდადმდე** და მოხარკე ჰყვენეს, გარნა **ანტონი** იძლია რა პართთაგან, ვინაჲთგან სიყმილ რომაელთა მხედრობათა შორის და ნაცვლად სანოვაგისა, შეხვდათ მდელთა ესეგვარი, რომელმანცა მოჰსწყვიტნა მრავალნი მხედარნი რომთანი უმეტეს პირით საქმებითა და საჭურველიცა სამხედრო არა აქენდათ თჳს თანა და დაეტევა **ანტონ** შორს და იგიცა მოუღეს პართთა და შეიპყრეს **იარანალი რამელთ ღალ** და თვთ სომეხთა მეფეცა ორგულ ექმნა და ამაღ იძულებული **ანტონი** უკმოიქცა **პართით**, რომელსაცა წარენწყმდა ოციათასი ქვევითი და ოთხიათასი ცხენოსანი. მოვიდა რა **არეზის** მდინარესა, უკუნ აქცია საჭურველი თჳსი სომეხთა ზედან ჰსძლო მეფესა სომეხთასა, შეიპყრა და შებორკილა ჯაჭვითა ოქროსათა და ესრეთ მიიყვანა **ეგიპტეს კლეოპატრას** თანა. ჟამსა ამას წარმოიშვა ბრძოლა შორის **ანტონისა** და **ოკტავისა**. იძლია რა **ანტონი ოკტავისაგან**, განიგმირა თავი თვისი **ანტონი** მახვლითა და ამისთვის კუალად განთავისუფლდა **ქართლი** მონებისაგან რომაელთასა (25v-26v, ქვედა არშიებზე).

კ. წელთა ქრისტესით 1100 აღდგენ ღენუზელნი (რომელნიცა არიან ერნი იტალიისანი). მოვიდნენ და დაიპყრეს **ყირიმი**, რომელიცა მიუღეს 1297 ვენეციელთა, ხოლო კვალად მიუღეს ღენუზელთავე და განავრცეს ვაჭრობა თჳსი მუნით, ვიდრე პონტის ზღვადმდე ტრაპიზონით და მუნ გარემოებით ვიდრე კასპიის ზღვადმდე შემწეობითა ივერიელთათა მომძრახეობენ, რომელ დაღისტანთა შინა მყოფნი გენოელნი, და ქოფაჩნი იყვნენ მათგან დანარჩენნი, ხოლო წელთა 1474 განიდევნენ [...] თათართაგან და აღიღეს თათართა (57v, ქვედა არშიაზე).

ნ. ესე **დავით** იყო **დიმიტრის ალექსანდრეს** ძის შვილი (104v, ქვედა არშიაზე).

განსხვავებული (მეორე) ხელით: ა. ამან აღწერა ძველნი ისტორიანი საქართველოჲსა და ახალნიცა ამას ჟამსა (56r, მარცხენა არშიაზე).

ბ. ნანია ანუ **ნანიას არტემიზა**. კერპი ესე ჰყვათ სპარსთა პირველსა პატივისცემასა, ამასვე უწოდებენ **არტემიზას**. **დავით**. ხოლო **დანიან** ეწოდების **დანაჲს** (23r, ქვედა არშიაზე).

2. ტექსტში შემდეგი ლექსებია ჩართული:

ა. **თამარ** მეფამ რომ ხალიფაზედ გაიმარჯუა, ხახულისა ღმრთისმშობელს დროშაჲ და მანიაკი მიართუა. ეს იამბიკონი ხუთ მუხლნი ოცდახუთ ლექსად წარსაწერა (69v).

შენიშვნა: აქვე ახლავს მინაწერი გადამწერის ხელით: ეს იამბიკონი ვახუშტისაში არა ჰსწერია (69v).

ბ. ქმნილი არს ლექსი ესე მეფაჲსა **თამარისათჳს ანტონის** მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან პალკრატოვანისა მეფის ძისა – ამისაა ბროლსა ნათალსა აჴვ შუა ჰრეოდა ... (72r).

3. უწყებულეზა მკითხუჭლთათჳს (105r -109v).
4. აღწერა აწინდელისა **ქართლისა** საზღურით, მითით, მდინარეებით და ადგილთა და მის შინა შენებულეზთა (110r -134v).
5. შემდგომად განყოფისა სამეფ[ო]ჲსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთა-ვროდ და ქმნულეზა მეფეთა ქართლისათა ... (135r-185r).

შენიშვნა: კომენტარები მეორე (უცნობი) ხელით:

ა. ძე გოჩა სპასპეტისა, გოჩა – ძე გიორგისა, გიორგი – ძე კო(ს) ტანტინესი, კოსტანტინე – ძე ალექსანდრესი, ალექსანდრე.

აქვე: ქართლის მეფე კონსტანტინე, ძე გიორგი მეფისა, შვილიშვილი ალექსანდრე პირველის ერთობის მეფისა, ალექსანდრე – ძე კოსტანტინესი. 1. ალექსანდრე – ძე კოსტანტინესი. 2. ძე ალექსანდრესი – კოსტანტინე. 3. ძე კოსტანტინესი – გიორგი.

კოსტანტინე მეფიდამ ვახტანგ შანაოზამდის გამოვიდა წელი 187.

4. ძე გიორგისა გოჩა სპასპეტი. 5. ძე გოჩა სპასპეტისა ბაგრატი. 6. ბაგრატის ძე ვახტანგ. 7. ვახტანგის ძე თეიმურაზ მუხრანის ბატონი. 8. თეიმურაზ მუხრანის ბატონის ძე ვახტანგ ბახუტა შანავაზ (157v-158r, ქვედა არშია).

ბ. სრულიად სიცრუე არის, ესე წინა თქმული წარწერა ეგნატე მღივნის ძე გიორგისაგან დაწერილი ლამაზ ხელად არის, მაგრამ ამის მისტორავეს დაუწერია მითომ ლუარსაბ ბატონისშვილი როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის შვილი იყო, მაგრამ ტყუილ არს. როსტომ მეფეს შვილი სრულიად არა ჰყოლია. ეს ლუარსაბ სვიმონ მეფის ძმისწულ იყო, რომელიც რომ როსტომმა იშვილა, სპარსეთი-დამ მოიყვანა და ჰყვანდა მემკვიდრედ და ქართველებმა მოუკლეს თოფით ნადირობაშია (158r, მარჯვენა და ქვედა არშიები).

6. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა (185r -195v).

შენიშვნა: კომენტარი მეორე (უცნობი) გადამწერის ხელით: „ესე არა არს აღშენებულ ვახტანგ გორგასლისაგან, არამედ ძუჭლადგანვე-

დარჩომილი საკერპო არს და ქმნილი ეკკლესიად (187r, მარჯვენა არშიაზე).

7. აღწერა აწინდელისა **ოვსეთისა** ანუ **კავკასიათა** შინათა (257r-264v).

შენიშვნა: პირველი ფურცელი ნაწერია განსხვავებული ხელით.

8. აღწერა საჩინოთა ადგილებთა **სამცხე-სა[ა]თაბეგოსათა** (265r-276r).

შენიშვნა: კომენტარი მეორე (უცნობი) გადამწერის ხელით: **ანჩას** სვენებულის აჩნდის ხატი პირი ღმრთისას ეკკლესია სამღვდელმთავრო (272r, მარჯვენა არშიაზე, მცირე განმარტება იქ, სადაც ანჩის ტაძარია ნახსენები).

9. ცხოვრება **სამცხე-სა[ა]თაბეგოსი** (276r-292v).

10. აღწერა **ვერისის** ქუჭყანისა, ანუ **აფხაზეთისა**, ანუ **იმერეთისა** (293r-308v).

11. ცხოვრებ[ა] **ვერისისა**, **აფხაზეთისა** ანუ **იმერეთისა** (309r-342r).

12. ქრონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნთა ... (390r-407r).

შენიშვნა: სათაურში ასახელებს წყაროებს: ქრონიკები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნთა შინა და სახელნი წიგნებთა მათ არიან ესენი: იმერული ძუჭლი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური, 5 წიგნად განყოფილი, იმერული საძილისპირი (!) ეტრატისა, **ტლაშასძის** ამონერილი ქრონიკები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხუათა ქართლის ცხოვრებათა და ძველთა და ახალთა და სხუათა ჟამნ-კანონთაგან, სახარებათა და საეკლესიოთა წიგნთაგან და სპარსულთა ქრონიკათაგან ამონერილთა არიან ესენი და თათრული გუჭრდზედ უწერია.

13. სინქრონული სქემა ... (401v-411r)

14. სომხითის სოფლები ქრისტეანეთა და თათრისობა (412r-418v).

15. მოწველენი, რომელნი არიან ქართუელნი, რომელთამე არა უწოდდენ და დავიწყებიესთ და სხუა თურქთა ენათაგან მოუღიესთ მისდა ნაცულად (422r-v).

16. ნივთთ საწელნი ესენი არიან (423r).

შენიშვნა: წინ უძღვის: ხოლო ჯელ-ყოფილი წერად ისტორია ესე **გიორგიისა**, ანუ ყოვლისა **საქართუჭლოსა**, სამეუფოსა ქალაქსა **ტფილისსა** შინა იანურის ე დღესა წელსა ქრისტესა ჩყმ (1708), ხოლო ქრონიკოსა უჟვ (1312+496) (3r).

მინაწერები:

არაკალიგრაფიული ხელით (კომენტარების მესამე ხელი):

1. ქრისტესით 446 ამ წელს გამეფდა **ვახტანგ გორგასლანი**. 1832-446=1386 (ზედა ყდის ფორზაცი).
2. საქართველოს მეფის ძის **თეიმურაზის** არის (5r).
3. იხილე **თამარ** მეფის ცხოვრებაში. სოსლან **დავითის** შთამომავლობა. თუ სადა დავითის(?) წერილ არს (433v, მარჯვენა არშიაზე).
4. მთავარეპისკოპოსებისა და პატრიარქების სია:
 1. არხიეპისკოპოსი ანუ მთავარეპისკოპოსი **იოანე** წმიდის ნინოს დროს.
 2. მთავარეპისკოპოსი **იაკობ**, მირიან მეფის ძის – **ბაქარ** მეფის – დროს დასჯდა.
 3. **იობი ბაქარ** მეფის ძის – **მირდატ** მეფის მეფობაში.
 4. **ელია** მთავარეპისკოპოსი, **მირიან** მეფის შვილისშვილის – **რევის** ძის, **ტირდატ** მეფისა მოხუცებულს – დროს დასჯდა. ხოლო(?) შემდგომად სიკვდილისა **იობისსა** (ამას იტყვიან გვართა სომეხსა სომეხნიცა, მაშინ ჩვენის სარწმუნოებისანი იყვნეს).
 5. **სვიმეონ** მთავარეპისკოპოსი. ამან შემდგომად **ილიასასა**, ჟამსა მეფისა **ჭარასმანისა**, ძისა მეფისა **ვარაზ ბაკურისა** დასჯდა.
 6. **იოანე** მთავარეპისკოპოსი იქმნა შემდგომად **სვიმეონისა**, **მირდატის** მეფობასა შინა.
 7. **იოანე** გარდაიცვალა მეფობასა შინა **არჩილ** პირველისასა და დასჯდა **გრიგორი**.
 8. **გრიგორი** გარდაიცვალა ამისვე მეფობასა შინა **არჩილისასა** და იქმნა **ბასილ** მთავარეპისკოპოზი.
 9. **არჩილისავე** მეფობასა შინა გარდაიცვალა **ვასილ** და იქმნა მის წილ **მოზ** და მოგვი, რომელიცა იყო ცხადად ქრისტიანობისა მჩენებელი და დაფარვით მოგვი, დასწერდა წიგნთა ფრიად ბოროტთა.
 10. ესე გარდაყენეს და(!)
 11. მთავარეპისკოპოზი **მიხაილ**, რომელიცა დასვა დედოფალმან **სარან-დუხტ**, ასულმან სპარსთა მეფისამან, დედამან **ვახტანგ გორგასლანისამან**.

დანება კათოლიკოსთა:

1. **პეტრე**, პირველი კათოლიკოსი პატრიარხი, **ვახტანგ** დიდმა თვთ-მპყრობელმან მეფემან გორგასლან დასვა **მცხეთას**.
2. **სამოელ** მეორე კათოლიკოსი პირველ **პეტრეს** კათოლიკოსობაში იყო მთავარეპისკოპოსად და მეფისა **დაჩისა** ძისა **ვახტანგ** გორგასლანისა იქმნა კათოლიკოს-პატრიარხი.
3. კათოლიკოსი **თავჭეჩაგ**, შემდგომად სიკვდილისა სამუელსა ჟამსა **ჭარსმან** მეფისა **ბაკურ** მეფის შვილისა **დაჩი** მეფის შვილიშვილისასა.

ჩანართი: ესე იყო წმიდა კათოლიკოსი **აბრაჰამ**, რომელიცა პირველსა გაყრასა შინა სომეხთასა საკვირველად სიტყვას უგებდა სომეხთა და არა შეინწყნარა წვალეზაგანი და მიუწერა ეპისტოლე და ამხილა ოთომანი და უგუნურებითნი წვალეზანი მათნი, რომელიცა ირწმუნეს მათ წინააღმდეგად ღმრთის და ეკკლესიისა საღმრთოსა და შერიეს ორი ბუნება განხორციელებულისა სიტყვისა ღმრთისა.

4. კათოლიკოსი **ჩიგირმან (გერმანე)**, მასვე **ჭარსმან** მეფის დროს დასჯდა, შემდეგად **თაფეჩაგისა**.
5. კათოლიკოსი **საბა** დასჯდა შემდეგად **ჩიგირმანისა** მეფობასა შინა **ჭარსმან** მეექვსისა, რომელიცა იყო ძმისწულ **ჭარსმან** მეხუთისა, ზემოხსენებულისა.
6. მოვიდა ამა **ჭარსმან** მეექვსისა ჟამსავე **საბა** და დასვა **ევლეიოს (!)** კათოლ[ი]კოსი, რომლის დროსა მოვიდეს წმიდა ღმერთშემოსილნი 13 მამანი ასურეთით.

ჩანართი: კლემენტოს კათოლიკოსი.

7. **მაკარი** კათოლიკოს-პატრიარხი შემდგომად სიკუდილისა **ჭარსმანი-სა**, **ბაკურ** მესამემან ძემან **ჭარსმან** მეექვსისამან დასვა.
8. **სვიმეონ** მეორე, კათოლიკოს-პატრიარხი შემდეგად **მაკარისა**. ამანვე **ბაკურ** დასვა **გურამ** კურაპალატ დავითიან-პანკრატოვანი, ამან აკურთხა **მცხეთასა**.
9. **სამუელ**, მეორე კათოლიკოს-პატრიარხი, **გურამ** მეფისა კუროპალატისა დროს დასჯდა შემდეგად **სვიმეონისა**.
10. **სამუილ** მესამე სრულიად საქართველოს კათოლიკოსი. ამანვე, **გურამ** კურადპალატმა(!), დასვა შემდეგად **სამოილ** მეორისა.
11. **ბართლომეოსი**, კათოლიკოს-პატრიარხი, გურამ მეფის ძის **სტეფანოს** მთავრის დროს დასჯდა შემდეგად **სამოელისა**.

12. კათოლიკოს-პატრიარხი **იოანე** დასჯდა მთავრობასა შინა სრულიად საქართველოსა ზედა **ადრანასე** ხოსროიანისასა, შემდეგად **ბართლომესა**.
 13. **ბაბილა** იქმნა კათოლიკოს-პატრიარხი ამისავე **ადრანასეს** მთავრობასა შინა.
 14. **ბაბილა** გარდაიცვალა და **თაბორ** იქმნა კათოლიკოს-პატრიარხი და მასვე **ადრანასეს** მთავრობასა შინა.
 15. შემდგომად **თაბორისა** იყო წმიდა კათოლიკოსი **მიხაილ** სჯულსმდებელი. ესე იყო ჟამსა წმიდისა მოწამისა სრულიად ივერიის მეფის **არჩილ** მეორისასა გვართა ხოსროიანისა (434r, 433v).
5. **იოანე პეტრიწი** სწერს ესრეთ: ოდეს უკუნქცეულნი **ათინით** მოვედით **კოსტანტინეპოლად**, ამ ჟამს იქმნა ყოვლისა სოფლისა კრება მეოთხე **ქალკედონის** და განეყარნენ სომეხნი და ბერძენთა. ხოლო ვინათგან იყო **დავით** უძლეველ სომეხთა ნათესავთაგან, ჩვენგან განვიდა და შეუდგა სომეხთა მწვალებლობასა და განგვეშორა ჩვენ.
- აქვე ამავე ტექსტის რუსული თარგმანი: Иоан философ петрицц пишит: как мы назадь варотили изъ въ Афины и приехали въ Константинополь, тогожь время собрались святой селенй Собор Халкидонский. Тогоже время различились Армении отъ Гречискаго исповедени. А нко(?) тогоже верема Давидь философ (назеваемой отъ Ерманом непобедамый) родом Армянин, удалильса от совокупности наши и последовал по ихнаго Ереса (434v).
6. ჭლორენციის კრებაში წარგზავნეს **ჭყოდინდელი დანიილ** (434v).
 7. ანიან და ბანიან კერპნი, რომელნი აღმართა ძემან მეფისა პირველისა **ჭარნავაზისამან, საურმაგ** (435r).
 8. **კოსტანტინეპოლი** აიღეს თათართა ქორონიკონს ქართულად რმგ, ესე იგი 145/380, **სეხნია ჩხეიძის** წიგნისაგანა (ქორონიკონი 52 კა ნელს არს 1837-სა) (435r).
 9. 1837-380=ქრისტესით 1453. ამ ნელში აულიათ **კონსტანტინეპოლი** თათრებს (435r).
 10. წმიდა **არჩილ** მეორე, მეფე სრულიად **ივერიისა**, მოწამე, გამეფდა ნელსა ქრისტესით 668 (1836-668=1168) (435r).
 11. **შანავაზ ბახუტა** / გათათრებულნი **არჩილ** მესამეს ყეენმა დაარქვა **შაჰნაზარისან**. **სეხნია ჩხეიძის** ისტორიისგან: **ირაკლი ნაზარალიხან, იმანყულიხან დავით**

იესე მეფეს დაარქვეს **მუსტაფა** ფაშა

მაჰმადყულიხან კოსტანტინე

შანავაზხან მეორე / **გიორგი** მეფე მეთორმეტე, **ბახუტას** შვილი შანაოზის

შაჰყულიხან ლევან, ვახტანგ მეფის მამა

ალიყულიხან იასე მეფე – კათალიკოსის მამა

უსეინ ყულიხან – ვახტანგ მეფე. პირველი განმგებელყოფილ ქართლისა ესე არს **ვახტანგ** მეექვსე.

ბაქარ შანაოზ ნოდებულ იქმნა და გაათათრეს უსენათით სჯულისა მათსა მიჰყვა.

იბრეიმ ჭაშა იყო სარასკარი, რომელიც **ვახტანგ** და **ბაქარ** მოიწვიეს.

ბაქარს [...] სჯულისა მათისა მოსავი შეიქნა და უწოდეს **იბრეიმ ფაშა** (435r).

12. ეროგლავი ეგიპტური და ძველნი აღმოსავლური ქარაგმის გვარნი წყარონი. თელეგრაფი ნიშნებით საუბარი (435r).
13. В этой рукописи триста тринадцать (313) внизу перечень листов 1899 19/X (მარცხენა მხარეს სიგრძეზე, 435r).
14. მინაწერები ფანქრით: 1089 წ. გამეფდა **დავით აღმაშენებელი**“, „სომეხთ მქადაგებელი **ქართლს** მოსულა ... (435r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 101-110.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997 წ.

ვახუშტი გაბრატიონი, გეოგრაფიული ატლასი, 1745

1446/105

ტიქნიკური აღწერილობა:

21 ფ. ზომები: ყდა – 42×33, ქალაღი – 40.4×32, ტექსტი – 37.5×30.5, სისქე – 1.9; მასალა: ქალაღი, აკვარელი. მელანი – შავი; ყდა: მწვანე, ყდაზე ოქრომელნით შესრულებული წარწერა ფრანგულ ენაზე: ATLAS pur WAKHOUCHT (ვახუშტის ატლასი). ყუაზე ასევე ოქრომელნით ფრანგულად აწერია: Wakhoucht histor de GEOGRIER. Original. ATLAS (ვახუშტის საქართველოს ისტორია, ატლასი); დამწერლობის სახეობა - მხედრული; ყდაზე დაკრული აქვს ძველი ნომრები: 40, 159 და Msc. Georg. =35, ახლავს ასევე სანკტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმის წითელი ბეჭედი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლენინგრადის (დღეს სანკტ-პეტერბურგის) სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

2013 წელს ხელნაწერი შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ატლასი შედგება 19 რუკისა და 2 გენეალოგიური ტაბულისაგან:

№1

[კავკასია]

„რუკა მოხაზული საქართველოსი, ანუ ივერიისა, ანუ გიორგიისა, ახალს პოვნილს მენაკთა ზედა უფლისა ფელეს მიერსა, ორთა კასპიისა და შავს ზღვას შორისი, რომელი წილად ხვდათ რვათა ძმათა და მწენარებს თვითვეულად – ქართლოსისა, ეგროსისა, ბარდოსისა, მოვაკანისა, ჰეროსისა, ლეკოსისა და კავკასოსი. ხოლო შავოსისა არა სრულიად მწენარებს. ხოლო შვიდთა ძმათა წილი თვისითა მითია,

მდინარითა, ტბითა და საზღვრითა და საჩინოთა ადგილითა, ჩემ მიერ მეფის შვილი ვახუშტი“.

31.5×40.5

№2

[ქართლოსის წილი ქვეყანა]

„ქარტა ქართლოსის წილისა რომელიცა ძმათა თვისთა შორის ქვეყანა-ნი ხვდა და შემდგომად მისსა ცოლმან ქართლოსისამან განუყო ხუთთა ძეთა თვისთა: მცხეთოსს, გარდაბანოსს, გაჩიოს, კახოს, და კუხოსს. მერმე კვალად მცხეთოსს ხვედრი თვისი განუყო ძეთა თვისთა სამთა: უფლოსს, ოძრახოს და ჯავახოს; მოხაზული თვისითა ქალაქითა, მთითა, მდინარითა და საზღვრითა“.

30.5×40.5

№3

[მეფე ფარნავაზის დროინდელი ათი საერისთავო]

„რუკა საქართველოსი, ანუ იბერიისა, განყოფილი ათ საერისთავოდ, რომელი განყო პირველმან მეფემან ფარნაოზ და იყო ვიდრე ბაგრატიონამდე. ხოლო შემდგომად სხვარიგ. მოხაზული მის მიერვე“.

31.5×40.5

№4

„საქართველოსა ანუ ივერიის ჩამომავლობა ვისის ტომისგან არიან და მეფენი მათნი ბაგრატიონამდე წინამდებარის ხით იცნობების პირველის მეფის ფარნაოზი და ვიდრე მირიან ხოსროვანისამდე, მერმე მირიანი-დამ ბაგრატიონამდე.“

ეს ბაგრატიონთ ნათესავ-ჩამომავლობა ვიდრე თავისამდე გამოიღო მეფემან ვახტანგ ძემან ლევანისამან, რაჟამს განაგებდა ქართლს ბიძისა თვისისა გიორგი მეფისა წილ. არამედ არა იყო მას შინა ქართლოსიანთა და ხოსროვანთ ჩამომავლობა, არცა იმერთა და კახთა მეპატრონეთა, ხოლო ჩუენ ქარტისა ამისთვის ესრეთ ვჰყავთ, ვითარცა არს წინამდებარედ ამას შინავე ქორონიკონთა მონუმობითა ესრეთ ძალ-ვიდევით, არამედ თუ ვინმე ჯელ-ყოფს ქმნად სხვასა უმართლესად და უმჯობესად მონუმობითა და ქორონიკონითა, ჩვენ არა ვართ დამაყენებელნი, არცა

წინააღმდგომნი, ვინათგან სიმართლე და ჭეშმარიტება გზა არს სასუფეველისა ცათასა“.

31.4x40.4

№5

[კავკასია]

„რუკა საქართველოსი, ანუ ივერიისა, ანუ გიორგიისა, ახალს პოვნილს მენაკსა ზედა უფლის ფელეს მიერსა, რომელსა ზედა მჩენარებს თვითვეუღლად: ქართლი, კახეთი, რანი, ხოლო ან ყარაბაღი, მოვაკანი ხოლო ან შირვანი; დაღისტანი, კავკასი, ოსეთი, ხოლო ან ოსეთ და ჩერქეზი და სვანეთი, ეგრისი, შემდგომად აფხაზეთი და განყოფით ჯიქეთი. აფხაზი, ოდიში, გურია, იმერეთი, კვალად ქართლოსის წილი საათაბაგო და განყოფით სამცხე-ჯავახეთი. კოლა-არტანი და კლარჯეთი, სომხითი, ხოლო ან აზრუმი, ბასიანი, ყარსი და ერევნის ადგილნი, თვისის მთით, მდინარით, ტბით და სამზღვრით. მეფის შვილის ვახუშტითვე“.

31.5x40

№6

[ქართლი (ზოგადი)]

„ქარტა ანუ რუკა ქართლისა სრულიადისა გარემოსი, მისი იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ერევნის ადგილი და ყაზახი თვისისა საჩინო ადგილებითა“.

40.2x32

№7

[ქართლი (მტკვრის ჩრდილოეთით)]

„რუკა ქართლისა მტკვრის ჩდილოეთისა, რომელსა შინა მჩენარებს ჯეობანი და სადროშონი ორნი მუხრანისა და ზემო ქართლისა ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკთა ზედა. ჩემ მიერ მეფის შვილის ვახუშტისაგან“.

30.8x40.5

№8

[შიდა ქართლის სასარდლოები]

„ქარტა ანუ რუკა ძველად ზენა სოფლებისა ანუ **შიდა ქართლისა** და ან ნოდებული **ქართლისა**, რომელი განიყოფის ანინდელს ჟამსა შინა ოთხ სასპასპეტოთ: ნითელი არს მეფისა თანა მყოფი და მეოთხე სადროშოსი; მწვანე არს მესამე სასპასპეტო და მესამე სადროშო **მუხრანისა**; მემარცხენე ყვითელი არს მეორე სასპასპეტო და მემარჯვენე დროშა **ზემო ქართლისა ამილახორის** სასარდლო. ყოვლის საზღვრით თვისით დახაზულნი უმჯობესათ სხვათა აქა მოხაზულთა რუკათაგან, ხოლო ნიშნი ვითარცა სხვათა ქართათა შინა, ეგრეთვე აქაც იუნყე ხოლო აღმოსავლით აქუს **კახეთი**, სამწრით **საბარათიანო**, დასავლით **იმერეთი** და ჩდილოთ **ოსეთი**. რომლისა დვაღეთი ნითლით მოხაზულია“.

31.5×41

№9

[ქართლი (მცხეთოსის წილი)]

„ქარტა **ქართლისა** ანუ რუკა, რომელი წილად ხვდა უფლოსს ძესა **მცხეთოსისასა** და მან უწოდა წილხდომილსა თვისსა ზენა სოფლები, ანუ **შიდა ქართლი**; და შემდგომად მეფის **ფარნაოზისა** იქმნა ერთ საერისთოთ, რომელი აქუნდა სპასალარსა, ხოლო ან არს სამ სადროშოდ, რომელიცა არს ყვითლის ფერითა, ხოლო **ტაშისკარს** ზეითი ნითელი არს **სამცხისა**, წილი **ოდრახოსი** და **სურამალს** იქითი ნარინჯი არს წილი **ეგროსისა** და **მტკვარს** არაგვს იქითი ნითელი არს წილი **კახკუხოსისა**, რომელიცა ან უპყრავს მეფესა **ქართლისასა**. ნიშნი ამისნი ვითარცა სხვა ქარტასა შინა ეგრეთ იუნყე“.

31.5×40.5

№10

[ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოები (სომხით-საბარათიანო)]

„ქარტა ანუ რუკა ძველად ორის **საერისთოსი-ხუნანისა** და **სამშვილდისა**, ხოლო ანინდელს ჟამსა შინა პირველი სასპასპეტო მენინავე, რომელსა უწოდებენ **სომხით-საბარათიანოსასა**, მოხაზული სხვათა ქარტათაგან უუმჯობესათ ჯეობა-ჯეობად და ადგილად-ადგილათ, რომელსა აქუს აღმოსავლით **კახეთი** და **ყაზახი**, სამხრით **ერევანი**, დასავლით

ჯავახეთი და ჩდილოთ **ქართლი**. ხოლო ნიშნი იუნყე ვითარცა სხვათა რუკათა შინანი“.

31.8x40.4

№11

[გაჩიანი და გარდაბანი]

„ქარტა ანუ რუკა **ქართლოსის** წილისა, რომელი წილად ხვდათ ძეთა მისთა **გაჩიოს** და **გარდაბანოსს** და შემდგომად **ფარნაოზისაგან** იქმნა **გარდაბანის** წილი **ხუნანის** საერისთოთ ნარინჯფერით აქ დაფერებულნი, ხოლო წითლით დაფერებული წილი **გაჩიოსი** იქმნა **სამშვილდის** საერისთოთ, და ან არს ერთ სადროშოთ **საბარათიანოდ**, ხოლო მტკვარს იქითი წითელი არს **კუხოსის** წილი და **ყაიყული** წილი **სომხითისა**, რომელი უპყრავს **ქართლოს**. ყვითელი **ქართლის** წილი, ხოლო ნიშნი ესენი არიან“.

32x40.5

№12

[ქართლი (მტკვრის სამხრეთით)]

„ქარტა **ქართლისა** მტკვრის სამხრეთის კერძოსი, **სომხით-საბარათიანოსი** და მეფის დროშისა, რომელსა შინა მჩენარებს ჯეობანი თვითვეულად ახალს პოვნისს უფლის **ფელეს** მენაკსა ზედა. ჩემ მიერ მეფიშვილი **ვახუშტისაგან**“.

31.4x40.5

№13

[სომხით-საბარათიანო და საციციანო]

„ქარტა ანუ რუკა **საბარათიანო-სომხითისა** და **საციციანოსი**, ხეობა ალაგებად დახაზულ და ფერებულნი. ხოლო მთა, რომელ მწვანით არს უტყეო უსოფლობითა არიან და მათ შინა მთა თეთრი თოვლიანი მთა არს, ხოლო ნიშნი ამისნი ვითარცა სხვა ქარტებთა შინა ეგრეთვე ამისნიცა“.

31.4x40.4

№14

[კახეთი, კუხეთი და ჰერეთი]

„რუკა **კახეთისა, კუხეთისა** და **ჰერეთისა** და აწ მხოლოდ **კახეთად** ნოდებულისა, რომელსა უმდებარებს აღმოსავლით **დალისტანი**, სამხრით **ყარაბალი**, ჩდილოთ **ლილივ-ძურძუკი-ქისტი**. და დასავლით **ქართლი** და **ყაზახი**, ახალს უფლისა **ფელეს** პოვნილს მენაკთა ზედა თვისის ეკლესიით, მონასტრით, მთით, მდინარით, დაბნებით, ციხით; **დიდოთი, თუშეთით**, ჩემ მიერვე მეფიშვილის **ვახუშტისაგან**“.

40.3×31.5

№15

[ოსეთი]

„რუკა აწინდელისა **ოსეთისა**, რომელი არს შორის **კავკასიის** მთასა შინა და განიყოფების ესე **ოსეთი** ესრეთ: **ბასიანი, დიგორი**, და **დიგორი** განიყოფის **ჩერქესიძედ** და **ბადელიძედ**, და **დვალეთი** განიყოფის: **კასრისჯევად, უღელედ, ზრამაგისჯევად, ნარად, ზროგოდ, ზახად** და **თრუსოდ**. და ამას ზედვე არს ჯევი, რომელი რუკასა ამას ზედა მოხაზული არს კვალად **თაგაურად, ქურთაულად, ვალაგირად** ანუ **ფაიქომად** თვისთვისითა საზღვრითა, მდინარითა, ციხითა, სიმაგრითა, და დაბნებითა და მთებითა, რომლის აღმოსავლით არს ჯევი, დასავლით **სვანეთის კავკასი**, სამხრით **კავკასს** იქით **ქართლი** და **რაჭა**, ჩდილოთ **ჩერქეზის** მთა და მთას იქით **ჩერქეზი**“.

32×40.6

№16

[გენეალოგიური ტაბულა]

„ეს ბაგრატიონთ ნათესავ-ჩამომავლობა ადამიდამ ვიდრე თავისამდე გამოიღო მეფემან **ვახტანგ ლევანის ძემან**, რაჟამს განაგებდა **ქართლს** ბიძისა თვისის **გიორგი** მეფისა წილ, ხოლო **იმერთა** და **კახთა** მეპატრონეთა ნათესავ-ჩამომავლობა არა იყო მუნ და კუალადა ბრწყინვალე **გიორგის** ქვეით მეფენი შერევით და არა რიგოვანათ იყუნენ, ხოლო ჩუენ ესრეთ ქარტისა ამის და ამას შინა ქორანიკონთა მონმობითა ესრეთ ვჰყავით ვითარცა არს წინამდებარედ და უკუჭითუ ვის არა სთნდეს, მან სხვა ჯელ ყოს ქმნად, არამედ მონმობითა და მართლის გამომძებლობითა

ჯერ არს და არა ვართ ჩუენ დამაყენებელნი, ვინათგან სიმართლე გზა და ჭემმარიტება არს სასუფეველისა ცათასა“.

40.5x31.8

№17

[სამცხე-საათაბაგო]

„ქარტა ზემო ქართლისა და კლარჯეთისა ანუ სამცხე-საათაბაგოსი, რომელსა შინა მჩენარებენ ჯეობანი და ადგილნი სანახებიტა. ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკთა ზედა. მოხაზული მეფის შვილის ვახუშტისაგან თვისის ყოვლის საზღვრითა“.

31.8x40.4

№18

[იმერეთი, ოდიში და გურია]

„რუკა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, რომელს უმდებარებს აღმოსავლით ქართლი, დასავლით შავი ზღვა, სამჯრით სამცხე, ჩდილოთ კავკასს იქით ჩერქეზი და მჩენარებს ჯეობანი და ადგილნი სვანეთით, ახალს ფელეს პოვნილს მენაკსა ზედა. დახაზული მეფის შვილის ვახუშტისაგან“.

29.5x38.5

№19

[იმერეთი]

„რუკა იმერეთისა, რომელსა ზედა მჩენარებს არგვეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ოკრიბა, ვაკე, საჯავახო, საჩინო და საჩხეიძო. ახლად დახაზული ფელესის მენაკსა ზედა, თვისის მდინარითა, მთითა, ქალაქითა, ეკლესიით, მონასტრით, დაბნებითა და ციხეებითა“.

30.8x30.8

№20

[აფხაზეთი]

„ქარტა ანუ რუკა აფხაზეთისა, რომელი განიყოფის იმერეთად, ოდიშად და გურიად, ხოლო იმერეთი განიყოფის არგვეთად, რაჭად, ლეჩხუმად, ვაკედ, ოკრიბად, საჩინოდ და საჩხეიძოდ, სვანნი მჩენარებენ მთით,

წყლით, ეკლესია მონასტრით, ციხით და დაბნებით. ახალი დახაზული ფელესს მენაკსა ზედა“.

31.8x40.5

№21

[ოდიში]

„ქართა ანუ რუკა ოდიშისა, ეგურის წყლის დასავლეთის კერძოსი ზღვამდე და შავი ზღვა აზავამდე, მისი შემდინარე მდინარენი ყუბანი და სხვანი და ქვეყანა ოდიში, აფხაზეთი და ჯიქეთი და კავკას იქითი ძველად ოსეთი და ან ჩერქეზი და ყუბანი და ზღვის კიდე ძველად პაჭანჩი ან სხვისა სახელის მქონებელი“.

40.4x31.8

ტექსტიან დაკავშირებული შინიშვნები:

ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფულ ორ ატლასს მოუღწევია ჩვენამდე:

1. „ყაზანური ატლასი“ (ინახებოდა ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) და 2. „პეტერბურგული“ ატლასი. წინამდებარე ატლასი სწორედ „პეტერბურგულია“; დაცული იყო პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში. ამ ატლასზე მუშაობა ვახუშტის 1745 წელს დაუსრულებია. მისი საფუძველი სწორედ პირველი ანუ „ყაზანური ატლასია“, თუმცა უფრო დანვრილებითი და დაზუსტებული და ემყარება გეოგრაფიულ კოორდინატთა ახალ სისტემას.

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. Description Géographique de la Géorgie par le Tsarévitch Wakhoucht publiée d'après l'Original Autographe par M. Brosset S.Pétersbourg, 1842.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, თფილისი, 1904 წ.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ.
4. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997 წ. თბილისი.

5. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშვიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 110-111.
6. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრი, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები, თბილისი, 2018, გვ. 54-73.

**სულხან-საბა ორბელიანი,
სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი,
1764**

1446/106

ტექნიკური აღწერილობა:

287 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 14r, 265v-282v, 283v, 287v; ზომები: ყდა – 340×210, ქალაღი – 328×207, ტექსტი – 250×150, სისქე – 60; სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 33, ქვედა – 50/55, მარცხენა – 10, მარჯვენა – 40; მასალა: ქალაღი; მელანი – ყავისფერი და წითელი; ტყავგადაკრული ყავისფერი მუყაოს ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; გაირჩევა რამდენიმე ხელი: **ნიკოლოზ გარსევანოვი (ძირითადი ტექსტის გადამწერი) (32r-259v), იოანე ბატონიშვილი (3r-30v), თეიმურაზ ბატონიშვილი (260v-265r), დავით ბატონიშვილი (1r, 2r-v, 31r, 260r, 314r-316v);** შეიმჩნევა ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 43/44; აღრიცხვა – ფურცლობრივი, აღნიშნულია მხედრულითა და არაბული რიცხვებით ზედა მარჯვენა კუთხეში; განკვეთილობის ნიშნები – **•, ♯**; ახლავს სააზიო მუზეუმის წითელი და შავი ბეჭდები (2r, 3r); ავტორი – **სულხან-საბა ორბელიანი (259v);** ძირითადი ტექსტის გადამწერი – **ნიკოლოზ გარსევანოვი (259v);** ძირითადი ტექსტის გადანერის ადგილი – **ქ. ყიზლარი (259v);** გადანერის დრო: 1764 (259v). ხელნაწერი ეკუთვნოდა **დავით ბატონიშვილს (3r, 32r, 35v, 36r);** ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **[სასწავლო ყრმათა]** – ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათვის ... (32r-35v)

შენიშვნა: აქვე დართულია სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი „ანდერძნამაგი“:

ანდერძნამაგი ამის მუშაკისა, ფრიად დამაშვრალისა, მოსწავლეთათვის,

გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მკიცხარ ექმნებთან შრომისათვის და არა სარენავად მისცემენ ლოცვასა.

მე, **სულხან საბა ორბელიანისა**, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიად შრომა დამიც ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართველთა ენათა ლექსიკონი არ იპოვებოდა და ჟამთა ვითარებით უჩინო ქმნილ იყო, რომელსა **მეხუთე ვახტანგ მეფემან** ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინათგან პატიოსანი ეს წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ, ვახტანგ მეფისა ბიძამ, **გიორგიმ** მიბძანა ამის ჴელყოფა და ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე, რომელსავე მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების და მეც მათის ბაძით ჴელი მივყავ და რაოდენ ძალმედვა აღვსწერე, რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე * სამლთო წერილთა და ღვთისეტყუელებათა შინა, რომელიმე ღრმათა ჭილასოჭოსთა წერილთაგან და ღვთისმეტყველებათა კავშირთა, პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კატილორიათაგან გამოვიღე, ნემესიოსის და ივოვანე(!) დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვსწერე, რომელიმე არა მათებრ ღვლარჭნილად, არამედ მათვე წმინდათა მამათაგან საადვილო ვპოვე და სადვილონი აღვსწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული **ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა** მიერ ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან **ქართლოსიანთა** წარმართი. * რომელნიცა ვიცოდი, დავსწერე და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამონვლილვით, რომელიც ვპოვე ადვილად, თან მივანერე, რომელიც ვერ ვპოვე, საცილობელი არ დავსწერე, არამედ მუნვე კიდურთა ზედა ნითლად ნიშნად იგივე სიტყვები მივანერე, ნუთუ სხვა წერილთა მისთანა სიტყვა ეწეროს, გამოძიებით იპოვება*. თუ ვინმე სხვაგან უცხო სიტყვა ჰპოვოთ ანუ თარგმანი სიტყვისა, გინა წერილთაგან გამოილოთ, ამ წიგნთა შინა ჩაურთევთ*, რამეთუ მე მრავალი სიტყვა დამიშთა, რომელიმე არა სმენითა, დაწერილთა უნახაობითა, რომელიმე ნუსხითა დაკარგვითა და დავინწყებითა, გარნა რაოდენი ძალ მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე, უმრავლესი დამიშთა; ამისთვის, რამეთუ მე ქართულის ენისაგან კიდე სხვა ენა არა ვიცოდი და ამას ენათა რომელნიცა სწორედ თქვეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დავსწერე, რომელნი არა ემონმნენ, არცა მე დავსწერე და თქვენ იგულსმოდგინეთ, რომელთა მოგცესთ უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქუვენ შეასრულეთ.

* არა უმეცართა ვეტყვი, არამედ ბრძენთა ვედრებით მოგახსენებთ:

* მე უწინარეს ლათინური და ელინური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარ უკეთესის რიგით აღვსწერდი, მას უკან ვნახე ზოგი რამ, იმით გავმართე

და რიცხვები წერილთან თანჩართვით დაუსხი.

* ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი საქმენი, საძაგელნი, უბადონი და ცუდნი არათუ კიცხვისათვის აღმინერია, რათა საქირდად იპყრათ, არამედ ენის სისრულისათვის აღვსწერე, თუმცა უბადო სახელი აღმოიჭოცოს, მერე უდარესი მოაკლდეს უაღრესსა და ღმრთითა დარჩეს უკეთესი და სხვა არარა და შემცირდების ენა ქართული.

* ვიცი მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ, თუმცა წერილნი უყვარან, მრავალნი სხვანი წერილნი არიან სამღთონი და საერონი და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ეს ჩემებრ უცებისათვის აღინერა და დაუტეონ.

* ენა განწყენილებათაგან სწავლულნი მრავალთა აქა წერილთა სიტყვათა იუცხოვებენ და შორად განიშორებენ, თუცა ცოცხალსა მკითხვენ, განმართება ღვთით ძალმიცს და სიკუდილს უკან მათ იცინა.

* იყო ტფილისქალაქთაგან წინამძღვარი, სახელით **იოზ**, ჩვენის ჟამისა კეთილად სწავლული, შვენიერი, მზრახველი, მეჟამნე, მეფსალმუნე, კაფია გამომეტყველი, მგალობელად ქებული, მწერლად გამოჩენილი, ლოცვადაუცადებელი, შვიდეულთა მმარხველი, შესაყრელად საყვარელი, ამ სიტყვის კონას რა ჴელი მიეყავ, მგმობდა და მეკიცხოდა, ოდეს გავასრულე, ნახა, მოეწონა და გარდასანერად ვათხოვე და გარდასწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოჭოცა თვის ნაწერთა შინა და თვისი სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დიდათ გამიკვირდა, ვით იკადრა მან, სახელოვანმან კაცმან, ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსაო, ვინათგან ჩემ ქირნახულში მან ჩემი სახელი არა ჩაურთო და თვისი დასწერა, მე ჩემს ქირნახულში მისი ქება ამისთვის დავსწერე, ეს ამისთვის ვიჩივლე (34r-v).

2. **სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი** – ანი არს პირველი ასო და ჴმანი და ართრონი, მრავალ რიგად თავად და ბოლოდ ... (36r-259v).

[ბოლოსიტყვა და დანართი]

[ვახტანგ მეფის ნათქვამი]

რადგან დაშვრა ასრე **საბა**, ქება მმართებს აწყა მეცა, შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე სიბრძნე მეცა, სად ვნახავდი, ასე კრებით ქუეყნად მევლო, გინდ მეცა და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი კიდევ მეცა.

[მისივე მეფისა ვახტანგის თქმული]

სიყრმიტგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლის მსახველი,
სამოცდა ექუს წელს იკითხა, თქვა: ვერასი ვარ მმარხველი.
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი
და **ორბელიანმა საბამა** სახელითა ქნა სახელი.

[საბას ნათქვამი]

ამ ლექსიკონისა რიგები თუ ბრძენმან დამინუნოსა,
ჩემს დროს ვიძიე, ვერ შევხუდი, თქვენთა დასარწმუნოსა,
ესე რა შევკრიბე, მაქებდენ, მაშინ ან დასამგუნოთა
და კურდგლის გამდრეკსა ჯორჯ ძაღლსა, არ სდებენ საძაბუნოთა.

აქ ლექსიკონი არ იყო, და-ცე-კარგა ქართველთა
უკრძალელობით, ფურცელი გაეზნია-ყე ქართველთა,
ახლად შევკრიბე, შევანყე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა **სულხანი** (257v-258r).

ამ წიგნის მოღვაწესა, **სულხან-საბა ორბელიანსა**, ლოცვით მოიხსენიებდეთ, **მეფის არჩილისა** და **მეფის გიორგისა** და **ბატონის ლევანის** დედის ძმისწულსა, საქართველოს მსაჯულ[ი]ს, **ბატონის ორბელის ძესა**. ამა მეფეთ ბრძანებითა აღინერა ესე წიგნი ფრიად შრომითა და რუდუნებითა, რამეთუ **ქართლის** ქუჭყანასა ლექსიკონი აღარ იპოვებოდა და ოცდაათს წელს ძვილ შეანყო განმარტებით, რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო. მაშინ ქორანიკონი იყო ჩქპე (1685). ამის შემდგომად მონაზონ იქმნა და **გარესჯის მრავალმთის წმინდის ნათლისმცემლის მონასტერს** დაადგრა ქორონიკონს ჩქჟჭ (1698), მარტს იწ, მონაზონ იქმნა ქორონიკონს ჩლი (1710) დეკენბერს ა, **ხვარასანს** წავიდა, **მეფეს ქაიხოსროს** ეწმო და ფებერვალს კ გამოისტუმრა მრავლის ნიჭითა; მაისს ია **ქართლს** მოვიდა ქორონიკონსა ჩლიბ (1712), აპრილს კვ **ისპანს** წავიდა, **მეფე ვახტანგს** გაჰყვა, 2 ნოემბერს გამობრუნდა, დეკენბერს კ **ქართლს** მოვიდა. ჩლიგ (1713), აგვისტოს იზ **საფრანგეთს** გაიპარა: **ფრანცა**, **ჯენევია**, **სიკილია**, **ჰრომი** ნახა. ფრანცისასა მეფე, რომჰაპი, **კარანდუკა** უცხოდ დახვდნენ, ყოველი კაცი განჰკვირდა, რაც იმ ქვეყანაში უცხო და ძვირად სანახავ იყო, ყველა აჩვენეს: პაპამ წმინდის ჯვარის ნაწილი, წმიდა **კლემენტოს** მონამის თავი და სხვა მრავალი ნაწილი უბოძა, იწ (18) მარიამობისთვის გამოისტუმრა. გზებზე წმინდა სახლი და მრავალი წმინდა ადგილი მოილოცა, კ (20) ღვინობისთვის **მალთს** მოვიდა. ჭ (8) დეკენბერს ფრანცისის მეფის ხომალდი მოუვიდა, წამოვიდა ქორონიკონს ჩლიე (1715) იანვრის ით (29) **კოსტანტინეპოლის** მივიდა. იქ დაეგვიანა ის წელიწადი ფრანცისის დესპანისას იდგა

მრავალ კეთილ ჳელშენყობით (259v).

საბასი ვნახე ნალვანი ნამჭეური შემოკრებული,
სიტყვათა შადა აესხა ერთადცა არსად კლებული.

მზე, მთვარე, ვარსკულავ ცთომილნი, ცისფერ ვითარ არს გებული,
ყველა უკლებლად სწერია, ვინ ინვრთნის იქნას ქებული (259v).

საბა-სულხან ორბელის ძე

სიბრძნით აღწდა ორბების ზე (259v).

ანდერძი:

ლექსიკონისა ამის გარდმომწერალი, უნდო **ნიკოლოზ გარსევანოვი**, გევე-
დრები მჭურვალთა გულითა, უფალნო, უფალნო თქვენდა, არა დასაკლის
იყოს, შენდობის წყალობას ვითხოვ. ხოლო აღინერა ქალაქსა **ყიზლარს** ჩლდდ
(1764) მარტს კ (20) (259v, ლექსიკონის ბოლოს, გადამწერის ხელით).

მინაწერები:

1. მხედრული: ქ. ისტორია პერიტონ ენ **იერუსალიმის პატრიარხ ხევსან-
ტონ**, დაბეჭდილი ჟამსა ლოსპოდარობისა **სტეფანე ვოიევოდისა კატაკუ-
ზინისასა**, წელსა 1715 თვესა ოკდონბერსა, **იერუსალიმის პატრიარხმან
ხრისანთ** ბრძანა წიგნისა ამის ჩუქება მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა
(2v, ფორზაცი, დავით ბატონიშვილის ხელით).
2. მხედრული: ეს ლექსიკონი საქართველოს **მეფის ძის დავითისა** არის
(32r, 36r).
3. მხედრული: პირველსა კვირიაკესა წმიდისა მარხვისა საათას რუას, სამსა
წელსა ჩყყა (1891) თებერვლის ით (10) დღესა ხუთშაბათსა [...] **პავლე** შეგ-
ვიპყრა და წარგვაქცია **რუსეთად** (32r, ქვედა არშიაზე დავით ბატონიშვი-
ლის ხელით).
4. მხედრული: ქორონიკონს უბდ (1796 წ.) ამ წელიწადს ჯვარი დაგწერა
სარდალ **სალთხუცეს ორბელიანმა დავით ამილახვარის შვილს გიორ-
გის და თავის ასულს ეკატირინეს**, თებერვლის კგ (23), მთოვარეს კვ-ს
(26). ღმერთო, კეთილად განაგე ცხოვრებაი ჩვენი, მაგრამ უკანასკნელ
უბედურობამ მსახურა წელსა ჩყბ (1802). კაველინოვს **პეტრე ივანიჩსაც**
მსახურა ბედნიერობამ, რომ ჩემი მონაწილე შეიქმნა და მსგავს ჩემდა
ჯარობს იგიცა წიალთა შინა ზემოხსენებულისა თანა (32v-33r, ქვედა არ-
შიაზე დავით ბატონიშვილის ხელით).
5. საყვარელნო ნამკითხველნო, თუმცალა **საბას** ღვანლი და მოსწრაფება

არს ფრიად სატროფო და საშურველი, მაგრა ჟამთა ვითარებისა დაუდგრომლობისა ჟამსა ჴელ-უყვია წიგნისა ამის ჴელყოფად, რომლისაცა ჟამსა არლა რაიმე ყოფილი, არლა დაშთომილ წიგნი და არცალა ფილოსოფია და თუმცა დაშთომილ იყო, რა ვხედავ ღვანლსა ამას, მებრ კანონისა ლექსიკონისა ჴელ-ჰყოფდა კაცი იგი.

მე, მხილველმან ლექსიკონისა რუსულისამან, რომელმანცა ვიყიდე ყოფასა ჩემსა **პეტერბუხს**, მოვანერე განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიცა ამა ლექსიკონისა მშრომელსა არა თუ ენახა, ვგონებ, რომელ არცალა თუ სმენოდა და გთხოვთ, რომელ უკეთუ ვერ ვჰყო სრულება, თქვენცა ჩემებრ შრომა ჰყავთ მსურველთა ერთა მეცნიერებისათა და განმარტეთ ღრმმატიკისაცა კანონსა.

საქართველოს მეფის ძე და მემკვიდრე და რუსეთის ღენერალ-მაიორი **დავით**, 1799 წ. სექტემბრის 30, ტფილისს (35v, [სასწავლო ყრმათა-ს] შემდეგ **დავით ბატონიშვილის** ხელით). აქვე თხზული ასოებით: საქართველოს მეფის ძე დავით.

6. **მხედრული:** ქორონიკონს უპგ (1795 წ.) იანვრის ბ (2). ამ ქორონიკონს **ოთარაშვილი პეტრე** აქ იყო ჩვენთანა და ეს წიგნი მოენერა და დღესასწაული [...] (259v, მარცხენა არშიაზე **დავით ბატონიშვილის** ხელით).
7. **მხედრული:** ქ. აპრილის ია (11), ქორონიკონს უჟგ (1775) მიბოძეს სამთავნელობა.

აქვე იმავე ხელით: აპრილს ჴ (8), წელსა ჩლოე (1775), ამ წელს ეპისკოპოსად ხელდასხმულ ვიქმენ უნმიდესისა **პატრიარხის მეფის ძის მიერ ანტონის** (259v, ანდერძების შემდეგ).

შენიშვნა: მინანერი ყავისფერი მელნითაა შესრულებული, „**ანტონის**“ – შავი მელნით.

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ლექსიკონს დანართის სახით ახლავს:
 - სახელნი ბალახთა, ხეთა და ცხოველთანი ენითა სამითა: რუსული, ქართული და თათრული, საქართუჭლოს მეფის **გიორგის ძის იოანესაგან** პოვნილნი და ქმნულნი (3r-13r).
 - თათრულნი სახელნი წამალთანი (13r).
 - წონა წამლებისა და სახელნი (13v).
 - ლათინურ-ქართული ლექსიკონი (15r-30v).
 - საექიმო სწავლა (31r).

- [იესო ქრისტეს სამეოცდათორმეტი მონაფეთ სახელები და ვინ იყვნენ და სად ეპისკოპოს იქმნეს] – წმიდა აბო, წმიდა ავაბოს წინასწარ-მეტყველი ... (257r-v).
 - მოწელენი, რომელნი არიან ქართულნი[ი] და რომელნიმე არლარა უნოდენ და თურქთა ენათაგან მიუღიეს მისდა ნაცვლად (258r-v).
 - წლების სახელწოდებები აღმოსავლური კალენდრის მიხედვით არაბულ-ქართულ-თათრულ ენებზე ქართული ტრანსკრიპციით (259r).
 - გვიანდელი, სავარაუდოდ, დავით ბატონიშვილის ლათინურ-ქართული ლექსიკონი (260r-265r).
 - სალექსიკონო მასალა, სავარაუდოდ, დავით ან იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი (1r, 259r, 314r-316v, უკანა ყდის ფორზაცი).
2. წიგნი თავიდან ბოლომდე ნასწორებია დავით ბატონიშვილის მიერ, ჩამატებულია ახალი მასალა, მათ შორის უცხო სიტყვათა განმარტებები, როგორებიცაა: ადვოკატი, ადმინისტრაცია, ანარხია, დემოკრატია, ენთუზიაზმი, კოალიცია, ოლეგარხია, ოლიმპიადა, პლასტიკა, პოზიცია, ფუნტ სტერლინგი, სიმპატია, ცენტრი და ა.შ.
 3. ტექსტში ჩართული დამატებითი მასალა და დავით ბატონიშვილის მრავალფეროვანი კომენტარები მიჩნეულია დავით ბატონიშვილის ლექსიკოგრაფიული მუშაობის მეორე ეტაპად (იხ. დასახ. ლიტერატურა).

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 111.
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხეების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991.
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხეების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.
4. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბილისი, 1967.

სახარება [IX]

1446/107

ტიქნიკური აღწერილობა:

192 ფ. ცარიელი, ფ. 188v; 190v; ზომები: ყდა, ხის ზედა ფრთა – 332×250 (გვიანდ.), 323×140 (ავთენტ.), ხის ქვედა ფრთა – 285×240, მუყაოს ყდა – 330×227; ეტრავტი – 321×242; ტექსტი: 230×160; სისქე 10 ს.; სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 25, ქვედა – 70; მარცხენა – 40, მარჯვენა – 50; მასალა: ეტრავტი; მელანი – ყავისფერი, შიგადაშიგ გაცხოველებული შავი მელნით; მარტივად დეკორირებული საზედაო გრაფემები, ნაწილობრივ – სინგურით, სინგურივე შეინიშნება შიგადაშიგ ტექსტში (19v, 22r, 62r, 118r...) და განთვისულებშიც.

ხელნაწერს აქვს 2 ყდა: ა) თანადროული (IX ს.) ყდის დაფები და ბ) დაახლოებით XIX საუკუნეში შექმნილი მუყაოს ყდა. ხის ზედა ფრთა მუყაოს ყდაზეა დაკრული. ძველი ყდა მხოლოდ ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ატყვივა ტყავის ადრინდელი საკეტების კვალი. აქვს ტყავის დასამაგრებელი ხის სოლები.

დამწერლობის სახეობა – ასომთავრული, წვრილი განივი ხაზებით შეერთებული სქელი ვერტიკალური ხაზებისა და ნახევარწრეებისგან შემდგარი სადა დიდი და მსხვილი გრაფემები. ზოგან გადამწერის ხელითვე ჩართულია რამდენიმე ნუსხური სიტყვა (54r, 121r, 126v, 146r, 147r, 148r, 168v), ნუსხურივეა ნაწერი სახარებათა საძიებლების ნაწილი; კარგად ჩანს განკანონების ხაზები და წერტილები არშიებზე; ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. სტრიქონების რაოდენობა: 17/18. აღრიცხვა – რვეულებრივი; იწყება ლე (35) რვეულით და მთავრდება მიწ (58) რვეულით. რვეულები ძირითადად შედგება 8-8 ფურცლისგან, მხოლოდ ლწ (38) და მზ (47) რვეულები შეიცავს 4-4 ფურცელს, ხოლო მიწ (58) რვეული – 12 ფურცელს.

აღნიშნვა ხდება ძირითადად ასომთავრულითა და ზემოთ-ქვემოთ ქარაგმის ნიშნებით, იშვიათად – სამივე მხარეს ვარსკვლავითა და ზემოთ ქარაგმით თითოეული რვეულის დასასრულსა და ახალი რვეულის დასაწყისში (ძირითადად, ქვედა არშიაზე, იშვიათად – რვეულის დასაწყისი ზედა არშიაზეცა).

რამდენიმე რვეულის დასაწყისი არ არის აღრიცხული: მგ (46), მთ (49), მია (51). შესაძლოა, აღრიცხვა ზოგან გვიან მონიშნეს და არ არის ხელნაწერის თანადროული; განკვეთილობის ნიშნები $\cdot, \cdot\cdot, \cdot\cdot\cdot, \cdot\cdot\cdot\cdot, \cdot\cdot\cdot\cdot\cdot, \cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot, \cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot, \cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot\cdot$.

ხელნაწერი ნაკლულია: მთლიანად აკლია მათესა და მარკოზის სახარებები, ასევე ლუკას სახარების პირველი რამდენიმე თავი (1:1-8:48). 188v-ზე ტექსტი არ ჩანს, გადაღებული უნდა იყოს; ნაკლულია ბოლოშიც; ბოლო გვერდსაც (192v) ატყვია ასომთავრული ტექსტის კვალი, თუმცა არ იკითხება. არშეიბია ჩამოჭრილი შემდეგ ფურცლებზე: 42, 50, 61, 98, 153, 168, 185, 186, 188, 190, 192. ეტრათი – ხელნაწერის თავსა და ბოლოში დალაქავებული, დაზიანებული, გაუხეშებული. ტექსტი შიგადაშიგ გაცხოველებული ჩანს, შავი მელანი ტექსტის საკმაოდ დიდ ნაწილში მეორე მხარეს გადის. მთელი სახარების ქვედა არშიებზე აღნიშნულია სახარებათა ამონიოს ალექსანდრიელისეული და ევსევი კესარიელისეული დაყოფის მაჩვენებლები.

ხელნაწერის ზედა არშიებზე, გაშლილი გვერდის v-ს მარცხენა და r-ს მარჯვენა არშიებზე გადმოსული ასომთავრული ტექსტის კვალი შეინიშნება: 10v, 11r, 14v, 15r, 16v, 17r, 18v, 21v, ხის ყდის უკანა ფრთა; გადმოსული ტექსტის ნაკითხვა ვერ ხერხდება, შესაბამისად, ამ ეტაპისთვის უცნობია ამავე ხელნაწერის კვალი, თუ რომელიმე სხვა ხელნაწერის ფრაგმენტიდან გადმოტანილი ტექსტი.

შემკულობა: ხელნაწერში განსაკუთრებით გამოირჩევა ლუკას სახარების ბოლოსამკაული (96r), რომელიც ჯვარედინ ხაზებში ჩასმული ნერტილებით (ვარსკვლავებით) არის შემკული და ბოლოში ლოგიკურად სრულდება გოლგოთის ჯვრის გამოსახულებით; დეკორის ელემენტები მარტივია, თუმცა სიმეტრიულობა და პროპორციები დაცულია: ჯვარი ზუსტად არის ჩასმული განკანონების ხაზებში. გამოირჩევა ასევე იოანეს სახარების ბოლოსამკაული (191r): მთელი ტექსტი სტილიზებულ ჩარჩოშია ჩასმული ორივე მხარეს შეწეული გვერდებითა და მათში ჩასმული ორი სხვადასხვა ზომის ჯვრის გამოსახულებით. ბოლო ორი გვერდი უკავია კამარებს სახარებათა საძიებლებით (191v, 192r). აქაც ძირითადი ლეიტმოტივი ფორმის სიმარტივეა. სახარების ერთგვარ შემკულობად შეიძლება ჩაითვალოს სადა და, ამავე დროს, მონუმენტური ხასიათის, შიგადაშიგ კი სტილიზებული საზედაო გრაფემები (13r, 51v, 52v, 67v, 68v...). დიდი ალბათობით ხელნაწერი გადამწერის მიერ უნდა იყოს მოხატული.

ერთგან შეინიშნება მარტივი ჩანახატები (93r, ქვედა არშია), რომლებიც ხელნაწერის თანადროული არ უნდა იყოს.

დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლენინგრადის (დღეს სანკტ-პეტერბურგი) სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

2015 წელს სახარება შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [...]მან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშუიდობით... (ლუკა 8:48) (1r).

წყდება: ხოლო არიან სხუაჲცა მრავალ, რომელ ქმნა იესუ, რომელნი თჳმცა დაინერებოდეს თითვეულად, არცაღამცა, ყოველმან სოფელმან დაიგია დაწერილი წიგნები (191r).

ხელნაწერში შედის ლუკას სახარების ნაწილი (ლუკა 8:48-24:52-53, (1r-96r)) და იოანეს სახარება სრულად (97r-191r), ასევე სახარებანი ზატიკ-თან იოვანეს თავისანი (191v-192r).

მინაწერები:

ნუსხურით:

1. არ იკითხება, თუმცა ხელნაწერის თანადროული უნდა იყოს (36v, ქვედა არშია).
2. **გულნაზ(ი)რ** მიიცვალა იანვარს კზ ქ(ორონი)კ(ონ)ს უკზ (1r, მარცხენა არშია).
3. ს(ულს)ა **რომ(ა)ნოზს** შეუნდგ(ენ)ეს ღ(მერთ)მან, ა(მინ) (5v, ქვედა არშია).

ისაკ მღვდლის მინაწერები:

4. [...] [...] [...]ვე(ე)დრე, ა(მინ), კ(ირიელეისო)ნ (96r, გოლგოთის ჯვრის მარცხენა მხარეს).
5. [...] [...] [...]ნ, ა(მინ), კ(ირიელეისო)ნ (96r, გოლგოთის ჯვრის მარცხენა მხარეს).
6. ღ(მერთ)ო, შეინყალე **ისაკ**, ა(მინ), კ(ირიელეისო)ნ (96r, გოლგოთის ჯვრის მარჯვენა მხარეს).
7. ღ(მერთ)ო, შეინყალე **ევგ(ე)ნი**, ა(მინ), კ(ირიელეისო)ნ (96r, გოლგოთის ჯვრის მარჯვენა მხარეს).
8. წ., ღ(მერთ)ო, შეინყალე **ისაკა**, ა(მინ) კ(ირიელეისო)ნ (97r, ქვედა არშია).
9. ღ(მერთ)ო, შეინყალე **ევგ(ე)ნი**, ა(მინ) კ(ირიელეისო)ნ (97r, ქვედა არშია).
10. წ., ღ(მერთ)ო ჩე(მ)ო და შემწეო ჩე(მ)ო, გვლთა და გონებ(ა)თა აქა მელნი ვსცადე და სახარებ(ა)ო, შემინდევ, ა(მინ) (148v, ქვედა არშია).
11. საულსა **პ(ა)პანსა** შეუნდვე(ენ) ღ(მერთ)მან, მისა მეულლ(ე)სა **მისტუნსა**, ა(მინ).

12. სულსა **ციცურისა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან.
13. სულსა **დოვლათისა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან.
14. [...]რსა შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ამინ. [...]სალ შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ, კ(ირიელეის)ონ.
15. სულსა [...]კუსასა შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
16. სულსა **ფბგისა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
17. სულსა **შვდურსა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
18. სულსა გ[...]ულსტანსა, ა(მი)ნ, ა(მი)ნ.
19. სულსა **დიახრბლსა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
20. სულსა **გულქანს** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
21. მკრადიგ შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
22. სულსა **გულნარ(ი)ს(ა)სა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ (191v, კამარის ქვეშ, გვიანდელი ხელით).
23. სულსა **ფარიხნის** შ(ეუნდვენ)ეს ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
24. ლმერთო, შეინყალე **ელნი**, ა(მი)ნ, კ(ირიელეის)ონ.
25. ნ. სულსა **ხრსა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
26. საულსა **თ(უ)ხ(ა)რ(ე)ლსა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
27. ლ(მერთ)ო, შეინყალე **ისაკა** მღრდელი, ა(მი)ნ, კ(ირიელეი)ს(ონ), მისა მეულლესა **ვეგ(ე)ნის** შ(ეუნდვენ)ეს ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ.
28. [...] ლმერთო, შეინყალე **თევდ(ო)რა** [...]. ლ(მერთ)ო, შეინყალე **გულჯან**, ა(მი)ნ.
29. ლ(მერთ)ო, შეინყალე **აზიზ მელიქ**, ა(მი)ნ, კ(ირიელეის)ონ.
30. ლ(მერთ)ო, შეინყალე **ფიხან**, ა(მი)ნ, კ(ირიელეის)ონ (192r, კამარის ქვეშ, გვიანდელი ხელით).
31. ნ. სულსა **ისაკ** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან; სულსა **ვეგენისა** შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან (192v, ყავისფერი მელნიით).
32. ესაე წმიდა ოთხთავი ლ(ა)ვხსენ მე – **ისაკ** მღრდელმან მ(ა)ცხო(ვ)რის ხ(ე)ლ(ა)დმან, ა(მი)ნ, კ(ირიელეის)ონ (192v).
33. ნ. ლ(მერთ)ო, შეინყალე **ისაკ** მღრდელ, ა(მი)ნ.
34. მისა მეულლესა **ვეგ(ე)ნის** შ(ეუნდვენ)ეს ლ(მერთმ)ან, ა(მი)ნ, კ(ირიელეი)ს(ონ).

35. [...] შ(ეუნდენე)ს ლ(მერთმან), ა(მინ) (192v).
36. საულსა [... ...] შ(ეუნდვენ) ლ(მერთმან), ა(მინ).
37. სულსა **ანახათუნს** შ(ეუნდვენ) ლ(მერთმან), ა(მინ) (192v, ყავისფერი მეღნიტ).
38. ლ(მერთ)ო, შ(ეინყალე)ე **ანახათუნ**, ა(მინ) (192v).
39. სულსა თა[... ...] (192v, ყავისფერი მეღნიტ).
40. **სხვა ხელით**: ჩღმვ (1746) ფედრევარსა(...) (96v, ცარიელი გვერდი).
41. სომხური მინაწერი: მსქսჟ (192r).
42. ბერძნული მინაწერების კვალი (96r).
43. ყდაზე XX საუკუნეში შესრულებული ფრანგული წარწერა:

Manuscrit des Evangiles, en grandes lettres initiales, Xe siècle.

Il manque l'Evangile de S. Matthieu et les quatre premiers chapitres de S. Marc. Luc et Johannes

Ms contient

Ev. Secundum Lucam [Conf] 8.49 ad finem

Ev. Secundum Iohannem

(თარგმანი: სახარება შესრულებული საზედაო ასოებით, X საუკუნე: ლუკა და იოანე, აკლია მათეს სახარება და მარკოზის სახარების პირველი ოთხი თავი. [ხელნაწერი] მოიცავს ლუკას სახარებას [თავ] 8.49 და იოანეს სახარებას სრულად).

მხედრული:

44. შევასხმიდეთ კართა ზე ქ. ღმერთო ჭემმარიტო (127v, ზედა არშია).
45. უმნიშვნელო მინაწერები: 28v, 72v, 95v, 122v, 123v, 124r, 143v.

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. სახარების ტექსტი ათონელებამდელი რედაქციის არის და უძველეს ქართულ ოთხთავთა შორის ირიცხება.
2. მინაწერები ძირითადად XVII-XVIII საუკუნისაა. ოთხი სხვადასხვა ხელი გამოირჩევა: 1) პირველივე გვერდზე მინაწერია ვინმე **გულნაზირის** გარდაცვალების შესახებ (1739 წლის 27 იანვარი); 2) თითქმის ყველა სხვა (სულთა მატიანეც) ერთი ხელითაა ნაწერი და უნდა ეკუთვნოდეს **ისაკ ხუცესს** (XVII-XVIII სს.); 3) სხვა ხელითაა ნაწერი 5v-ზე განთავსებული მინაწერი, რომელიც ვინმე **რომანოზის** მოხსენებას ითხოვს და ეს მინაწერი

სხვებს შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს (XVI ს.). ამ მინანერის ხელი ძალიან ჰგავს რომანოზ მეხეჩისძის ხელს (მან 1534 წელს **ტაო-კლარჯეთში**, კერძოდ, **კალმახის ციხეში** გადაწერა ოთხთავი); 4) 1746 წლით დათარიღებული მინანერი (96v).

ზომგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით I ტ., თბ., 1949, გვ.112-113.
2. ანბანდიდი, სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, თბილისი, 2010 წ.
3. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979, გვ.17, 47.
4. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, გვ. 412.
5. პავლე ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, №4, გვ.128.
6. საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია (IX-XIX), შემდგენელი მ. ჭუმბურიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი, თბილისი, 2011, გვ. 11-12.
7. ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, თბილისი, 2016, გვ.17-21.
8. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრი, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები, თბილისი, 2018, გვ. 32-35.

თალაი მასალა [1716-1724]

1446/108

ტიქნიკური აღწერილობა:

52 ფ. ცარიელი ფურცლები – 50v, 51r, 52r; ზომები: ყდა – 255×18, ქალაღი – 247×181, ტექსტი – 181×131, სისქე – 7, სტრიქონებს შორის მანძილი – 9; არშიები: ზედა – 25, ქვედა – 43, მარცხენა – 22, მარჯვენა – 27. მასალა: ქალაღი; ძირითადი ტექსტის მელანი – ყავისფერი, სათაური და ზოგიერთი სიტყვა – წითელი, შესწორებები შეტანილია შავი მელნით; მუყაოს ყავისფერი ტვიფრული ყდა, გადაქეჩილი. დამწერლობის სახეობა – მხედრული; სტრიქონების რაოდენობა – 14/16; შეინიშნება ჭვირნიშანი; აღრიცხვა – რვეულებრივი, აღნიშნულია მხედრული ასოებით ქვედა არშიებზე, რვეულების დასაწყისსა და ბოლოში; სულ 6 (ვ) რვეულია; ამათგან პირველი (ა) რვეული შეიცავს 9 ფურცელს, ხოლო მეორე (ბ) – 12-ს, მე-3, მე-4 და მე-5 (გ, დ, ე) რვეულები – 8-8 ფურცელს, მეექვსე (ვ) რვეული – 4 ფურცელს; განკვეთილობის ნიშნები – •; ♀; ♀; ♀; თარიღდება 1716-1724 წწ.-ით (**ვახტანგ VI**-ის მეფობის წლები სპარსეთიდან მისი დაბრუნების შემდგომ); ხელნაწერის ერთადერთ ანდერძში ის მოიხსენიება, როგორც „მეფე ყოვლისა **საქართველოსა**“ (1r). ახლავს **პეტერბურგის** სააზიო მუზეუმის ბეჭედი (2r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ლენინგრადის** (დღეს – სანქტ-პეტერბურგი) სააზიო მუზეუმიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ეს თალაი მასალის წიგნი მეფის ვახტანგისაგან თარგმნილი სპარსთაგან – ამ ბძანების ქნის წესი რამთონი რიგი რამ არის, რომ ის უნდა კაცმა იცოდეს, რომ ბძანების ქნა სწორად მოვიდეს ... (2r-v).

თხზულება შემდეგი თავებისგან შედგება:

1. **ეს თალაი მასალის წიგნი მეფის ვახტანგისაგან თარგმნილი სპარსთაგან** – ამ ბძანების ქნის წესი რამთონი რიგი რამ არის, რომ ის უნდა კაცმა იცოდეს, რომ ბძანების ქნა სწორად მოვიდეს ... (2r-v).
შენიშვნა: თავდაპირველად წითელი მელნით ეწერა: „მეფის ვახტანგის ბძანებით თარგმნილი“, **ვახტანგის** ხელით ჩასწორებულია შემდეგნაირად: „მეფის ვახტანგისაგან თარგმნილი“.
2. **კითხვის დელილის აღსრულების ცოდნა** – ვითამ რაც გვიკითხავს, ის როდის აღსრულდება ბათლემეზ იტყვის ... (2v-31v).
3. **კარი ვარსკვლავთყოფისა ცოდნისა იმ დელიგებსა, რომელიც საწადელს აღასრულებს** – ვარსკვლავთმრიცხველთ წესი ოცდათხუთმეტი რიგი რამ არის ... (31v-50r).

ანდერძ-მინაწერები:

1. **მხედრული, გადამწერის ხელით:** ღმერთო, ადიდე **მეფე ვახტანგ**, მჰყრობელი ყოვლისა **საქართველოსა**. გვედრები შენ, უფალო (1r, შავი და წითელი მელნით, ზედა არშია).
2. „**Livre [d'astrologie]. Commencement de celui qui porte le [titre] de [.....]**“ (თარგმანი: [ასტროლოგიის] წიგნი. იმ წიგნის დასაწყისი რომლის [სათაურია] [?])
3. მხედრული: ქ. თალამასალის წიგნი |ა| (52v მხედრული, ქვედა არშია).

შენიშვნები:

1. „თალაი მასალა“ არის ვარსკვლავებზე წიგნი, შექმნილი **მირზა აბდურიზა თავრიზელის** „აღმოსვლის კითხვის“ საფუძვლებზე; ქართულად თარგმნა **ვახტანგ VI-მ**, სავარაუდოდ, **სპარსეთში** ყოფნის დროს (1714-1715).
2. ხელნაწერი გადამწერილი უნდა იყოს **ვახტანგ VI-ის** სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, მისი **ქართლში** მეფობის პერიოდში (1716-1924).
3. ამ ხელნაწერის უშუალო გაგრძელებაა საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდის 1448/109 ხელნაწერი.
4. ტექსტი ნაწილობრივ **ვახტანგ მეფის** ხელითაა ნასწორები. ეს სწორება ძირითადად პლანეტებისა და ზოდიაქოების აღმოსავლური სახელების

ქართული და ბერძნული სახელებით ჩანაცვლებას ეხება; ასევე ხელნაწერში სისტემატურად გამოყენებული რამდენიმე სპარსულ-არაბული სიტყვა შეცვლილია ქართული შესატყვისებით (მაგალითად, ტექსტში მრავლად გვხვდება სიტყვა „ბურჯი“, რომელიც ყველგან გადახაზულია და ზედვე აქვს მიწერილი სინონიმი „ეტლი“). ვახტანგისავე ხელით არის შესრულები არშიაზე გატანილი სათაურები.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 114.
2. თამარ აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი, 1990, გვ. 27-29.
3. რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბილისი, 1986, გვ. 32, 33.

თალაი მასალის ნიშნი [1716-1737]

1446/109

ტიქნიკური აღწერილობა:

158 ფ. ზომები: ყდა – 212×161, ქალაღი – 202×152, ტექსტი – 173×131, სისქე – 23, სტრიქონებს შორის მანძილი – 9; არშიები: ზედა – 12; ქვედა – 19, მარცხენა – 18, მარჯვენა – 8; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი, წითელი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ნაცრისფერი სადა ახალი ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული; აქვს ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 17; აღრიცხვა – რვეულებრივი, ქვედა და ზედა არშიებზე აღნიშნულია ნუსხურითა (ა-ჴ რვეულები) და მხედრულით (თ-კ); განკვეთილობის ნიშნები – •, •, •, •, •, •, •, •; თარიღდება 1716-1724 წწ.-ით (ვახტანგ VI-ის მეფობის წლები სპარსეთიდან მისი დაბრუნების შემდეგ); ახლავს პეტერბურგის სააზიო მუზეუმის ბეჭედი (158v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ლენინგრადის (დღეს სანქტ-პეტერბურგის) სააზიო მუზეუმიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: აღმოსავლის პირველი სახლის ბძანებაები – და ის რიგები, რომელიც იმას აქუს იმისის ცოდნისათვის. აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი და მთვარე ორთაგან ერთი დალილი... (1r-11v).

ტექსტის შედგენილობა:

1. **აღმოსავლის პირველი სახლის ბძანებაები** – და ის რიგები, რომელიც იმას აქუს იმისის ცოდნისათვის. აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი და მთვარე ორთაგან ერთი დალილი... (1r-11v).

შენიშვნა: შედგება 10 თავისგან.

2. **ახლა მეორე** – სახლი აღმოსვლისაგან და ის რიგები, რომ იმას აქვს საქონლის ამბვის ცოდნა და სასარგებლოს ცოდნა... (11v-20r).

შენიშვნა: შედგება 7 თავისგან.

3. **მესამე სახლისა, თავი პირველი** – ძმების ამბვის ცოდნა, რომელიც ვარსკულავი მესამეს სახლში იყოს და გაუბედურებული იყოს დელილია ძმათ სიცოტავეზე... (20r-22r).

შენიშვნა: შედგება 3 თავისგან.

4. **აღმოსვლის მეოთხე სახლისა, თავი პირველი** – მაშალა იტყვის: ნახე მთვარე და აღმოსვლის პატრონი თუ სვეტში იყოს და უბედურისაგან წმიდა იყოს და მოცილებულს ვარსკულავზე შეყრილი არ იყოს... (22r-36r).

შენიშვნა: შედგება 10 თავისგან.

5. **თალის მეხუთე სახლი და ის მასალები, თავი პირველი** – თუ ერთმა კაცმა ან დიაცმა გკითხოს, თუ შვილი მომეცემის თუ არაო, ნახე აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი და მთვარე და მეხუთე ეტლი და მეხუთე ეტლის პატრონი... (36r-43r).

შენიშვნა: შედგება 10 თავისგან.

6. **თალას მეექვსე სახლისა, თავი პირველი** – სნეულთ დელილების ცოდნა, რომ ავადყოფისა კითხონ აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი და მთვარე იმ სნეულის დელილია... (43r-61v).

შენიშვნა: შედგება 23 თავისგან.

7. **მეშვიდე სახლი აღმოსვლიდამ, თავი პირველი** – შეტყობა ქალის თხოვნისა, ითხოვს თუ არა, ამ საქმეს წინ წაიყვანს თუ არა; აღმოსვლა, აღმოსვლის პატრონი და მთვარე და ის ვარსკულავი, რომელიც მთვარე მისგან გაცილებული შექნილა... (61v-122v).

შენიშვნა: შედგება 90 თავისგან.

8. **მერვე სახლი ამოსვლისაგან, თავი პირველი** – თუ ერთმან გკითხოს, ნახე აღმოსვლის პატრონი და მთვარე, რომელსაც აღმოსვლაზედ შეხედვა ჰქონდეს და ძალი მეტი ჰქონდეს, ის დელილია... (122v-126r).

შენიშვნა: შედგება 5 თავისგან.

9. **სახლი მეცხრე თალაისაგან, თავი პირველი** – მგზავრობის იარაღს გაიმბობს, აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი მკითხველის დელილია, მეცხრე სახლის პატრონი და არია მგზავრობის დელილია... (126r-138r).

შენიშვნა: შედგება 23 თავისგან.

10. **თავისაგან მეათე სახლი და ის ბრძანებები, რომელი მას აქუს, თავი პირველი** – შეტყობა ჯელმნიფეთაგან ან საჯელოსი, ან ჯამაგირისა, ან სხვას წყალობის მოიმედისა იქნება თუ არა, ნახე აღმოსვლის პატრონი და მთვარე... (138r-153v).

შენიშვნა: შედგება 19 თავისგან.

11. **მეთერთმეტეს სახლისა, თავი პირველი** – თუ ერთს ვისმე, რომლისამე იმედოვნობა ჰქონდეს და მისთვის გკითხოს, ნახე აღმოსვლის პატრონი და თერთმეტის პატრონი... (153v-155r).

შენიშვნა: შედგება 4 თავისგან.

12. **მეთორმეტე სახლის თავისაგან, თავი პირველი** – მკითხველი ამბავი მის, მტერთან შეტყობა, თუ მტრისაგან გკითხოს, ნახე მეშვიდე სახლი და მისი პატრონი... (155r-158v).

შენიშვნა: შედგება 8 თავისგან.

მინაწარები:

მხედრული: პეტრე. Tala Masala, ზედა არშიაზე (1r).

შენიშვნა:

1. „თალაი მასალის წიგნი“ არის ასტროლოგიური შინაარსის ტექსტი, შექმნილი **მირზა აბდურიზა თავრიზელის** „აღმოსვლის კითხვის“ საფუძვლებზე. ქართულად ითარგმნა **ვახტანგ VI-ის** მიერ, სავარაუდოდ, მისი **სპარსეთში** ყოფნის დროს (1714-1715).
2. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის ავტოგრაფია.
3. ტექსტში შიგადაშიგ დატოვებულია ადგილები (ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის მთელი გვერდია (45v)), სავარაუდოდ, სიტყვ(ებ) ის, ფრაზების თუ აბზაცების შემდგომ ჩასამატებლად.
4. ეს ხელნაწერი 1448/108 ხელნაწერის უშუალო გაგრძელებაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 114.
2. თამარ აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი, 1990, გვ. 27-29.
3. რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბილისი, 1986, გვ. 32, 33.

[საქართველოს გეოგრაფია, XIX]

1446/110

ტიქნიკური აღწერილობა:

48 ფ. ცარიელი ფურცლები – 15v, 23v-29v; ზომები: ყდა – 234×188, ქალღი – 223×175, ტექსტი – 144×82; სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 50, ქვედა – 43, მარცხენა – 25, მარჯვენა – 73; მასალა: ქალღი; მელანი – შავი; მწვანე, მუყაოს ყდა, ოქროს ორთავიანი არწივის ტვიფრით ყდის ორივე ფრთაზე; დამწერლობის სახეობა – მხედრული; აქვს ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა მერყეობს 15-დან 25-მდე; აღრიცხვა – გვერდობრივი, არაბული ციფრებით; [XIX]; დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები; ხელნაწერს ახლავს სანქტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმის ბეჭედი (1r), ასევე სააზიო მუზეუმის ძველი და ახალი სააღრიცხვო ნომრები – 40/159/35; Msc. Georg.35 (r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს **ლენინგრადის** (დღეს – **სანქტ-პეტერბურგი**) სააზიო მუზეუმიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ხოლო კანაფი უმუშაკოდ მცენარეობს მრავალი. და **იმერეთსა** შინა აკეთებენ მისგან ტილოთა. თამბაქოცა მოჰყავსთ მრავალთა ადგილთა შინა **საქართველოხსათა (1r)**.

წყდება: ... ესენი ვაჭრობენ **საქართველოს** შინა ნაბდებითა, ესე იგი ღართებითა, რომელსაცა აკეთებენ იგინი [...] (48v).

თხზულება შემდეგი თავებისგან შედგება:

1. **[საქართველოს ფლორისა და ფაუნის აღწერა]** – ხოლო კანაფი უმუშაკოდ მცენარეობს მრავალი. და **იმერეთსა** შინა აკეთებენ მისგან ტილოთა. თამბაქოცა მოჰყავსთ მრავალთა ადგილთა შინა **საქართველოხსათა ... (1r-15r)**.

2. **[საქართველოს მეფეების შესახებ]** – ქვეყანაჲ ესე ივერია, რომელ არს გიორგია (ესე იგი), სრულიად საქართველო, არს უკუჲ ერთი სამცყრობელო, რომელი არა მხოლო თუ ძველთა შინა დროთა, ახალთაცა შინა საუკუნეთა იყო ეგრეთვე ერთი სამცყრობელო ... (16r-23r).
3. **სამეფონი, სამთავრონი და კერძონი ივერიისა ანუ გიორგიისა, ესე იგი სრულიად საქართველოსანი** სამეფონი: 1. სამეფო ქართლისა, 2. სამეფო კახეთისა ანუ ალვანიისა, 3. სამეფო იმერეთისა. ესე სამნივე სამეფონი არიან ქრისტიანენი ბერძენთა სარწმუნოებისა და ზრახვენ ერნი ამა სამეფოთანი ენასა ქართულსა და რომელ არს ენა ივერიელთა ანუ გიორგიელთა (30r-48v).

მინაწერი:

1. 96 pagg. 24/V, 1890 [...] (48v, ხელნაწერის ბოლოს, ქვედა არშიაზე).

ტიქსტთან დაკავშირებული შინიშვნები:

1. ხელნაწერი შიგადაშიგ ნასწორებია (1v, 2v, 9r, 33r, 35r ...).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 114.

მსოფლიო გამოგრაფია, 1799

1446/111

ტიქნიკური აღწერილობა:

88 ფ. ცარიელი ფურცლები – 87v, 88v; ზომები: ყდა – 219×165, ქალაღი – 216×162, ტექსტი – 166×128, სისქე – 34, სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არ-შები: ზედა – 20, ქვედა – 28, მარცხენა – 15, მარჯვენა – 20; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი, ნითელი; ტვიფრული, ყავისფერი, ტყავგადაკრული ხის ყდა ტყავის სამი თასმით. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები – ნუსხურით. აქვს ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 20/22; აღრიცხვა – გვერდობრივი და რვეულებრივი, სულ 11 რვეულია, რვეულებრივი აღრიცხვა მხედრული ასოებით ქვედა არშიებზე აქვს; განკვეთილობის ნიშნები – •, ♣, ♠; გადამწერი – **დიაკონი სიმონი** (88r); გადაწერის ადგილი – **თელავი** (88r); მთარგმნელი – **დავით ბაგრატიონი** (1v). ანდერძის თანახმად, ხელნაწერი 1799 წელსაა გადაწერილი (88r); ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ლენინგრადის (დღეს – პეტერბურგის) სააზიო მუზეუმიდან.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. თვს საწელმწიფოთა საკოროლეოთა – **გერმანიასა** აქვს ორასი მილი სიგრძე, ასი მილი სიგანე, სიმგურგულე ექვსას ოთხმოცი, ჰაერი არის მუდამ კეთილი... (2r-42v)

შენიშვნა: აღწერილია **ევროპის** სახელმწიფოები: **გერმანია, დანია, ინგლისი, საფრანგეთი.**

სათაური მოტანილია თხზული ასოებით.

2. [თვს] **აზიისა** – **აზია** თვთ სამწრეთის კერძოთ **მალაკით** ვიდრე სამოცდა ცამეტის ღრადუსით ჩრდილოეთის სიგანით აქუს უმეტეს ათას ხუთასისა მილისა [...] (43r-58r).
3. [თვს] **აფრიკისა** – **აფრიკასა** აქუს ათას ხუთასი მილი სიგრცე სამწრეთით ჩრდილოეთისადმი კეთილ საიმედოს მისით, ვიდრე **ლიბ-**

რალტარის მკლავადმდე ... (59r-70v).

4. [თვს] **ამერიკისა – ამერიკა** პოვნილ არს 1492 ნელსა **ქრისტო-
ფორისაგან კოლუმბოსი** ღენუელისა და 1497 **ამერიკოსისაგან
ვესპუცისა** ჭლორენტიენელისა ... (72r-88r).

ანდერკეპი:

1. **ნუსხური:** მებრძანა მის უმაღლესის **მეათცამეტის მეფის გიორგის ძის
ბაგრატის** მიერ თვსსავე **დიაკონსა სიმონს** ღეოდრაჭიისა ამის გადმონერა
და გადმოვსწერე ესე თთუჴსა აპრილსა კთ, ქორონიკონს უპზ, 1799 (88r).
2. **იქვე იმავე ხელით, ნუსხური:** მჩხაბავი ღეოდრაჭიისა ამის მკითხუჴლ-
თა გევედრები, ნურავინ მწყევთ ცუდის მწერლობისათვს და ნუცა
ნაკლებობისათვს; აღინერა ქალაქსა **თელავს** [ბოლო სამი სიტყვა მხე-
დრულით] (88r).

მინაწერიკეპი:

1. მხედრული: **დავითის მიერ დავითიან ბაგრატიონისა მეფის გიორ-
გის ძისაგან** თარგმნილი რუსულით ქართულსა ზედა (1v).
2. მხედრული: მეფის ძის **ბაგრატისა** არის (2r, ფანქრით, თავსამკაულის
ქვეშ).
3. მხედრული: თქვენთან გახლდი და ვერ გნახე იქნებ [... ..] თუ შინ არ
ბრძანდებოდეთ, პასუხი გაუშვით, [...] **სერებრიაკოვი** თუ [...] კ[...] (88v,
ფანქრით ნაწერი, საპირისპირო მიმართულებით, გვიანდელი ხელით).

ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა
კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგო-
შიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ.
115-116.

მეტაფიზიკა [XVIII]

1446/112

ტიქნიკური აღწერილობა:

152 ფ. ცარიელი ფურცლები – 2v-3v, 23v; ზომები: ყდა – 214×168, ქაღალდი – 205×158, ტექსტი – 149×115, სისქე – 29; სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არ-შეები: ზედა – 22, ქვედა – 36, მარცხენა – 18, მარჯვენა – 31; მასალა: ქაღალდი; მელანი – შავი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, ალაგ-ალაგ გადაქეჩილი; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სათაურები და საზედაო გრაფემები ნუსხურითა და მთავრულით. აქვს ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 20/23; აღრიცხვა – გვერდობრივი და რვეულებრივი; გვერდობრივი აღრიცხვა აღნიშნულია ზედა არშიაზე არაბული ციფრებით; 66 და 67 გვერდი დანომვრისას გამოტოვებულია და 65 გვერდის შემდეგ მოდის 68 გვერდი (35v). გვ. 120-ის ნაცვლად წერია 102 (62r). გვ. 180-ის ნაცვლად, როგორც ჩანს, მექანიკური შეცდომის გამო – 130 და ნუმერაციაც გაგრძელებულია 130-დან ბოლომდე თანმიმდევრობით (92r-151v). ამ ნუმერაციით სულ არის 249 გვერდი. რვეულებრივი აღრიცხვა აღნიშნულია ქვედა არშიაზე არაბული ციფრებითა და რიცხვებით; სულ თვრამეტი რვეულია; განკვეთილობის ნიშნები: •, ♣, ♠, ♣; ხელნაწერი ძირითადად კარგად არის შემონახული, ზოგან დალაქავებულია, რამდენიმე ფურცელზე მელანი გადასულია მეორე მხარეს და ტექსტის ადგილი გაყავისფრებულია (ფ. 35 და სხვა); [XVIII] დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ზედდადგინებანი მეტაფიზიკაჲსანი. წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფიზიკაჲსა. §1 – დაღათუ გულის მსიტყუჴლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათამი სხოლათა შინა ჰაზნაურთა ჰსწავლათა მესწავლეთა არ სათანადო არს გარდამოცემად მეტაფიზიკაჲ ... (4r).

1. პინაქსი მეტაფიზიკისა (1r-2r).
 2. ზედდადგინებანი მეტაფიზიკასანი. წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფიზიკასა. §1 (4r-5v).
 3. ზედდადგინებანი ონტოლოგიისანი. წინასიტყუაობა. §7 (5v-5av).
 4. თავი პირველი. პირველთათჳს დასაბამთა კაცობრივისა ცნობისათა. §9 (6r-8v).
 5. თავი მეორე. ზედმინეწილებისათჳს არსისა და არაარსისა. §16 (9r-12v).
 6. თავი მესამე. არსებისათჳს. §27 (12v-15r).
 7. თავი მეოთხე. უსაზოგადოესთათჳს თჳსებათა არსისათა. §29 (15r-17r).
 8. თავი მეხუთე. იგივეობისათჳს და სხუაობათა. §37 (17r-20r).
 9. თავი მეექუსე. განსაზღურებულისათჳს და განუსაზღურებელისა. §43 (20v-23r).
 10. თავი მეშუდე. ყოვლადისათჳს და კერძოთა. §47 (24r-25r).
 11. თავი მერუჭ. საჭიროესათჳს და შეხდომისა, ანუ შემთხუწვითისა. §51 (25v-28r).
 12. თავი მეცხრე. კარგისათჳს და სამეტაფიზიკოსა ჭეშმარიტებისა და სრულებისა. §57 (28r-35r).
 13. თავი მეათე. არსისათჳს შეზავებულისა. §73 (35v-42r).
 14. თავი მეათერთმეტე. მარტივისათჳს არსისა. §105 (42r-45r).
 15. თავი მეათორმეტე. არსებისათჳს და შემთხუწვითისა. §110 (45v-48v).
 16. თავი მეათსამეტე. არსისათჳს დასრულებადისა და არა დასრულებადისა. §117 (49r-50v).
 17. თავი მეათოთმეტე (!). დასაბამთათჳს და მიზეზთა. §123 (50v-57v).
 18. თავი მეათხუთმეტე. ნიშანთათჳს და დანიშნულისა. §135 (57v-58v).
- II. მეტაფიზიკისა ნაწილი მეორე. კოზმოლოგია საზოგადო
19. თავი პირველი. კოზმოლოგიისათჳს საზოგადოდ. §139 (58v-59r).

20. თავი მეორე. იდეაესათვს სოფლისა. §140 (59v-66v).
 21. თავი მესამე. სხეულთათვს. §153 (66v-68r).
 22. თავი მეოთხე. სჯულთათვს მოძრაობისათა. §164 (68r-v).
 23. თავი მეხუთე. დასაბამთათვს სხეულთასა. §166 (69r-v).
 24. თავი მეექვსე. ბუნებისათვს და ზესთა ბუნებითისა, ესე იგი საკვრულტლებისა რლა სასწაულისა. §168 (69v-74v).
 25. თავი მეშვიდე. სრულებისათვს სოფლისა. §173 (74v-75v).
- III. მეტაფიზიკა, ნაწილი მესამე. პნევმატოლოლიისა, პსიხოლოლიისა და ბუნებითისა ღმრთისმეტყულებისა გარე შემცუტლი
26. თავი პირველი. სულისათვს საზოგადოდ. §175 (76r-77r).
 27. თავი მეორე. პსიხისათვს, ესე იგი სულისა კაცობრივისა, ანუ მშვნიერისა. §177 (77r-78v).
 28. თავი მესამე. ძალისათვს ცნობისა და უდარესისა, ანუ უქუტ-ნაესისა კერძოესა მისისა, ვითარ იგი წოდებულ ჰყოფენ. §183 (79r-v).
 29. თავი მეოთხე. ძალისათვს გრძნობისა. §184 (80r-81v).
 30. თავი მეხუთე. ძალისათვს გამოხატვსა. §187 (82r-87r).
 31. თავი მეექვსე. ჰსხენებისათვს და აღხსენებისა. §194 (87r-88v).
 32. თავი მეშვიდე. ძალისათვს ცნობისა და უკეთილშობილესი{ს}ათვს, ესე იგი უზენაესისა კერძოესა და პირველად ძალისათვს ყურადღებისა და განხილვისა. §199 (89r-90v).
 33. თავი მერუტ. გულისხმისყოფისათვს გნომისა და გონებისა. §203 (90v-97v).
 34. თავი მეცხრე. ძალისათვს წადიერებისა, ანუ სურვილისა და უდარესისა ანუ უქუტნაესისა კერძოესა მისისა. §218 (97v-103r).
 35. თავი მეთათე. ვნებათათვს. §232 (103r-120v).
 36. თავი მეთათერთმეტე. წადილისათვს გონიერებითისა ანუ ნებისა და თავისუფლებისა მისისა. §266 (120v-123v).
 37. თავი მეთათორმეტე. ზიარებისათვს სულისა სხეულისა თანა. §269 (124r-126v).

- 38. თავი მეათსამეტე. უკუდავებისათვის პსიხისა (ესე იგი სულისა კაცობრივისა). §273 (127r-129v).
- 39. თავი მეათოთხმეტე. მშენიერიერთათვის უსიტყუთა. §277 (130r-133v).

IV. მეტ[ა]ფიზიკისა ნაწილი მეოთხე. ღმრთისმეტყუჴლება ბუნებითი.

- 40. თავი პირველი. ყოფისათვის ღმრთისა. §280 (134r-139r).
- 41. თავი მეორე. არსებისათვის და თვსებისა ღმრთისა საზოგადოდ. §285 (139r-141r).
- 42. თავი მესამე. საღმრთოხსა გულისხმისყოფისათვის. §288 (141v-142v).
- 43. თავი მეოთხე. ნებისათვის საღმრთოხსა. §290 (142v-148v).
- 44. თავი მეხუთე. საღმრთოთა მოქმედებათათვის. §306 (149r-151v).

მინაწერები:

მხედრული:

იგავი: ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე,
და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერებაჲ;
ესე უმჯობეს არს მოსაგებელად,
ვიდრე ოქროჲ და ვეცხლი საუნჯისა,
უპატიოსნეს ძვირფასისა ანთრაკის. (152r-ის ბოლოს გადამწერისავე ხელით).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 116-117.

მარბალიტი, 1843

1446/113

ტიქნიკური აღწერილობა:

464 ფ.; ცარიელი ფურცლები – 1r, 153v-153^or, 464v; ზომები: ყდა – 180×110, ქალაღი – 170×105, ტექსტი – 144×75, სისქე – 75, სტრიქონებს შორის მანძილი – 9; არშიები: ზედა – 15, ქვედა – 10, მარცხენა – 15, მარჯვენა – 11; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი და წითელი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა, ორნამენტირებული, ორი შესაკრავით; დამწერლობის სახეობა – მხედრული; საზედაო გრაფემები და სათაურები – წითელი მელნით; სტრიქონების რაოდენობა – 17; აღრიცხვა – ფურცლობრივი, არაბული ციფრებით. ხელნაწერს თავსამკაულად დაკრული აქვს ფრაგმენტი ნაბეჭდი წიგნიდან ყოვლისაღმპყრობელი მაცხოვრის გამოსახულებით; ახლავს პრიმიტიულად გაფორმებული საზედაო გრაფემები, ასეთივე ჩანახატებით (5r, 15r, 17v, 19r, 197v, 224v და ა.შ.). 1843 წ. (462r); გადამწერი: **სპირიდონ იესეს ძე მჩხიკვაძე** (464v). 188r-ის ქვედა არშიაზე დასმული აქვს ტვიფრული ბეჭედი ქალაღის გამომშვები ფაბრიკის სახელწოდებით; ყდაზე შემორჩენილია ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში მინიჭებული ძველი შიფრი.

ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **[კითხვა-მიგება]** – კვირიაკესა ჟამსა ბ დღისასა დეკემბერსა კე შობა ქრისტესი. დღესა სამშაბათსა, ჟამსა ზ დღისასა, იანვარსა ვ ნათლისღება იყო ... (1r-12r).
2. **თარგმანება წმინდისა იპოლიტესი** – განკაცებითგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა ვიდრე მოგვთა მოსვლამდე ვორნი წელნი ... (12r-13v).

შენიშვნა: იპოლიტეს „ქრონოლოგიის“ აპოკრიფი.

3. **შესხმა და სახელები წმინდისა ღვთისმშობლისა – მარიამ დედოფალი:** ზმირინი, მაცვალი, სული, კიდობანი, კვერთხი, ტაკუკი, კარავი ... (14r-15r).
4. **უკეთუ გინდეს თუ რაოდენი ნათესავნი არიან ქუეყანასა ზედ ცნობად –** ჰინდოეთი, გუთნი, არიელნი, ფოტხელნი, ევაველნი, სართაგელნი, ფერელნი ... (15v-16r).
5. **სახელები შვიდთა ცათა –** ერთსა ანდამატი, მეორეს ხუბაკი, მესამეს ებნიკი ...
[კითხვა-მიგება] კითხვა: **იონას** მამასა რა ეწოდებოდა? პასუხი: **მათითი** ერქვა ქვეყანით **კარიათამით** ... (16v-24r).
6. **სიტყვა დაბადებისა ამისთვის და სამოთხისა შუენიერებისათვის –** დასაბამად შექმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა და ყოველნი დაბადებულნი არაარსისაგან სიტყვითა არსებად მოიყვანა ... (24r-29v).
7. **შესაქმისა ცისა და ქვეყანისა წიგნსა ევფრატსა(!) სწერია –** ოდეს იწყო ღმერთმან შექმნად ცისა და ქვეყანისა ... (30r-31r).
8. **ცად მოხილვასა შიგან სწერია დაბადება ანგელოზთა –** თქვა და მისგან გამოვიდეს ცამეტი გუნდი იყო, ვინცა კარგათ იცით ... (31r-33r).
9. **თქმული დიონოსი არიოპაგელისა, სიტყვა დაბადებისა სამოთხისა დაბადებისათვის დანიელისაგან თქმული –** განგებულებითა მამისა, ძისა და წმიდისა სულისათა, შეიქმნეს საუკუნენი მიუნთომელნი და გამოუთქმელნი ... (33r-49r).
 - რასა იტყოდეს, ვინადგან სამოთხე ესე ტკბილ არს სოფლისა, ვინ გამოთქვას ბრწყინვალეობა (40r-44r).
 - სამოთხისა ამბავი და შუენიერება (44r-v).
 - ან ანგელოზთა საქმე ვინყოთ (44v-49r).
10. **წიგნსა ლავსიკოანსა (!) სწერია –** სად მდგომარე არიან წმინდანი მონამენი, მღვდელთმძღვარნი და ქალწულნი და მონესენი ... (49r-v).

- 11. წიგნსა მარგალიტებითგან სწერია საქმე ესე სულისა** – ან ესეცა ვსთქვათ, რომელი მინდა თქმად შემეშინდების და შემიძრუნდების გული ... (49v-74v).
- სულისათვის ცნობა და მეცნიერება ესრეთ ვსთქვათ (57r-v).
 - მართლისა და ცხოვნებულისა სული ესრეთ იქმნების (57v-58r).
 - ან ცოდვილთათვის ვიტყვი (58r).
 - ან მწვალებელთა და უსჯულოთათვის ვიტყვი (58v-59v).
 - ან ქრისტიანეთათვის ვიტყვი (59v-64r).
 - იყვნეს ვორნი კაცნი (64r-v).
 - ან ესეცა ვსთქვათ, ვითარცა იტყვის წერილი ქრისტიანეთა და უსჯულოთა ერთად შეინირვის მონყალეა ანუ თუ არა? ... (64v-65v).
 - ან ესეცა ვსთქვათ: უკუეთუ მეფე მოკვდეს მონისათვის ... (65v-67r).
 - ან პირველთავე სიტყვათა ვიქცეთ, მართლმადიდებელთათვის, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვა ... (67r-68r).
 - იყო ერთი კაცი, რომელი ხელითა მონყალე და სიძვისმოყვარე ... (69r-70v).
 - იყო ერთი კაცი, რომელი ინანდა და დაეცემოდა ... (70v-72r).
 - რომელნიმე იტყვიან, ვითარმედ დიდსა კეთილსა იქმან და რომელნიმე მცირესა ... (72r-73r).
 - კაცი ვინმე შეიპყრა მეფემან და სტანჯვიდა ფრიად ... (73r-74r)
 - ვითარცა ანგელოზი, კაცისა სული ეგრეთ ფრინავს ხორცშესხმულიცა ... (74r-v).
- 12. სწავლა წმინდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისა** – კეთილ არს აღსარება ანუ იქმნების სინანული და მოტევება ცოდვათა ... (75r-76r).
- 13. წმინდა იოვანე მახარებელი და ღვთისმეტყველი იტყვის** – უკეთუ აღიარნე ცოდვანი თქვენი, სარწმუნო არს ღმერთი ... (76r).
- 14. იტყვის ღმერთშემოსილი ბასილ** – ვითარმედ აღსარება ცოდვათა მსგავსი არს კურნებასა ხორციელთა წყლულებათა ... (76v-77r).
- 15. სხვა სწავლა წმიდისა მაქსიმელ (!) აღმსარებლისაა (!)** – ვინა არიან ჭემმარიტნი თაყვანისმცემელნი, რომელნი სულითა და ჭემმარიტებითა თაყვანისცემენ მამასა ღმერთსა ... (77r-78v).

16. **სხვა სწავლა წმინდისა მამისა ჩუენისა მაქსიმი აღმსარებელისა** – რა არს სამოსელი შებლალული... ესე არს მრავალთა ცოდვათაგან შებლალული ცხოვრება ... (78v-80v).
17. **სათნობათათვის წერილ არს** – ნუ გიყვარს ძვირისზრახვა, რათა არა მოისპო ... (80v-81v).
18. **სწავლანი წმინდისა იოვანე ვოქროპილისანი ფიცისათვის** – ის-მინე ჩემი, ძმავო, და ნუ დასხნდები და ნუცა განსცემთ ... (81v-83v).
19. **სხვა სწავლა წმიდისა იოვანე ოქროპილისა მონყალეებისათვის** – ვისწრაფოთ, ძმანო, წარდგომად მონყალეებასა, რამეთუ უმჯობეს არს მისი წარმართება ... (84r-87r).
20. **სხვა სწავლა წმინდისა იოვანე ვოქროპილისა თუ ვითარ აღი-ღებდა ღმერთსა** – ისმინე, რასა იტყვის ღმერთი პირითა წინასწარ-მეტყველისათა ... (88v-94r).
21. **სწავლა წმიდისა იოვანე ოქროპილისა. სწავლისათვის სამღრ-თოსა სიტყვისა** – ხედვა ვითარ სული სიტყვათაგან თითოფერად დაიცვლების ... (94r-100r).
22. **თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა** – რომელთაცა სულსა, რათა ხედვიდეს შინაგანითა თვალითა ... (100v-101r).
23. **მისვე იოვანე ოქროპირისა** – უკეთუ ვისმე ეკიდოს დაყროლებუ-ლი, ცოდვა და(?) მიმოვიდოდეს ... (101r-v)
24. **სიტყვა მოციქულისა** – სხვა არს სატანჯველი ბუნებითა ცოდ-ვათა და სხვა არს სატანჯველი ბუნებისა გარეგანთა ... (102r-v).
25. **მოციქულისა** – ვითარცა შეიყვარე ცოდვა, ეგრეთვე შეიყვარე სი-მართლე ... (103r).
26. **სხვა იოვანე ოქროპირისა** – ვინ იქადოს სინმინდე გულისა, ანუ ვინ იკადროს თქმად თუ წმინდა ვარ ... (103r-104r).
27. **მისვე იოვანე ოქროპილისა** – ოდეს ილოცვიდე, ნუ მრავალსა სი-ტყვასა შეაწყობთ ... (104r-105v).
28. **ლოცვისათვის თარგმანი, რომელი ვინყო ღვთისა მიმართ** – რო-მელნიმე იტყვიან წმინდავო ღმერთოსა, გინა მამავო ჩვენოსა ... (105v-106r).

29. **ქრისტიანესა უხმს** – რათა ნათელ უხმს სოფლისა მართალ, ვითარცა უფალი იტყვის: თქვენ ხართ მართალნი სოფლისანი ... (106r-108r).
30. **სარწმუნოება ერთაარსებისათვის (!) წმინდისა სამებისა** – ვინებად (!) მითხრობად, რომლითა სარწმუნოებითა დამტკიცებულ ვართ ... (108r-109v).
31. **თქმული წმინდისა იოვანე ოქროპილისა** – არავინ არს მართალ, რომელსამცა არა <არა> უძლოდა ბრალი რამე ... (109v-111r).
32. **თქმული მისივე იოვანე ვოქროპილისა** – დადათუ ყოველნი დღენი შენი (!) ცოდვასა შინა წარგებადნენ ... (111r-112r).
33. **წმიდისა მამისა ჩვენისა იოვანე ვოქროპირისა ვოთხშაფათ-პარასკევისათვის** – ძმანო საყვარელნო, ისმინეთ მცნება ესე, რომელთა გამცნებ თქვენ ... (112r-114v).
34. **თქული წმინდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა** – ჯერ არს ჩვენდა ყოველსა ჟამსა მოსვლვად ეკლესიასა და არა განყენდ, რამეთუ ლოცვა წესი არს ზეცისა ძალთა (115r-116v).
35. **თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა იოვანე ვოქროპილისა. გვაკურთხენ, მამავო** – რომელნი დგანან და მოელიან დღესა კვირიაკესა და სამღრთოსა დღესასწაულთა ... (117r-123v).
36. **მცნება წმინდისა ბასილისა მღდელთა მიმართ, თარგმნილი არსენისა** – რიდე თავსა ჴოი, ხუცესო, და ეკრძალე მსხვერპლსა, რომელი მიიღე ... (123v-126v).
37. **სწავლა წმინდისა იოვანე ვოქროპილისა და სხვათა პილოსოფოსთა (!) მეორედ მოსვლისათვის** – ვითარიმე ვიყვნეთ მაშვინ, ანუ რასა და ვითარსა ძრწოლასა შევეპყრნეთ, მაშინ იხილოთ და გულისხმა ყოთ, ვოდეს იგი იყვნეს ძენი ისრაილისანი ... (126v-138r).
38. **სწავლანი სულიერნი გამოკრებულნი თვითოსახეთა წიგნთაგან** – ვინ უწინ შეასხა ღვთაებასა: „წმინდავო ღმერთო, წმინდავო ძლიერო, წმინდავო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენო“? მიგება: **ლეომ** სთქვა ... (138v-159v).

შენიშვნა: განმარტებები ძველი და ახალი აღთქმის ისტორიებიდან.

39. სამი იგი შეუძლებელ არს ცნობად ჩემგან და მეოთხე იგი გულსხმა-ვყავ – კვალი ვორბისა ფრინველისა ჰაერთა შინა რა სახე იყო ... (159v-184r).
40. სახისმეტყველებით სიტყვისგება წმინდათა მღვდელთმოძღვართა: ბასილისი და გრიგოლისი – მაუწყე მე ყოველთა დაბადებულათა უწინარეს თუ რომელნი დაბადნა ღმერთმან ... (184v-197v).
41. კითხვა-მიგება წმინდისა ბასილისა და გრიგოლისა. გვაკურთხენ, მამაო ბასილ – ბასილ სთქვა: სადა გამოდის ერთისა თვალისაგან ვორი ... (197v-205v). 42. კითხვა-მიგება წმინდისა ბასილისა და გრიგოლისა მიმართ – ბასილი კითხა გრიგოლის: რაჟამს არცა ცა იყო და არცა ქვეყანა, რასა ზედა განისვენებდა საღტარი (!) ღთაეზისა ... (206r-224v).
43. კითხვა-მიგება გრიგოლი ღვთისმეტყველისა ანგელოსისა მიერ – წმინდამან გრიგოლი განმანათლებელმა ვორმეოცსა დღესა და ვორმეოცსა ღამესა პური არა ჭამა და წყალი არა სვა ... (224v-230r).
შენიშვნა: იგულისხმება გრიგოლ პართელი (განმანათლებელი).
44. ათანასე ალექსანდრიელისა თქმული კითხვა: რომლისა ლოცვისაგან უმფროს ეშინის სულთა უკეთურთა და ივლტიან მისგან ძრწოლით ... (230r-277v).
45. სიტყვანი წმინდათა მამათანი იგავნი – პირველი ა. კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იეროსალიმით იერიქოდ ... (277v-291v).
46. კითხვა-მიგება წმინდათა მამათა – კითხვა ა. ოთხნი იგი სახარებანი სადა დაინერნეს ... (292r-306r).
47. სიტყვანი გამოკრებულნი სახარებათანი წმინდათა მამათა მიერ – რა არს სიტყვა იგი, ვითარმედ დგეს ჯვარსა მას თანა დედა მისი და <და> დედისა მისისა მარიამ კლეოპასი ... (306r-339v).
48. ვითარ ჯერ-არს მღვდელი, რომელი სდგეს წინაშე წმინდისა საკურთხეველისა – აჰა, ესერა გამოისახა ჯვარცმა ქრისტესი და დაფლვა ... (339v-348r).
- ხოლო წმინდა ნათლისღება არს ... (345v-346v).
 - ხოლო წმინდა იგი მირონი მოასწავებს ... (346v-348r).

- 49. სახისათვის მონაზონებისა. გვაკურთხენ, მამაო –** ხოლო წესი და სახე მონაზონებისა მსგავს არს მტერთა ჩვენთა და უძლეველ წინააღმდეგომთა ჩვენთა ... (348r-390v).
- 50. ამას წიგნსა ეწოდების ხრონოლოგი (!). სიტყვა მეორედ მოსვლისათვის და აღსასრულისათვის. პრიელპაი სონა(!) –** ოდეს იგი მოეახლოს აღსასრული ჟამთა და დღეთა მათ უკანასკნელთა, გამოვიდენ ბარბაროზნი ... (353r-398v).
- მერმე ძლევა ბერძენთა მიერიდგან (367v-369v).
 - განიცადე აქაცა (369v-373v).
 - მაშინ გამოჩნდეს ძე იგი წარწყმენდისა (374r-379v).
 - ანტესთვის თქმული სხვა განმარტება (379v-384v).
 - მეორედ მოსვლისათვის (385r-v).
 - ჟამთა უკანასკნელთა არნივი მეფე (386r-387v).
 - მეფე მანგლოსანი (387v-388r).
 - მეფე ხარი (388r-v).
 - მეფე გლახაკი (388v).
 - მეფე პატრიაქი (388v-389r).
 - მეფე დედაკაცი (389r-v).
 - და შემდგომად მეფე იქმნას ქარცი (389v-390r).
- 51. აქა დიდებით მეორედ მოსვლა უფლისა და მკვდართა აღდგომაა. აღდგომისათვის მკვდართასა, თქმული იოვანე დამასკელისა –** გვრწამს უკვე აღდგომაცა მკვდართა, რამეთუ არს ჭეშმარიტად ... (391r-394r).
- 52. გოდება იაკობ მონაზონისა, რომელი წინასწარმეტყველებით თქვა –** განილვიძე, იერემია, განილვიძე წინასწარმეტყველებითურთ ... (394r-398v).
- 53. სიტყვისგება ბერისა ეფვთიმე გრძელისა სოსთენის მიერ სომეხთა მოძღვრისა –** ჟამთა უკვე ღვთისმსახურისა მეფისა ბაგრატიანათა იქმნა უკვე კრება კვალა ღრტილას, არა ვიდრემე სამღვდლო, არამედ უმფროსლაა სამხედრო იყო ... (398v-428r).

54. **სოლომონის კითხვა-მიგება – ზაქარია** კითხა: ჭოი, მეუფეო, ღმერთმან, რომელსა დღესა შექმნა ცა და ქვეყანა ... (428v-434r).
55. **უნყება პეტროზ მკანწრელისათვის და ალაჯასათვის და ალაჯოროთა მარხვისა** – იყო პატრიაქი, კაცი წმინდა, უბინო და მართალი ... (434v-441v).
56. **უნყება საბულის ძისა სუბსარქისათვის** – მათვე ჟამთა შინა კაცი ვინმე იყო ნაგმირევი და სახელი მისი **სუფალის** ... (441v-444v).
57. **პეტროზისავე** – ხოლო განისმა **იეროსალიმს** და ყოველთავე მათ **კოსტანტინოპოლეს** ... (444v-450r).
58. **თარგმანება სომეხთა წვალებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებინ სომეხნი** – ა. შემდგომად ვითარცა უხრწნელ არმგონებელნი შეიჩვენებინ ... (450v-462r).

ანდერძები:

1. **მხედრული:** ღირს ყო უფალმან მდივანი ამა წიგნისა სამღრთოსა ძალისა ცნობად და ძალითა სამღრთოთა; დაიცევ, უფალო, ყოველნი წელნი ცხოვრებისა მისისანი მრავალჟამიერ უკუნისამდე, ამინ, ჩყმგ (1843) წელსა, იგნისის იზ დღესა (461v-462r, ხელნაწერის ბოლოს).
2. **მხედრული:** საყვარელნო ძმანო, წიგნისა ამის სახელის ცნობა თუმც გნებავს, ამისთვის ერთი სახელის წოდება არა აქვს ამას, ვინადგან მრავალნი კეთილნი წერილნი ერთად შეკრულ არს და თუმცა გნებავს ცნობის, ვოდეს იხილავ თვით კითხვასა შინა სცნობ, თუ რომელნი სახელნი ეწოდებიან. გარნა პირველი ერთი სახელი ესე არს **მარგალიტი** და უკეთუ ხარ მსურველი, რათა სცნა ყოველნი კეთილნი საქმენი, სულგრძელ იქმენ ამა წიგნისა კითხვასა და ყოველივე გაუწყოს თქვენ. ღმერთო, აცხოვნე ამის მდივანი **სპირიდონ იესეს ძე მჩხიკვაძე** (464 r-v, გადამწერისავე ხელით, ხელნაწერის ბოლოს).

მინაწერები:

1. 1881 (1r, ფორზაცი).
2. **მხედრული:** 1881 წელსა 15 მარიაშობას თვეს დაიბადა ათ საათზედ **ცუცა** (1v, ფორზაცი).

3. **მხედრული:** ჩყმნა-სა(1891) წელსა ივლისის ივ-სა დღესა ორშაბათსა იქმნა მზისა დაბნელება. იწყო შვადლიდგან და მიაწია მეექვსე საათის შესრულებაზედ და იქმნა სრული დაღამება ოთხ მინუტს. ამბავი ესე მოხდა დიდის ხელმწიფის იმპერატორის **ნიკოლაოზის** ხელშიდ (464r, ხელნაწერის ბოლოს, სხვა ხელით).

შენიშვნა

1. ხელნაწერში შესულია წმინდა მამათა კითხვა-მიგებები, სწავლანი ქრისტიანული მორალისა და ეთიკის საკითხებზე. განმარტებულია ბიბლიის ცალკეული ადგილები და ა. შ.
2. კრებულში შეტანილია მასალა წმ. იოანე ოქროპირის ამავე სახელწოდების კრებულიდან „მარგალიტი“.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 117-119.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2011 წ., გვ. 398-399.

კრიპული, 1834

1446/114

ტიქნიკური აღწერილობა:

122 ფ. ზომები: ყდა – 213×173, ქაღალდი – 205×166, ტექსტი – 170×133, სისქე – 30, სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 17, მარცხენა – 20, მარჯვენა – 15. მასალა: ქაღალდი; მელანი – შავი; კოლენ-კორგადაკრული მუყაოს ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; შიგადაშიგ მარტივად გაფორმებული საზედაო გრაფემები; სტრიქონების რაოდენობა – 15; აღრიცხვა – გვერდობრივი არაბული ციფრებით; ხელნაწერი ამჟამად რესტავირებულია; 122v-ზე აქვს მურის ბეჭედი წარწერით: „Бог моя надежда“, შუაში – სულიწმინდა, ასევე – გულის გამოსახულება ღუზითა და ჯვრით; გადამწერი – ანდრია ტერ-გრიგოროვი (111r); 1834 (111r); დათარიღების საფუძველი – ანდერძი; ორგან ბოლოსამკაულად გამოყენებულია მარტივად გაფორმებული ჯვარი (104r, 108r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. ცხოვრება არის ალექსი კაცი მღვთისა – კაცი იყო ვინმე სტან-ბოლსა შინა, მემკვიდრე, დიად, მდიდარ, რომელი ეწოდებოდა სახელათ ეფრემ ... (1r-18r).**

შენიშვნა: წმიდა ალექსი ღვთისკაცის ეს „ცხოვრება“ გვიანდელი პერიფრაზული ვერსიაა. შდრ. 1446/84.

ბიბლიოგრაფია: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004, გვ.127.

2. **ქება ღვთისმშობლისა – ვფიქრობ, ზრახვაში, გულის აღთქმაში, სიტყვას ვეძიებ შიგ საუნჯეში ... (15^vr-18r).**

3. **მოთხრობა ესე სპილენძის ქალაქისა, რომელი არის მაგალითი ქვეყანას – იყო ბაღდადის ქალაქში ერთი ხემნიფე, რომელს ერქვა აბუმელიქი ... (18r-44v).**

ბიბლიოგრაფია: სპილენძის ქალაქიანი, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2., თბილისი, 1958 წ., 445-448.

შენიშვნა: ტექსტში ზოგიერთი სიტყვა ან ფრაზა ფანქრითაა გახაზული, ასევე რამდენიმე სიტყვას თავზე ფანქრით აწერია რუსული სიტყვა.

4. **სწავლება და მეცნიერება თქმული ხიკარ ბრძენისაგან, რომელითა განსწავლდებიან ძენი კაცისანი და გულად იღებენ მეცნიერებასა – მე ხიკარ ვეზირი ვიყავი ქურუმ ხემნიფემა აისორეს ტანისა და მყავდა სამოცი ცოლი ... (45r-58r).**

5. **ხარება იოკიმესი და ანნასი, ოდეს ანგელოზმა ახარა შობა წმინდისა ღვთისმშობლისა მარიამსა – იოაკიმემ და ანნა დაბერებულ იყვნენ და შვილი არა ჰყვანდათ ... (58r-66r).**

შენიშვნა: არასწორი გადანერის გამო გადამწერს სიტყვა „მარიამსა“ ტექსტის დასაწყისად მიუჩნევია. შესაბამისად, თხრობა იწყება ასე: „მარიამსა იოაკიმემ და ანნა დაბერებულ იყვნენ და შვილი არა ჰყვანდათ“.

6. **ხარება და დაბადება იოვანე ნათლისმცემლისა – მშობელნი დაბერებულ იყვნენ, ელისაბედ დეიდაშვილი იყო წმინდის ღვთისმშობლისა ... (66r-91r).**

7. **[ვნების შვიდეულის საკითხავი] – სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ღვთისმოყვარებამან თქვენმან და კეთილმსახურებამან თქვენმან კეთილათ უწყის, რამეთუ უფალი უფალთა და მეუფე მეუფეთა, შემოქმედი ყოველთა ქმნილთა, ხოლო შობილი ძე დავითისა მეფისა დღეს ხორციით მოკვდა ჩვენთვის ... (91r-110r).**

8. **მოთხრობა ქალისა და ვაჟისა – კაცი იყო ვინმე დიახ მდიდარი, ჰქონდა მოხელობა დიდის ქალაქისა ... (111v-122r).**

ანდერძები:

მხედრული: დამიწერია მე ანდრია ტერ-გრიგოროვს 1834-სა წელსა 1/7 მარიამობისა დღესა (111r).

მინაწერები:

1. მხედრული: ეს წიგნი ეკუთნის ანდრია [...] (1r, ფორზაცი).
2. Это книга принадлежит Андрею Тер [...] (1r, ფორზაცი).
3. უმნიშვნელო შინაარსის მინაწერები (1ar, 122v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 119-120.

ვახტანგი VI, სამართალი [XIX]

1446/115

ტიქნიკური აღწერილობა:

73 ფ. ცარიელი ფურცელი – 73; ზომები: ყდა – 232×178, ქალღი – 222×169, ტექსტი – 198×153, სისქე – 21, სტრიქონებს შორის მანძილი – 7; არშიები: ზედა – 7, ქვედა – 5/9, მარცხენა – 5/17, მარჯვენა – 10; მასალა: ცისფერი ქალღი; მელანი – შავი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული; სტრიქონების რაოდენობა – 17/19; ავტორი – **ვახტანგ VI; [XIX]** დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. გადანერილია ორი სხვადასხვა ხელით: 1. 2r-31v; 38r; 39r-60v; 67r-69v; 70r-72v; 2. 1r-v; 32r-37v; 38v; 61r-67r; 69v-70r. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის სახელობის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: [შ]ესავალი პირველი ბატონიშვილის **ვახტანგისა**, მყოფსა უმყოფისა არსისა და უარსისა დამაარსისა მქები, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებული(!) და მგონებელი(!), უდებად მქონე... (1^r).

„სამართალი მეფე ვახტანგისა“ შემდეგი თავებისგან შედგება:

შესავალი პირველი, ბატონიშვილის ვახტანგისა (1^r-3r)

1. **ა.** ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოვლის სამართალში მჯდომს კაცსა ... (3r-v).
2. **[ბ.]** საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნები-საებრ თვისისად ბრძანებულან ... (3v-4r).
3. **გ.** პირველი ესე, რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი მიმხვთარი გამომეძიებელი გონება ... (4r-v).

4. **დ.** უფროსი ერთს სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გაამრუდებინებს მოსამართლეს ... (4v-5r).
5. **ე.** სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმან არა ჰკითხოს ... (5r).
6. **ვ. საქართველოს** რიგი და სამართალი ექვსი არის ... (5r-v).
7. **ზ.** წმალში გატანება მეფეთ ორგულობასა ღალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატის და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებზე ამ წესით უნდა ... (5v-6r).
8. **წ.** შანთი და მდულარე ორივე ერთი არის, ამისი ასრე უნდა ... (6r-v).
9. **თ.** შანთი ასრე არის, რკინა რამ გააჭურონ, რომ განითლდეს ... (6v).
10. **ი.** ფიცი ასრე არის ერთის ჯარის შეწამებაზედ უმთხრობლოდ ... (6v-7r).
11. **ია.** ან ეს უნდა, მოსამართლემ იცოდეს: თუ ფიცი რომლისა არის, ვინც შესწამებს ვისმე რასმე ... (7r-v).
12. **იბ.** ერთი ესეც: მამულის ცილებაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების ... (8r-v).
13. **[იგ.]** მონმით სამართლის ქნა ასრე არის ... (8v-9r).
14. **იდ.** ცოდვის მოკიდებისა ასრე არის, დიდი საქმე ... (9r-v).
- იე.** კარი თეთრის გარიგებისა ... (9v).
15. **ივ.** ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის ... (9v-10r).
16. **იზ.** ან ესე სცანით მოსამართლევ, გამრიგევ, თუ რასაც ფერს სისხლში, რომელის და რა რიგის კაცს, რას საქონელიდამ მიეცემის ... (10r-v).
 - **იწ.** გლეხისკაცის სახლში ძროხა იყოს გაჩენილი ... (10v).
 - **ით.** აზნაურიშვილისათვის მესამდენი(...) თეთრი იყოს ... (10v).

შენიშვნა: უნდა ეწეროს მესამედი.

 - **კ.** შუათანამ და მისი ქვემოთმან თავადმან ... (11r).
 - **კა.** ამის უმაღლესმან თავადმან ... (11r).
 - **კბ.** სულ უმაღლესმან თავადმან ... (11r).
 - **კვ.** არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი ... (11r-12r).

- კდ. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე ... (12r-v).
 - კე. მეფისა და კათალიკოზის საქმე უკადრისი ... (12v-13r).
 - კვ. დიდებულის თავადის მთელი სიკვდილის სისხლი ... (13r).
 - კზ. დიდებულის ქვემოთის თავადის სისხლი შვიდას სამოცდარვა თუმანი ... (13r).
 - კწ. ქვემოთს მესამეს თავადის სისხლი ... (13r).
 - კთ. გადიდებულ აზნაურის სისხლი ... (13r-v).
 - ლ. ამას ქვემოთ აზნაურის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი ... (13v).
 - ლა. ცალმოგვის მესამეს აზნაურის სისხლი ... (13v).
 - ლბ. ამასთან ასრე დაკლებით მსახურის სისხლი ... (13v).
 - ლგ. გლეხის კაცის სისხლი თორმეტი თუმანი ... (13v-14r).
 - ლდ. მეფისა, კათალიკოზისა და უფლისწულისა ... (14r).
 - ლე. დიდებული თავადი ეს არის ერთი თავი ... (14v).
 - ლვ. ან ესე ვიწყით: უკეთუ მოკლას დიდებული ... (14v-15r).
 - ლზ. თუ მკვლელი არა ჩნდეს ... (15r).
 - ლწ. თუ მთხრობლით სწამობდეს ... (15r-v).
 - ლთ. თუ დიდებულის სისხლი შუას თავადს შეეთქვას ... (15v).
 - მ. თუ ან უმცროსს თავადთ, აზნაურთ ან მსახურთ ... (15v-16r).
 - მა. გლეხის სისხლის შეწამებაზედ ... (16r).
 - მბ. ამათი სისხლი არ ითხოვბის ... (16r-17r).
17. მგ. [ასოთა და ჭრილობათა სისხლისათვის] ... ან ესე ასე გასინჯეთ ... (17r).
- მდ. რასაც გვარისა იყოს, ასრე მიაცემინებოდეს ... (17r-v).
 - მე. კაცის აგებულების სისხლი სამწილად არის გაყოფილი ... (17v).
 - მვ. ფეხის თითი ჳელის თითთან არ ჩავარდების ... (17v).
 - მზ. წინა თუ უკანა კბილები, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე ... (18r).
 - მწ. წარბს ქვეით და ყელის ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დააჩნოს ... (18r).
 - მთ. სხვას ჭრილობისა ტანზედ, ბარკალზე და წვივზედ ... (18r-v).
18. ნ. თუ სასაფლაოზე სწორი დაესხას ... (18v-19r).
- ნა. თუ სასახლეს და ცოლ-შვილში კაცი მოუხდეს კაცს ... (19r).

- **ნბ.** თუ ასეთს გლესს დაუსხას, რომე ახლოს იყოს ... (19v).
 - **ნგ.** თუ უსასახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს ... (19v).
 - **ნდ.** თუ ისრე სოფელი მოურბიოს და პატრონი იქ არ იყოს ... (19v).
 - **ნე.** თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბევლად ... (20r).
 - **ნვ.** თუ ამგვარი საქმე უმცროსს უფროსმა კაცმა უყოს, დათმობა მართებს ... (20r).
 - **ნზ.** ამგვარის მიხდომაში თუ სხვაგვარ შეყრაში ... (20r-v).
 - **ნწ.** თუ შუამავალი მოკვდეს, ბერი თუ მონაზონი ქალი, თუ კაცი მოკითხული უნდა იქნას ... (20v).
 - **ნთ.** თუ კაცი არას ემართლებოდეს მოლაღატედ ან გზაზედ სადმე ... (20v-21r).
 - **ა.** თუ ასეთ კაცს ღალატად დაუდგეს, რომ ემართლებოდეს და ერთი აუგი და მოყივნება სჭირდეს ... (21r).
 - **აა.** თუ მისი სწორი კაცი ცოტას სამძღვრისათვის თავის მამულში დააჯელოს ... (21r-v).
19. **აბ.** თუ კაცმან ცოლი მოკლა ... (21v).
- **აგ.** თუ ცოლი დაჭრას ... (22r).
 - **ად.** მაგრამ კაცი რომ სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს ... (22r).
 - **აე.** თუ ცოლმან ქმარი მოკლას ... (22r).
 - **ავ.** ცოლი ან ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანერთს ... (22r).
 - **აზ.** თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს ... (22v).
 - **აწ.** ერთი არის, რომ ბოზობით შვილი ეყოლების ... (22v).
 - **ათ.** თუ დედაკაცმან მეზობელს ... (23r).
 - **აო.** თუ ქალს კაცი გაუაშიყდეს და ქალი არ აპყვეს ... (23r).
 - **აა.** თუ ერთმან მეორის ცოლს უაშიყოს ... (23r-v).
 - **აბ.** თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს ... (23v).
 - **აგ.** თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს ... (23v).
 - **ად.** დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა ... (23v).
20. **აე.** თუ აზნაურმან ან გლესმან მისგან უფროსი კაცი მოკლას ... (23v-24r).
21. **აზ.** თუ უმძრახი კაცნი ... (24r-v).

22. **ოზ.** გამორჩენილად, მონმით ნათხოვნი ქალი ... (24v).

- **ოწ.** თუ მამამ შვილი მოკლას ... (24v).
- **ოთ.** აგრევე მოხდება დედ-მამაში ... (25r).
- **პ.** იქნება მამა-შვილნიცა გაყრილიყვნენ ... (25r).
- **პა.** თუ ძმას(...) ძმა მოკლას ... (25r-v).
- **პბ.** თუ ძმამ და მოკლას ... (25v)
- **პგ.** თუ ძმამ ძმისა და სახლის კაცის მხლებელი გაანზილოს ... (25v).

23. **პდ.** თუ კაცმან ცოლი წაგვართოს(...) კაცსა ... (25v-26r).

- **პე.** თუ დედაკაცი მოიტაცოს ... (26r-v).
- **პვ.** თუ კაცმან კაცის ცოლთან ბოზობა შეიმთხვიოს ... (26v).
- **პზ.** დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო ... (26v).

24. **პწ.** თუ კაცმან მამულის ცილებაში ... (27r).

- **პთ.** თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით ... (27r).
- **ჟ.** თუ კაცს კაცი გაგინებოდეს და მერმე ის გაგინებული კაცი მომკვდარიყოს ... (27r-v).
- **ჟა.** თუ კაცი კაცს დაუჭრავს და უპატიურად მიჰპყრობია ... (27v).
- **ჟბ.** თუ ფათერაკად კაცი შემოაკვდეს ანუ შემოეჭრას ... (27v-28r).
- **ჟგ.** ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას ან დაჭრას ... (28r).
- **ჟდ.** თუ კაცს კაცის ვალი ემართოს ... (28r).
- **ჟე.** თუ კაცმან თავის ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს ... (28r-v).

25. **ჟვ.** თუ ცოლი გამოართვან და გაუყიდოს ... (28v-29r).

- **ჟზ.** თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი ... (29r).

ჟწ. აქა კარი დასაწყისი გაყრისა და ერთმანეთის დაშორებებისა თუ ვით უნდა, უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი ... (29r-v)

26. **ჟთ.** ადამს აქეთ ქვეყანა გაყრით არის მოშენებული ... (29v-30r).

- **რ.** გაყრაში ეს არის: საუფროსო, გასაყრელო(...), საუმცროსო და საშუალო ... (30r).
- **რა.** გასამყრელო ჴელმწიფისა არის რა ... (30r-v).
- **რბ.** საშუალო ასრე არის ... (30v).
- **რგ.** უმცროსი ძმისა საუმცროსო სასახლე ... (30v-31r).

- **რდ.** სხვა რაც გასაყოფი გლეხი დარჩების, მისი ასრე უნდა (32r-33r).
- **რე.** იქნების ზოგს ძმასი სათვითოდ ნასყიდი ... (33r).
- **რვ.** სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია ... (33r).
- **რზ.** საქონელი გაყრაში რაც ჰქონდესთ ... (33r-v).
- **რწ.** თუ უფროსი ძმა უშვილოდ ამოვარდა ... (33v).
- **რი.** ახლა ასრე არის. თუ თავისის ნაშოვნის საქონელით ... (34r-v).
- **რია.** თუ კაცმან მამული რამე იყიდოს, გინა სხვა რამე თავისით თუ საერთოთი ... (34v).
- **რიგ.** უშვილო კაცი – ძმა იყოს ვინმე თუ ბიძა, გინა ბიძაშვილი ... (35r).
- **რიდ.** რუს სარწყავს წყალის როგორც მამულს გაიჰყოფენ ძმანი ... (35r).
- **რიე.** სულადს ასრე გაიყოფენ ... (35r-v).

რივ. კარი პირველი: ვალისა თუ როგორ აიღების (35v)

- **რიზ.** პური ერთი ორათაც გაცემულა ... (36r).
- **რიწ.** ღვინო ერთი სამათაც აღებულა (36r).
- **რით.** ერთი რიგი ვალი ეს არის, რომე ... (36r).

27. რკ. ან კოკისა და კოდისა მოგახსენო (36v).

- **რკა.** პურთ ადგილია კოდი ... (36v).
- **რკბ.** ქერი ადგილთა კოდი ... (36v).
- **რკგ.** ფეტვი, კოდი იქნების ათიანი ... (36v).
- **[რკდ.]** ან ესე მოგახსენოთ ლიტრა რა არის ... (36v-37r).

28. რკე. სამართალიანედ(...) თეთრისა, პურის და ღვინის გავალეზა როგორ ჰხამს (37r).

- **რკვ.** პური სამართლიანად ათი-თორმეტად ... (37v).
- **რკზ.** ღვინო თუ ძველი ევალოს ... (37v-38r).
- **რკწ.** ღვინოზედ თეთრის გაცემა ასრე უნდა (38r).

29. რკთ. პურზედ თეთრის გაცემა (38r).

30. რლ. თეთრის მუშაზედ გაცემა (38r-v).

- **რლა.** მოვალე მოვალეს რომ უჩიოდეს ... (38v-39r).
- **რლბ.** თუ კაცი გაღარიბებულიყოს ... (39r).

- **რლგ.** თუ კაცი დაკარგულიყოს ... (39r).
- **რლდ.** თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ჰყვანდეს ... (39r-v).
- **რლე.** თუ კაცი დაკარგული იყოს ... (39v).
- **რლვ.** თუ შვილი ან მამისაგან, ან სხვის ვისგანმე ან გასყიდულა ... (39v).
- **რლზ.** თუ კაცი ამოვარდეს და აღარ დარჩეს ... (39v-40r).
- **რლწ.** თუ ქალის მეტი არა დარჩეს რა და საქონელიც დარჩეს ... (40r).
- **რლთ.** საქართველოს რიგით ძმა თუ ძმისწული ... (40r-v).
- **რმ.** სანამდინ მამა ცოცხალი არის, შვილმან რომ ვალი აიღოს მამის უკითხავად, მამა არ მისცემს და არც ეთხოვების (40v).
- **რმა.** პაპას თუ პაპის მამას ვალი აეღოს ... (40v).
- **რმბ.** ესეც იქნების: მოვალეს რომ კაცი ველარ აუვიდეს ... (40v-41r).
- **რმგ.** ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს, მოვიდოდეს და იჩივლოს ... (41r).
- **რმდ.** ქალაქში მოფიცარი ამოკვეთნილი არის ... (41r-v).
- **რმე.** თუ კაცი ამოვარდეს ... (41v).
- **რმვ.** თუ კაცი ამოვარდეს და დედისა და დის მეტი არა დარჩეს ... (41v).
- **რმზ.** იქნების, რომე კაცს კაცთან ღსტიბარი ჰქონდეს ... (41v-42r).
- **რმწ.** კაცი რომ უცნობს თემს წავიდეს ... (42r-v).
- **რმთ.** ამანათი ეს არის ... (42v).

რნ. ან ვინყოთ კარი ქურდობის ან სამართალი მისი ... (42v)

- **რნა.** ერთი ძნელი ესე, რომე თუ ცოლი და ქმარი ერთს სახლში ერთად მწოლს შეეპარა ქურდი ... (42v-43r).
- **რნბ.** მეორე ლაშქრობაში თუ ან ცხენი და იარაღი, ან ტანსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოჰპაროს ... (43r).
- **რნგ.** მესამე ძნელი დედაკაცს რომ ზედ შებმული ... (43r-v).
- **რნდ.** ამ ზემო წერებულის ქურდობაებს გარდა სხვა ქურდობაები ... (43v).
- **რნ[ე].** საქართუჭლოს სამართალი ერთი ეს არის, რომ კაცმა დაკარგოს რამე და ან მოჰპარონ ... (43v-44r).

- **რნ[ვ]**. საყდრის გატეხის ჯვარის და ხატის დამტვრევისა ... (44r).
- **რნზ**. არის კიდევ: კაცმან პირუტყვი და რაგინდა რა საქონელი თავის საქონელს ამსგავსოს ... (44r-v).
- **რმც**. ერთი ეს ვთქვათ დასტურ დადებული არის: კაცი თავის საქონელს იცნობს ... (44v-45r).
- **რნთ**. კაცმან რომ კაცს ქურდობა თუ სხვა რაგინდარა შესწამოს ... (45r).

კარი ნასყიდობისა (45r)

31. **რგ**. თუ კაცმა ნასყიდობა ქნას მამულის სოფელი ... (45r).
 - **რგა**. სყიდვა ასრე უნდა: კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით ... (45v).
 - **რგბ**. თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს ... (45v).
 - **რგგ**. ჳელმწიფის სახასოს აზნაურიშვილის და სახასოს გლეხისა ... (45v-46r).
 - **რგდ**. ან თუ სხვას თემს ვაჭარი სავაჭროდ წავიდე(...) ... (46r-v).
 - **რგე**. იქნების კაცმან ახალს ნასყიდს მამულს და აგარაკში ქონება რამ იპოვნოს ... (46v).
 - **რგვ**. თუ პირუტყვი, აქლემი, ცხენი, ჯორი, ულაყი და რაც რჩომა პირობით მიჰყიდა ... (46v).
32. **რნზ**. გაცვლილობისათვის (47r).
33. **რნც**. უშვილობისათვის (47r-v).
34. **რდთ**. ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა არის: წყალი, შეშა და ბალახი (47v).
 - **რო**. წყალი ასრე, რომე სადაც ჳემწიფე წყლის რუს გაიტანს ... (47v)
 - **როა**. ბალახი: მთასა თუ ბარსა კაცს კაცისაგან ამიტომ არ დაეჭირვის, რომ ჳემწიფეს ... (47v-48r).
 - **რობ**. მთა და შეშა ამისთვის არ დაეჭირვის ... (48r).
35. **როგ**. ქვეყანაში ამისი ყადაღა ჳელმწიფისაგან უნდა იყოს ... (48r).
 - **როდ**. თუ შორეულმან ასეთი კაცი იხუთოს ... (48r-v).

36. **როე.** ებისკოპოზის ბეთალმანი ... (48v-49r).
37. **როვ.** ორბატონობასა და ორიანობაში ... (49r).
- **როზ.** იქნების ჴელმნიფემ თუ მებატონემ ჯარი გაუსიოს ... (49r).
 - **როჭ.** ლაშქარში დანარჩენებულს კაცსა და იარაღზედ ირჩოდენ, მისი ასრე იყოს (49r-v).
38. **როთ.** ნადირობასა შინა ცილება ქნილა და იქნების, მაგრამე მაინც ისრის საქმე ... (49v-50r).
- **რპ.** იქნების ერთს ცოტად წაეხენოს და მეორეს მასუკან დიდი მოეკვეთინოს ... (50r).
 - **რპა.** რასაც რქიანს ნადირს თუ რქას ვისმე ისარი უწინ მოხვდა ... (50r).
 - **რპბ.** იქნების ნადირობაში შეძგერება და სიკვდილი მოხდეს ... (50r-v).
 - **რპგ.** აგრევე ქალის სახუნდრისა ნადირობაში თოფი[თ] მოკლულზედ რომ ცილობა შეიქნას ... (50v).
39. **რპდ.** იქნების და ქნილა მდინარემ წყალმა ძველი ნადენი ალაგი დააგდოს ... (51r).
- შენიშვნა:** რპე გამორჩენილია.
40. **რპვ.** თუ გასყიდულს მამულში კაცმან მსყიდველმან საქონელი იპოვნოს ... (51r).
41. **რპზ.** ათს წლამდის ყმარწვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა ... (51r-v).
42. **რპე.** ნაშრომისა და რასაც ფერისა პირუტყვისაგან წახდენისათვის ... (51v).
43. **რფთ.** ვაზის აკაფისა ნერგისა, გინა ხილისა ასრე იქნას ... (51v-52r).
- **რფ.** აგრევე ხილი თუ სახმარი ნერგი ან მოუჭრას, ან მოუკაფოს ... (52r).
44. **რფა.** დაწვისა (52r).
- **რფბ.** თუ ყანას ან ვენახის ღობეს, ან ბჯასა, ან თივას, ან საბძელს მტრობით ცეცხლი დაუდვას ... (52r-v).

- **რჟგ.** დამწვარი კაცი თუ ამას ამბობდეს ... (52v).
45. **რჟდ.** თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმან კაცს აწყინოს რამე ... (52v).
- **რჟე.** კაცმან თუ ორმოს პირი ავდილი გაუშვას და იმაში ან კაცი, ან პირუტყვი ჩვარდეს ... (52v-53r).
46. **რჟვ.** თუ ვისიმე პირუტყვი ირჩოლებოდეს ... (53r).
47. **რჟზ.** ნაძღვევისა ასრე იქნას ... (53r-v).
48. **რჟტ.** თუ სხვას ქვეყნიდამ სხვას საბატონოს მკვიდრი კაცი საყმოდ მოუვიდეს ... (53v).
- **რჟთ.** თუ ამავე საბატონოში ერთისა მეორეს ყმა მოუვიდეს ... (53v-54r).
 - **ს.** თუ ერთიმეორის ყმა ერთმანერთს მოუვიდეს ... (54r).
 - **სა.** თუ აქიდამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს ... (54v).
 - **სბ.** თუ საბატონოს კაცის შვილის ყმა სხვას საბატონოში წავიდეს ... (54v).
 - **სგ.** გლეხის კაცის ქვრივი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალად ნუ გაათხოვებს ... (54v-55r).
49. **სდ.** გლეხის გაყრა ასრე არის ... (55r).
50. **[ბოლოსიტყვაობა]** – თვით თავით თვისით აღმომეტყველი წიგნისა ამის სამსაჯულოსა (55r-56r).
51. **თუ ვითარ ჳამს დაწერა განაჩენისა, აქ გაშიწვეთ და სცნობთ:**
- **სე.** ამ შეკრებულის სასამართლოს წიგნსა ასრე იქნებოდეს და ამ წესით ისმენდნენ ... (56v-57r).
 - **სვ.** მამულისა თუ რისაც ფერის განაჩენი რომ იყოს ჳელმნიფისაგან გასამართლებული ... (57r).
52. **სზ.** მიბარებულისა რასაც ნივთისა და გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს (57r-58r).
- **სჭ.** კაცმა რომ კაცს მიაბაროს რამე ... (58r-v).
 - **სთ.** კაცს რომ კაცის საქონელი ბარებოდეს(...) რამე ... (58v).
 - **სი.** თუ კაცმან კაცი ინათხოვროს ან თუ მოკვდეს ... (58v-59v).
 - **სია.** თუ პირუტყვი მოიპაროს კაცმან კაცისა ... (59v).

53. **სიბ.** მოსამართლეს რომ საეჭვო მოხსენდეს ... (59v).
- **სიგ.** მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხვდეს ... (59v-60r).
54. **სიდ.** ქვეყანისა და ქალაქთ შენახვისა (60r).
55. **სიე.** ბჭის დადგინებისათვის (60r).
56. **სივ.** დედაკაცის საჩივარში მოსულისა (60r-61r).
57. **სიზ.** ეკლესიის მამულის დამთესველმან ... (61r).
58. **სიჭ.** საფლავის მიწის ფასისათვის (61r-v).
- **სით.** სამარხის მიცემისათვის მამული იხსენების ... (61v-62r).
59. **სკ.** თუ სახელმწიფოს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს ... (62r).
- **სკა.** ციხიდამ და სამაგრიდამ კაცი ან ბატონს, ან ამხანაგსა წაუვიდეს ... (62r).
 - **სკბ.** ვინც კაცმა ქვეყანასა და ქრისტეს სჯულს უორგულოს ... (62r-v).
60. **სკგ.** ნიშნისა მიტანისა ... (62v).
61. **სკდ.** ზითევისათვის ... (62v-63r).
62. **სკე.** გიჟის და ბნედიანის ცოლისათვის ... (63r-v).
63. **სკვ.** კაცმან კაცს აგინოს ჯარში ... (63v).
64. **სკზ.** ვინც ვინ სძრახოს ... (63v).
65. **სკჭ.** ვინც დიდმან დიდსა ანუ მდაბალმან თავის სწორს მუქარა დასთხოვოს ... (64r).
66. **სკთ.** კაცმან რომ კაცი იქირაოს და სადაც გაზავნოს ... (64r).
- **სლ.** ვინ ვისი პირუტყვი საძოვარზედ წაიყვანოს ... (64r-v).
67. **სლა.** ვინ მოუკვდეს კაცი და დარჩეს ცოლი და შვილი, მასუკან შვილიც მოუკვდეს ... (64v).
- **სლბ.** დედაკაცი რომ დაქვრივდეს და საქონელი რომ საყდარს შესწიროს ... (64v-65r).
68. **სლგ.** კაცი დიდ გვარისა თუ დაბალი, ვინცა ვინ მიიცვალეობდეს, მან ანდერძით ვინც უპატრონოს ასე ქნას ... (65r-v).

69. **სლდ.** კარგად მყოფმან ანუ ავად მყოფმან ვინ ინებოს განთავისუფლება თავისა ყმისა ... (65v-66r).
70. **სლე.** თავდებობისათვის ... (66r).
71. **სლვ.** მთხრობლობისთვის ასრე იქნას ... (66r-v).
72. **სლჭ.** ტყუილად დამფიცებელისა ... (66v).
73. **სლთ.** დედაკაცის ფიცისათვის ... (66v-67r).
74. **სმ.** სიგლის წართმევისათვის (67r).
75. **სმა.** სამძღვრის გარიგებისათვის ასრე უნდა იქნას (67r).
76. **სმბ.** სამნის მოგლეჯისთვის ... (67r).
77. **სმგ.** კაცმა კაცს შორიდამ გაუგზავნოს რამე ... (67v).
78. **სმდ.** რუს გამლებისა (67v).
79. **სმე.** მწყემსმა რომ წანახედი ქნას ... (67v).
80. **სმვ.** რასაც მიზეზით კაცს მიწა სჭეროდეს ... (67v-68r).
81. **სმზ.** ვინც სხვის კაცისაგან მოჭრილი დამზადებული რაც ფერი ხეწაელოს ... (68r).
82. **სმწ.** ვისაც ყმა ამოუვარდეს ... (68r).
83. **სმო.** რასაც ფერის ქურდობისათვის ... (68r-v).
84. **სნ.** ღალის აღებისათვის (68v).
85. **სნა.** მისანთა და კუდიანთა ამყოლი კაცი ... (68v).
86. **სნბ.** მოწამლისათვის (68v).
87. **სნგ.** ტყუილად დამბეზლებელს ორი დანაშაული აქვს ... (69r).
88. **სნდ.** ომში კაცის დარჩენისათვის (69r).
89. **სნე.** ომში ნაშოვნის საქონლისათვის (69r-v).
90. **სნვ.** ან ორმო დარჩეს პირლია ... (69v).
91. **სნზ.** უშვილო ვინმე იყოს ან ქალი დარჩეს ... (69v-70r).
92. **სნწ.** ვინც შერისხდეს ღმერთი, თავისი ბატონი მოკლას ... (70r).
 - **სნთ.** თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ჯოხი ჰკრას ... (70r-v).

93. **სა.** პატრონმა რომ ყმას თავი დაახსნევიოს ... (70v).
94. **საა.** ვინც აიყვანოს ყმანვილი ან იპოვნოს და ან გაზარდოს, ამისი ასე იქნას (70v-71r).
95. **საბ.** კაცი რომე კაცთან მივიდეს მუახლეს(...) სთხოოს ... (71r).
96. **საგ.** თუ სხვას ქვეყანას ერთმან კაცმან მეორისაგან ვალი აიღოს ... (71r-v).
97. **სად.** თუ დიდებულმან და სხვამ თავადმან გინა აზნაურმან ერთმან მეორეს ჯოხით და ან მათრახით თავი გაუტეხოს ... (71v).
- **საე.** თუ ასრე გაუტეხს, რომე სისხლი ადინოს ... (71v).
 - **სავ.** თუ ჯოხი დაჰკრას ... (72r).
98. **საზ.** ერთი ესე რომე თუ ბატონის გაგზავნილი მოსაქმე და მოსამართლე იმ მოჩივართ შუა უჯდეს ... (72r).
99. **საჴ.** კაცი რომ თავის სახლის კაცს გაეყაროს ... (72r).
100. **სათ.** კაცი რომ კაცს თავდებად უნდოდეს ... (72r-v).
101. **სო.** წესად ასე იყო: ან თუ ბატონი ვისმე გლესს ებოძებოდა ... (72v).

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ტექსტი 170 მუხლისგან შედგება. ძირითადად მისდევს **ისიდორე დოლიძის** მიერ გამოცემულ ტექსტს (იხ. ბიბლიოგრაფია), თუმცა არის გარკვეული განსხვავებები, მაგალითად, ჩვენს ხელნაწერში ბევრად ვრცელია თავი „გიჟისა და ბნედიანის ცოლისათვის“, ისევე, როგორც თავი „უსამართლოდ გინებისათვის“; საერთოდ არ არის პატარა თავი „მუქარის დათხოვნისათვის“, ხოლო თავში „ქვრივი დედაკაცის სამკვიდროსათვის“ სრულიად სხვა ტექსტია და ა.შ. ამგვარი განსხვავებები უმეტესად 226-ე მუხლიდან შეინიშნება.

მინაწერები:

მხედრული:

1. ჩემთ (1849) წელსა, მარტის იბ დღეს (1r, გადამწერის ხელით, ფორზაცი).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, 1963, გვ. 472-552.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგო-შიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 121.

პრაბული, 1871

1446/116

ტექნიკური აღწერილობა:

173 ფ. ცარიელი ფურცლები: 1v, 2r-v, 3r-v, 4r-v, 5r-v, 6v, 37r-v, 38v, 63v, 88r-v, 150r-v, 169r-172r, 173v; ზომები: ყდა – 205×140, ქალაღი – 196×130, ტექსტი – 150×95, სისქე – 25, სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 29, ქვედა – 32, მარცხენა – 26, მარჯვენა – 20; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი, სათაურები და საზედაო გრაფემები – წითლად; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ზედა ფრთაზე ამოტვიფრულია ჯვარი; დამწერლობის სახეობა – ნუსხური; სტრიქონების რაოდენობა – 13/14/15/16/17/18; აღრიცხვა ფურცლობრივია და აღნიშნულია მარჯვენა არშიის კიდეზე ნუსხურით გ (მე-3), ორჯერ მეორდება, ნა-ს (51) შემდეგ მექანიკური შეცდომაა და მოდის ლბ (32), ამის მერე მგ (43), შემდეგ ისევ მექანიკური შეცდომაა და მოდის ლდ (34), არ ჩანს ყ (90), წყდება რე-ზე (105). ხელნაწერი კარგად არის შემონახული. გადამწერი – მორჩილი გრიგორ მორალიშვილი/მოლარიშვილი (63r, 149v); 1871 წ. (149v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა კვრილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა სადიდებულად ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა – იხარებდ უკუჴ შენცა. იხარებდ, მარიამ ღმრთისმშობელო ქალწულო ყოვლადსაგალობელო ... (38r-44v).

ბიბლიოგრაფია: ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰომილეთიკა, ბიბლიოგრაფია 3, თბილისი, 2009, გვ. 443.

2. იპაკონი და იკოსნი პატიოსნისა და ცხოველისმყოფელისა ჯუარისა, კონდაკი ჳმა ჴ – ზესთამბრძოლისა ჩემისათჴს და მფარვე-

ლისა უძღვევლისა ჯვარისა, ვითარცა შენ მიერ ჰქსნილნი განსაც-
დელთაგან სამადლობელსა აღვსწერთ ჯუარო, ყოვლადძლიერო,
შენდა მომართ მოსაფნი შენნი ... (45r-63r).

ანდერძი: ეს ჯუარის „გიხაროდენ“ ვიპოვე სხვადასხვა წიგნებში და
შევეკრიბე ერთად. სადაც დაკლდა(...), შევასრულე. ვისაც წიგნი უკი-
თხავს, ყოველს იცნობ. მორჩილი **გრიგორ მორალიშვილი...მოლა-
რიშვილი** (63r).

3. **[სხვადასხვა ლოცვა]** – უგალობ მოწყალებასა და ძვრუქსენებლობასა
შენსა, უფალო. ვქადაგებ მოუნდომელსა მას განგებულებასა შენსა,
ვადიდებ გამოუთქმელსა კაცთმოყვარებასა შენსა ... (64r-87v).
4. **ცხოვრება ღირსისა ილარიონ ქართველისა** – ღირსი და საკვირ-
ველთმოქმედი **ილარიონ** იყო ქვეყანისაგან **კახეთისა**, გვარით **დო-
ნაური** ... (89v-149v).

ტექსტს აქვს:

ა) მცირე შესავალი: ქართველთ მზე მნათი, უღამო **ილარიონ**. სიბრძ-
ნისა სიხშოთ თარგმნით წერილთა გვაგვებს, განხმელს კაცს ნედლავს
... (89r).

ბ) მინაწერი: **ნიკოლოზ თბილისელი**. სადღესასწა. გვერდ. 303 (89v).

გ) სქოლიოები: ხელთნაწერის მამათა ცხოვრების წიგნისაგან, რო-
მელი ეკუთნის შიო მღვიმელის უდაბნოსა (89v); ამასვე თვესა და
რიცხვსა ეკვლესია ჰყოფს ხსენებასა ღირსის **ილარიონისასა** წლი-
თინლად (130r).

ანდერძი: ამ წიგნის წარმკითხველნო, რაც ნახოთ შეცთომა, შემინ-
დევით. მეც ვეცადე, მარა ვერ მოვრთე უკეთესის დაწერა უსწავლე-
ლობის გამო. მორჩილი **გრიგორ**, დამაწერია დიდი სქემა მონაზონმა
გრიგორ. ჩყბა (1881) წელსა (149v).

ბიბლიოგრაფია: „საქართველოს სამოთხე“, სრული აღწერაჲ ღუანლ-
თა და ვნებათა საქართუჭლოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიუ-
რად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდი-
დატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ,
პეტერბურგი, 1882, გვ. 371-392.

მანანა დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქ-
ციები, თბილისი, 1974.

5. **იპაკონი და იკო[ს]ნი წმიდისა ღვთისმშობლისანი. ჳმა დ. თქმული წმიდისა მამისა იოანე დამასკელისა, ღვთისმშობლის შობასა საკითხავი. კონდაკი ა** – ზესთა სასოებისა იოაკიმ და ანნა ყუჭდრებისაგან უშვილოებისა განთავისუფლდეს, ხოლო ადამ და ევა ხრწნილებისაგან და სიკუდილისა საკრუელთაგან განიხსნეს, უხრწნელო, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა ... (151r-168v).

მინაწერები:

1. **ფანქრით, მხედრული:** თავთა გვემა, ღანუთა ცემა, ხელთა და ფერხთა დამჭვალვა, გვერდისა ლახურითა განლება და ჯვარსა უმჯაუროდ დამოკიდება თაუხ-იდევ ჩვენთვის, დიდება შენდა, იესო ქრისტე (1r, ფორზაცი).
2. მხედრული: 1890 წელს 15 იანვარსა გარდაიცვალა ამიერ სოფლით დიდი **სხემონაზონი გრიგორი რატიანი**. ავთ გახდა დავლით 7 იანვარს კვირა საღამოს; დიდის მწუხარებით გარდაიცვალა ორშაფათს საღამოს მეორე საათზედ; დაყო მოღვაწეობასა შინა ოცდათუთხმეტი წელიწადი სოფლით **სენაკის** უეზდის ტალერი (6r).
3. ცარიელ ფურცლებზე ფანქრით, მხედრული: ტიმეტინის – რასა მაძლეე (172v), მიმებისისის, მიმეადიკისის, მიმეკატილორისის, დიატი მე ივრისის – ნუ შემიძულეებ, უსამართლობას ნუ მიზამ, ნუ განმიკითხავ, რათ მაგინებ (173r).

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის „მსახურება და აკათისტო (დაუჯდომელი) ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, პატივად და მოსახსენებელად გამოცხადებისა საკვირველთმოქმედისა ხატისა მისისა, წოდებულისა ივერიისად, თარგმნილი რუსულიდან **ირაკლი ლორთქიფანიძისაგან**“, თბილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1880 (7r-36v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, I ტ., თბ., 1949, გვ. 121.

**ჯმაჲ ცოდვილისა, იამგნიკოდ კატასკევილი
თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ ჩულწ წელსა
მოსკოვისა შინა, 1838**

1446/117

ტიქნიკური აღწერილობა:

38 ფ. ცარიელი ფურცლები – 35v-38v; ზომები: ყდა – 198×123, ქალაღი – 195×112, ტექსტი – 134×61, სისქე – 6, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 20, ქვედა – 39, მარცხენა – 29, მარჯვენა – 28; ქალაღი; მელანი – ყავისფერი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, ჭრელი – მომწვანო-მონითალო; ყუასა და კიდეებზე გადაკრული აქვს ყავისფერი კოლენკორი; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სტრიქონების რაოდენობა – 16/20/21; აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნულია მხედრული გრაფემებით ზედა არშიაზე (ა-ჲგ, მეორდება გვ.ზ); ხელნაწერი კარგად არის შემონახული; აქვს სანიშნი; ავტორი -**გიორგი ავალოვი** (გვ. 1ა); გადანერის ადგილი – **მოსკოვი** (1^რ), 1838 წ. (1^რ); გიორგი ავალიშვილის ავტოგრაფი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ყოფილი ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. **ჯმაჲ ცოდვილისა ღმრთისადმი, მღალადებელისა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ -**
მოვედინ სულო, მოვიზღუდოთ გონება,
მოვიგოთ ღმრთისა გულსა შიშის ქონება... (2r-14r).
2. **ჯმაჲ ცოდვილისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისადმი -**
შრომანს შუწნიერს, ვარდსა დაუჭნობელსა,
ცათა და ქუჭყნის დედუფალსა მფლობელსა... (14v-17r).

3. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდათა ანგელოსთა მიმართ -**

ანგელოსთ გუნდნო და ძალნო ზეცისანო,
წინამჰსდგომელნო, მეუფისა ღმრთისანო... (17v-20v).

4. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდისა წინასწარმეტყუჭლისა და ნათლისმცემელისა იოანნესა მიმართ -**

იუდეანელთ ზაქარიასა, მლუდელსა,
მეუღლით თვისით, სრულის სიმართლის მცუჭლსა...(21r-23v).

5. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდათა მოციქულთა მიმართ -**

მოციქულთ თავნო, პეტრე, კლდე სიმტკიცისა,
პავლე, რჩეულო ჭურო სიტყვსა ღმრთისა... (24r-26r).

6. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდათა მამათა ჩუჭნთა ვასილი დიდისა, გრიგორი ღმრთისმეტყუჭლისა და იოანე ოქროპირისა მიმართ, წმიდისა ვასილი დიდისადმი -**

ვასილის დიდსა, მლუდელთმთავარს დიდებულსა,
სასწავულთყოფად, ნიჭთა მიმადლებულსა... (26v-28v).

შენიშვნა: აქვეა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის შესხმაც.

7. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდისა და საკვრველთმმოქმედისა ნიკოლასის მიმართ -**

ლიკიის ქალაქს, პატარს შინა შობილსა,
ყრმას უფროს მოწუცთ კეთილით შემკობილსა... (29r-v).

8. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდათა მონამეთა მიმართ -**

გიგალოზ, პირველმონამეო სტეჲანე,
ვინ ვნებით ჩუჭნთვს ვნებულსა მიეგუანე... (30r-32v).

შენიშვნა: აქვეა - წმიდისა დიდისა მონამისა გიორგის მიმართ.

9. **ვმაჲ ცოდვილისა წმიდისა წინა ქართუჭლთა განმანათლებელისა მიმართ -**

მჰხოლოდშობილსა ზაბილონის ასულსა,
უმანკოებით, ვითარცა ტრედსა სრულსა... (33r-35r).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 121-122.

ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი, გიორგი ავალიშვილი, გამოცემა ალექსანდრე ეპისკოპოსისა, თბილისი, 1884 წ.

სამთვარიო და საეტლო, 1804

1446/118

ტიქნიკური აღწერილობა:

35 ფ. ცარიელი ფურცლები – 21v-35v. ზომები: ყდა – 212×168, ქალაღი – 207×165, ტექსტი – 174×120, სისქე – 15, სტრიქონებს შორის მანძილი – 10, არშიები: ზედა – 16, ქვედა – 3, მარჯვენა – 3, მარცხენა – 1; მასალა: ცისფერი ქალაღი; მელანი – ყავისფერი, ნითელი. ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები – სინგურით. აქვს ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 15/18; აღრიცხვა – გვერდობრივი, აღნიშნულია ნითელი მელნით. გადამწერი – **ზაალ ბართოვი** (21r). გადანერის დრო 1804 წ. (21r); გადანერის ადგილი – **მოსკოვი** (21r). სომხურიდან მთარგმნელი – **მეფის ძე ბაგრატი** (1v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: დაწყება წელთა აღსარიცხუჭლი ანუ მოქცევა წელინადთა ვითარ მდგომარეობს ბურჯნი თვეთა ათორმეტთანი ანუ შვიდნი ცთომილნი და ვითარ მოასწავებენ ცულილებასა წელთასა – წელთა 1797, 1825, 1853, 1881. მარტის 21 რიცხვში ოდეს მზე შევალს ბურჯსა ვერძისასა და იქმნების დაწყება წლისა, ხოლო მუშთარი მდგომარეობს ბურჯსა ამასვე ... (2r-21v).

„სამთვარიო და საეტლო“ ასტროლოგიური შინაარსის თხზულებაა; დაყოფილია თარიღების მიხედვით. თითო თავში ოთხი თარიღია მითითებული და მათ შორის განსხვავება 28 წელია. იწყება 1797, 1825, 1853, 1881 და სრულდება 1824, 1852, 1880, 1809 წლით. ყოველ თავში თარიღებს თითო წელი ემატება, ხოლო წინასწარმეტყველებები ციურ სხეულთა განლაგებების მიხედვითაა.

ანდერძი:

მხედრული: „მე, კნიაზ ბარათოვმა ზაალ მაიორმა აღვსწერე წიგნი ესე რომელიცა ვახლდი მოსკოვსა შიგან მათს უგანათლებულესობას მეფის ძეს ბაგრატს. აგვისტოს 3 წელსა 1804“ (21r).

მინაწერიები:

მხედრული: ითარგმნა წიგნი ესე ეფემრტი სომხურისაგან ქართულად მის უგანათლებულესობის მეფის გიორგის 13 ძის ბაგრატისაგან სამეფუფოსა ქალაქსა მოსკოვს წელსა 1804 აგვისტოს 3, ქორონიკონს უუბ სახელმწიფოსა სასახლესა შიგან, რომელსა სახელს სდებდნენ ლაჟეროვცკად (1^v).

ტიქსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

ხელნაწერს ახლავს უცხო სიტყვათა განმარტებები (2r-v, 16v).

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 122.

სიმეტნე ღრამმატიკისა], 1852

1446/119

ტიქნიკური აღწერილობა:

48 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 2v, 46r-v, 47v, 48r. ზომები: ყდა – 215×172, ქალაღი – 213×170, ტექსტი – 172×130, სისქე – 8, სტრიქონს შორის მანძილი – 8; არშიები: ზედა – 18, ქვედა – 25, მარცხენა – 18, მარჯვენა – 23. მასალა: ქალაღი, მელანი შავი, წითელი. მწვანე ფერის მუყაოს ყდა, წითელი ყუა. დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები მთავრულით. სტრიქონების რაოდენობა – 18. აღრიცხვა – ფურცლობრივი, არაბული ციფრებით. გადამწერი – სვიმონ ტაბიძე (85v). გადანერის ადგილი – სანკტ-პეტერბურგი (45v). გადანერის დრო: 1852 წ. 7 იანვარი (85v). თავფურცელზე აქვს ბეჭედი წარწერით: Библиотека специальных классов Лазаревского Института иностранных языков (მოსკოვის ლაზარევის უცხო ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა სპეციალური კლასებისთვის). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: სიმეტნე ღრამმატიკისა პირუჭლისა კერძოსა. კითხვა-გებანი ღრამმატიკისათს და ნაწილთა მისთა, რომელთა ზეპირ უწყს-ყე გამოხატვა გონებათა შინა ჰსწავლის შინათა ქვემო ამისსა. ღრამმატიკისა ნაწილთათს, თავი პირველი – კითხვა: რაჲ არს ღრამმატიკა? მიგება: ღრამმატიკა არს გამოცდილება სიტყვსმოქმედთა და აღმწერელთა ზედმინეწილთა მიერი ... (3r-45v).

შენიშვნა: შედგება 9 თავისგან.

თხზულება შედგება შემდეგი თავებისგან:

ღრამმატიკისა ნაწილთათს, თავი პირველი (3r-4r);

თვს სახელისა და მდევართა მისთა (ესე იგი გარემოსთა მისთა), თავი ბ (4r-11v).

თვს ნაკლსახელისა, თავი გ (11v-13v).

თვს ზმნისა, თავი დ (13v-21r).

თვს მიმღეობისა, თავი ე (21r-23v).

თვს თანდებულისა ზმნისზედასა, შორისდებულისა და კავშირისა, თავი ვ (24r-15v).

თვს თანდებულისა ნაწილთა სიტყვსათა, თავი ზ (26r-34r).

თვს ძიების მისაღებელთა სიტყვსა ნაწილთა, თავი ლ (34r-37v).

შენწყობილ წერისა თანა აღმოკითხვსა და აღმოცნობისა, თავი თ (38r-44v).

შენიშვნა: ამ თავის შემდეგ მინაწერია ასომთავრულით გადამწერის ხელით: „ესე უკუჴ იკმაოდინ კითხუა-მიგებასა ღრამმატიკისასა“ (44v).

[ბოლოსიტყვა] (45r-v).

ანდერძები:

მხედრული:

1. ღრამმატიკა არს სიბრძნის საფუძვლად ჴმობილ, ჴელოვნად მიმდევნ მცირ-მცირედ საზღუარს შინა, მართლ-წერ-უბნობად, გონიერ-მკურცხლ სწორ მკობად, ღრმა წერილთ აღმწსნელ, შესაბამც მწმასნელ ჴაზრთა და წესებულთ კანონთ, ჴელმძღუან რიტორებრ ხატუად. **ს. ტაბიძე** წელსა 1852, იანვრის 13-სა (2r, ფორზაცზე, გადამწერის ხელით).
2. აღინერა წიგნი ესე სიმეტნე ღრამმატიკისა დიდსა სატახტოს ქალაქსა **ს. ჴეტერბულსა** შინა ჴელითა უღირსის გურულისა **სვიმონ ტაბიძისათა**. გთხოვთ სულ ყოველთადმი შენდობასა, უკეთუ ცთომილება იხილონ, უმორჩილესად გვედრი შენდობასა და მოტევებასა, ვითარცა ბრძანებსცა სანატრელი სამღთო წერილთაგანი მუჴლი: „მიუტევებდეთ კაცთა შეცოდებასა, თქვენმცა მომტევებელ გექმნების მეუფე იგი ღმერთი. წელსა 1852, იანვრის 7 დღესა (45v, გადამწერის ხელით ხელნაწერის ბოლოს).

მინანერები:

მხედრული:

ჩოლაყაშვილსა გარსევანსა უთქუამს რამე-რაებია:

კიტრი ხილად რალას ვარგა, ვაშლი მოვა რაებია;
ესევე სჯობს, რაც მასმია, მისგან მონახსენებია,
გული კუდება ნარგიზთათჳს, თვალნი გაუშტერებია.

ქართულიდან თარგმნილი რუსულად:

Чолокаев Гарсеван, сказал многое о многом:

Огурец как плод не годится, когда приспеет яблоко;

Из всех трудов ценно, что мне слышано, памятно от него;

Увлеченное нарциссом сердце и взор, им плененный, тронутый (47г).

ზომბადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 122-123.

ცხოვრებაჲ წმიდისა იოანე მოწყალეჲსა ალექსანდრიის პატრიარხისა, 1841

1446/120

ტიქნიკური აღწერილობა:

31 ფ. ცარიელი ფურცლები – 31; ზომები: ყდა – 215×145, ქალაღი – 210×140, ტექსტი – 143×100, სისქე – 8, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 26, ქვედა – 40, მარჯვენა – 27, მარცხენა – 14; ქალაღი; მელანი – შავი; მუყაოს ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სტრიქონების რაოდენობა – 21; აღრიცხვა - გვერდობრივი; რუსულიდან მთარგმნელი – **თავადი გიორგი ავალოვი (ავალიშვილი); მოსკოვი, 1841 წ. (1^რ); გიორგი ავალიშვილის ავტოგრაფი; ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).**

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ცხოვრებაჲ წმიდისა იოანე მოწყალეჲსა ალექსანდრიის პატრიარხისა როსიის ენით ქართულსა ზედა თარგმნილი თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ ჩყმა წელსა მოსკოვს - მისღვეული ალექსანდრიას თაყუანისცემად ნაწილთა წმიდა მონამეთა კიროს და იოანესა (მოუთხრობს ლეონტი, ეპისკოპოსი ქალაქისა ნეაპოლისა, რომელიცა არს კიპრსა შინა, შემადგენელი ცხოვრებისა ამის აღწერისა) და მსადილობელი მრავალთა კეთილმსახურთა კაცთა თანა... (4^რ-30^ვ).

შენიშვნები:

1. ხელნაწერი მხოლოდ ერთ ტექსტს – **იოანე მოწყალის ცხოვრებას** – შეიცავს. შედგება 48 თავისგან, წინ უძღვის ამ თავების სარჩევი – „გათავებაჲ“ (2^რ-3^რ).
2. ტექსტს ეტყობა ფილოლოგიური მუშაობის კვალი (ჩამატებულია სიტყვები, შეცვლილია ლექსიკური ეკვივალენტები, სტილი და ა.შ.).

3. ფურცლის ბოლოს, ქვედა არშიაზე, საჭიროებისამებრ ახლავს განმარტებითი ხასიათის სქოლიო. მაგ. „(ა) პრესვიტერი. უჭუცესი მღვდელი, მღვდელთა ზედა“(4v), „მეფედ ქალაქთა – არს წოდებულ კონსტანტინოპოლი, ანუ ახალი რომი“ (16v) და ა.შ.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 123-124.

გვირგვინი, 1815

1446/121

ტიქნიკური აღწერილობა:

256 ფ. ცარიელი ფურცლები – 1r-7v, 241r-256r; ზომები: ყდა – 207×131, ქალაღი – 199×123, ტექსტი – 141×81, სისქე – 45, სტრიქონებს შორის მანძილი – 6; არშიები: ზედა – 23, ქვედა – 24, მარცხენა – 28, მარჯვენა – 30; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი, ნითელი; ტვიფრული, ტყავგადაკრული ხის ყდა; ორივე მხარეს აქვს ორნამენტებით გამშვენებული ჩარჩო, ყავისფერი; ტვიფრული ყუა მომწვანო-მოყავისფროა, ზოგიერთ ადგილას გადაქექილი; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სათაურებსა და საზედაო გრაფემებში შერეულია ასომთავრული; შეენიშნება ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 17.

აღრიცხვა: 1) რვეულებრივი, ქვედა არშიაზე არაბული ციფრებითა და მხედრულით; სულ ლა (31) რვეულია; რვეულები 8 ფურცლისგან შედგება; ით (19) რვეულში შედის 4 ფ., ხოლო კე (25) რვეულში – შვიდი ფურცელი (ტექსტი ნაკლული არაა); 2) გვერდობრივი აღრიცხვა ფურცლის ზედა არშიაზეა; ნუმერაცია 481-მდე ადის, აქედან ფფ. 23, 242, 252 და 474 მეორდება, ხოლო 379-382 ფფ-ს შორის მექანიკური ჩავარდნაა.

ტექსტს ბოლოში ერთვის ზანდუკები, რომლებიც ჩასმულია მარტივი შავი ხაზებით გაკეთებულ ჩარჩოში. ავტორი – **მღვდელმონაზონი გაბრიელი** (239v); გადამწერი – **მეფე გიორგის ძე ბაგრატი** (239r, 240v). გადანერის ადგილი – **სანქტ-პეტერბურგი** (239r, 240v). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ღვთივშენიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელ არს, რომელსა ეწოდების გვრგვნი (8r-240v).

„გვირგვინი“ შემდეგი თავებისაგან შედგება:

1. თავი ა, მღვდელმოქმედებისათვის და საიდუმლოსა გამოცხადებისა

თხრობა ა, გამოცხადებისათვის წმიდისა საიდუმლოსა და სიყვარულისათვის (8r-13r);

თხრობა ბ, გამოცხადებისათვის საიდუმლოსა (13v-15v);

თხრობა გ, გამოცხადებისათვის საიდუმლოსა (16r-18r);

თხრობა დ, რაჲთ არა განვიკითხვიდეთ მღვდელთა (18r-19v);

თხრობა ე, რაჲთ არა შევიწყნარებდეთ განკითხუასა მღუდლისათვის (19v-21r);

თხრობა ვ, თუ ვითარი კრძალულება უხმსთ მწირუჭლთა (21r-22v);

თხრობა ზ, თუ ვითარ ეკრძალებიან ანგელოსნიცა მწირუჭლთა (22v-23v);

თხრობა ლ, ტყვეს ჳსნისათვის წირვისა მიერ (24r-25r);

თხრობა თ, უღირსად მღვდლობისათვის (25r-29v);

თხრობა ი, თუ ვითარი ჳელმწიფება აქუსთ ეპისკოპოზთა (29r-31v);

თხრობა ია, თუ ვითარი ძალი აქუთ წმიდათა კაცთა (31v-34r);

თხრობა იბ, შემდგომად მიცუალებისაცა შენდობისათვის (34r-36r);

თხრობა იგ, უბრალოდ შესმენილის ეპისკოპოსისათვის (36r-38v);

თხრობა იდ, უბრალოდ შესმენილის მღდლისათვის (38v-40v);

თხრობა იე, უბრალოდ შესმენილის ბერისათვის (41r-44r);

თხრობა ივ, მღვდლისათვის მონყალისა (44r-46v);

თხრობა იზ, ეპისკოპოსისათვის მუშაკისა და მონყალისა (46v-48v);

თხრობა იჴ, ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთა (48v-51v);

თხრობა ით, წმიდისა ზიარებისათვის და წინასწარმცნობელობისა (51v-53v);

თხრობა კ, დაფარულთ მცნობელობისათვის (54r-58v).

2. ღვთივმუჭნიერნი თხრობანი სულის ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გარგანი(!).

თავი ბ, სასწაულთმოქმედებათათვის და საკარველებათა(!)

- თხრობა კა, თავი ბ, ეპისკოპოსისა მიერ სასწაული (58v-59v);
 თხრობა კბ, ბერმან ეშმაკი შეკრა რა ლოცვითა (60r-v);
 თხრობა კგ, თუ ვითარ სიტყვითა განსდევნა ბერმან ეშმა კაცი-
 საგან (60v-61v);
 თხრობა კდ, მკვდრის აღდგომისათვის ლიტონის სიტ[ყვ]ითა
 (61v-62v);
 თხრობა კე, ლოცვით მკვდრის აღდგინებისათვის (62v-63r);
 თხრობა კვ, მკვდრის ლაპარაკისათვის (63v-64r);
 თხრობა კზ, ყრმის განცხოველებისათვის (65r-66r);
 თხრობა კწ, ღვთისმშობლისა მიმართ შევე[ედ]რებისათვის (66r-
 67v);
 თხრობა კთ, მარტარისათვს, რომელმან იტართა ქრისტე (67v-
 69v);
 თხრობა ლ, მთის ამოფხვრელისათვის (69v-74r);
 თხრობა ლა, ეკლესიის განმღებელისათვის (74v-78r);
 თხრობა ზბ, წვიმის მომყანისათვს (78r-80r);
 თხრობა ლგ, პურის განმრავლებისათვის (80r-81v);
 თხრობა ლდ, საზრდელის განმრავლებისათვის (81v-84v);
 თხრობა ლე, ხატის გამონერისათვის (84v-88v);
 თხრობა ლვ, ხატისა მიერ ქმნილისა სასწაულისა (88v-92v);
 თხრობა ლზ, ფიცისათვის უჯეროსა (92v-96v);
 თხრობა ლწ, განსაცდელისაგან წსნისათვის (96v-98v);
 თხრობა ლთ, მყოფლის(!) მონაფისათვის (98v-101v);
 თხრობა მ, მონაფის მაცხოვნებელის ბერისათვის (101v-104v).

3. თავი გ. ღვთივშვენიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გარგანი. თავი გ, ქველისმოქმედებათათვის და მონყალებისა

- თხრობა მა, თუ ვითარ გლახაკთა მიმცემი ქრისტესა მისცემს
 (105r-106v);
 თხრობა მბ, თუ ვითარ მონყალებისა ძლით მკვდარი აღსდგების
 (106v-111r);
 თხრობა მგ, მთავრისათვის დიდებულისა (111r-113r);
 თხრობა მდ, ევხ[არი]ს[ტი]სათვის მწყემსისა (113r-115r);
 თხრობა მე, მესტარისათვს, რომელი მონყალებისათვის ცხონდა
 (115r-117r);

თხრობა მვ, ათასისთავისათვის, რომელი მოწყალეებამან საპყ-
 რობილით იხსნა (117r-119v);
 თხრობა მზ, ჭეშმარიტისა მოწყალისათვის (119v-121v);
 თხრობა მწ, მემტილისათვის, რომელი მოწყალეებისა ძლით გა-
 ნიკურნა (121v-123r);
 თხრობა მთ, **მარტიანესათვის** მოწყალისა (123r-124v);
 თხრობა ნ, შიშველთ შემოსისათვის (124v-126r);
 თხრობა ნა, **სერაპიონისათვის** უპოვარისა (126r-128r);
 თხრობა ნბ, უცხოთა შეწყნარებისათვის (128r-129r);
 თხრობა ნგ, მოწყალეებისა შემნანებელისათვის (129v-131r);
 თხრობა ნდ, თავისა თვისისა გამსყიდლისა მოწყალეების მიცემად
 (131r-134v);
 თხრობა ნე, დიდისა მეფისა **კოსტანტინესათვის** (134v-135v);
 თხრობა ნვ, **თეოდოსი** მეფისათვის (136r-137v);
 თხრობა ნზ, მეფის **ზენონისათვის** (137v-138r);
 თხრობა ნწ, თუ ვითარ მოწყალეების მოქმედი შვიდ წილ მიიღებს
 (138r-140r);
 თხრობა ნთ, ვითარმედ გლახაკთა მიმცემელი მრავალწილად
 მიიღებს (140v-143v);
 თხრობა ე, ვითარმედ გლახაკთა მოწყალე ასწილად მიიღებს
 (144r-146v).

4. ღვთივშუენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრგვნი. თავი დ, სინანულითა განათლებულთათვის და ლმობიერებისა

თხრობა და, მღუდლისათვის დაცემულისა (147r-149v);
 თხრობა თხრობა ებ, დიაკონისათვის შეცოდებულისა (149v-150v);
 თხრობა ეგ, დავით ავაზაკყოფისათვის (150v-153r);
 თხრობა ედ, ყრმის მკვლელისა ავაზაკისათვის (153r-154v);
 თხრობა ეე, მკვდრის მძარცველისათვის (155r-158r);
 თხრობა ევ, მკვდრის აღდგომისათვის (158r-163r);
 თხრობა ეზ, მსწრაფლ შემნანებელისათვის (163r-166r);
 თხრობა ეწ, თუ ვითარ სარწმუნოებით მიეტევა ცოდვა (166r-168v);
 თხრობა ეთ, თუ ვითარ სიმდაბლით მიეტევა ცოდვა (169r-170r);

- თხრობა ო, რათ არა თავსა თვისთა განამართლებდეთ სინანულისა ჟამსა, არამედ დავმდაბლდეთ (170r-172r);
- თხრობა ოა, ჭეშმარიტისა სიყვარულისათვის (172r-173r);
- თხრობა ობ, ცრემლით ცოდვათა აღხოცისათვის (173r-174r);
- თხრობა ოგ, აღსარებით ცოდვათა აღხოცისათვის (174r-176r);
- თხრობა ოდ, ჳორცთა ტანჯვითა ცოდვათა აღხოცისათვის (176r-177v);
- თხრობა ოე, უდებებისა შემნანებლისათვის (177v-179r);
- თხრობა ოვ, უნებლიეთ შეცოდებისათვის (179v-180v);
- თხრობა ოზ, იძულებით მტირალისათვის (180v-181v);
- თხრობა ოწ, ძმისათვის ღმობიერისა (181v-182v);
- თხრობა ოთ, ძმისათვის მგლოვარისა (182v-184r);
- თხრობა პ, მაღალ მწვედველისათვის ბერისა – (184r-185v).

5. ღვთივშენიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გარგანი. თავი ე, სულთა სრული სააზომითა სრულთა მიცვალებულისათვის

- თხრობა პა, ეპისკოპოსისათვის განშორებულისათვის (186r-188v);
- თხრობა პბ, თუ ვითარ პატივ სცემს ღმერთი წმიდათა მისთა (188v-190r);
- თხრობა პგ, თუ ვითარ ანგელოსნი მოიკითხვენ ღირსთა (190r-191r);
- თხრობა პდ, სიკვდილამდე სიმდაბლისათვის (191r-193r);
- თხრობა პე, შემდგომად სიკვდილისაცა სიმდაბლისათვის (193r-194r);
- თხრობა პვ, ცოდვილისა და მართლისა სიკვდილისათვის (194r-197v);
- თხრობა პწ, მამასახლისისათვის მოწყალისა (198r-200v);
- თხრობა პთ, ამონისთვის ნიტრიელისა (200v-202^რ);
- თხრობა ჟ, ორთა ძმათათვის კეთილმოსურნეთა (202^რ-205r);
- თხრობა ჟა, ორთა ძმათათვის სხუათა და სხუათა სახით სათნომყოფელთა ღვთისათა (205r-208r);
- თხრობა ჟბ, რაფთა არა კეთილისა საქმისათვის ვზრუნვიდეთ (208r-211^რ);

თხრობა ჟგ, ვითარმედ შვცნის ჩვენდა ყოვლადვე სიმდაბლე (211^r-213^r).

შენიშვნა: ზანდუკის მიხედვით, ტექსტში აკლია თხრობა „კუა-ლად მართლისა და ცოდვილისთვის“, რომელიც ზანდუკში მე-7 თხრობადაა წარმოდგენილი.

6. ღვთივშვენიერნი თხრობანი სულიერნი ღირსთა და პატიოსანთა დედათათჳს, თავი ე

თხრობა ჟდ, ქალწულთათჳს განშორებულთა (213^r-215^r);
 თხრობა ჟე, სხვათა სულთა ბრუნვისათვის (215^r-217^r);
 თხრობა ჟვ, მოხუცებულისათვის დედისა (217^r-218^r);
 თხრობა ჟზ, მიცვალებულის დედისათვის (218^r-219^v);
 თხრობა ჟც, სანატრელი და ლმოზიერი (219^v-224^r);
 თხრობა ჟთ, საკვირველი დედა ძითურთ განშორებულისა (224^v-230^r);
 თხრობა რ, სასურველი წმიდათა სამთა დედათა (230^r-235^r).

7. [ბოლოსიტყვაობა] – ღვთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების გარგანი ... (235^v-236^r).

8. ესე არიან ზანდუკნი წერილისა მის ღვთივსულიერთა თხრობათანი (236^r-239^r).

ანდერძი:

1. **მხედრული:** სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა სულისა გარგვინი სადიდებულად ძისა ღმრთისაჲ ცხოველისა, ამინ. წელსა 1815 აპრილის 3, ჴელითა მეფის ძის ბაგრატიისათა ს. პეტერბურხს (239^r).

2. **მხედრული:** ესე წმიდისა სულისა გარგვინი აღწერილ არს გაბრიელის მიერ მღვდელმონაზონისა, რომელიცა იყო მოწესე წმიდისა იოვანე ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრისა, რომელმანცა გამოკრიბნა მრავალთაგან სამღთთა მამათა წერილებთაგან წმიდანი ესე სწავლანი და შეაწყო ერთად სარგებლად ცოდვილთა სინანულისათვის, ხოლო ესე ნეტარი გაბრიელ იყო მცხოვრები ტფილისით მოქალაქეთაგანი და ხელოვნებითა მკერვალი, რომელმანცა დაუტევა ღვთისა სიყვარულისათვის სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თვისნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტრისა ზემოხსენებულსა და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ და ისწავლნა სამღთო წერილნი შეწვენითა და ნიჭითა სულისა წმიდ

ისათა და იყო ფრიად ღვანლსა და მარხვასა შინა, რომლისაცა სათნოე-
ბანი არცლათუ რიცხვთა შესაძლებელ არს აღწერად, ხოლო კეთილისმო-
ძულემან ეშმაკმან იხილა რა სათნოება ამა წმიდისა მამისა მაღალნი, ვერა
დამთმენი ისწრაფდა ფრიად ვნებასა და დაბრკოლებასა მისსა ესევეითარ-
თა კეთილთაგან. გარნა უქმ იქმნა სივერაგე მისი და ამისა ძლითა აღძრა
გული მთავარდიაკონისა **იოვანე ჩუბინისძისა** (კარის საყდრის მღვდლის,
დავითის ძე. ამა **დავით მღვდელს** ეწოდა ზედ შესრული სახელი სიმშვი-
დის გამო და სათნოებისა **ბაკაკა**), რომელიცა მას ჟამსა შთასრულ იყო
ტფილისით მონასტერსა მას შინა, რაჟთა განატიოს მოღვაწეობითა დღენი
წმიდათა დიდთა მარხვათანი. გარნა აღძრა იგი დიაკონი ყოვლად ბოროტ-
მან ეშმაკმან და მარადის აგონებდის ცოლთა და შვილთა და მიქცევად
სახიდ თვისად, რომელმანცა ვერლარა უძლო მონასტერსა მას შინა ყოფა
და აიძულა წმიდასა მას ღვთისასა **გაბრიელს** რეცა მოგზაურობად მის-
თანა **ტფილისამდის** და ამისთვის დასდე სული თვისი მეგობრისათვის
მსგავსად მორჩილმან წმიდისა სახარებისამან. ხოლო წარმოსრულთა
მუნით, მივიდნენ **მრავალწყაროსა** ხევსა შინა და მუნ დახვდენ ლეკთა
მხედრობანი, ხოლო ესე წმიდა მამა **გაბრიელ** მათ მიერ მოიკლა და შეი-
რაცხა იგი რიცხვსა წმიდათა მღვდელმონამეთასა.

და მავანი სხვანიცა საღმთო წერილნი აღწერნა სულისა სარგებელნი და
დაგვიტევა ჩვენ. ვინც ამა წიგნისა აღწერასა მიემთხვიენეთ, ამა წმიდისა
გაბრიელის ცხოვრებაც აღწერეთ, რომელიცა აღწერე მე.

და ეგერეთვე საწყალობელი დიაკონიცა იგი **იოვანე** მოიკლა მათ მიერ
წელსა 1802. ხოლო გვამი ნეტარისა მამისა მის მოიღეს ძმათა მის მო-
ნასტრისათა და დაფლეს მუნვე მონასტერსა შინა, რომელიცა სუფევს
ქრისტეს ღვთისა თანა და მეოხ არს სულთა ჩვენთათვის, ამინ.

წმიდაო მამაო **გაბრიელ**, მეოხ მეყავ ქრისტეს თანა და მფარ-
ველ მეოფსა მწირობასა შინა ჩემსა **როსიას**, აღმწერსა ამა
გარგანისასა, საქართველოს მეფის **გიორგის** ძის **ბაგრატს** მეულ-
ლით, ძით და ასულეებითურთ. ზი მკითხველნო, ცოდვილის სუ-
ლისა! ჩემსა შენდობა უბრძანეთ მეფის ძეს **ბაგრატს**. 1815.04.04,
საკთაბეტერბურხს! (239r-240v).

შენიშვნა

1. გადამწერი ხშირად კ-ს ნაცვლად იყენებს ძ-ს.
2. ტექსტს დართული აქვს ზანდუკი (235v-239r).
3. შიგადაშიგ ტექსტი ნასწორებია.

4. კრებული „გვირგვინი“ შეადგინა გაბრიელ მცირემ ნათარგმნ ასკეტურ თხზულებათაგან (იხ. კ. კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 400).

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშვიდის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 124-126.
2. ენრიკო გაბიძაშვილი, ასკეტიკა-მისტიკა, ბიბლიოგრაფია, 3, თბილისი, 2009 წ., გვ. 120-121.
3. გვრგვნი, ვ. კარბელაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1892.
4. ღირსი გაბრიელ მცირე, ღვთივსულიერნი თხრობანი სულთა ღვთისმოყუარეთა ფრიად სარგებელნი – გარეჯელ მამათა ცხოვრება. გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ, თბილისი, 2002.

მასალა რუსულ-ქართული ლექსიკონისათვის, 1819

1446/122

ტიქნიკური აღწერილობა:

336 ფ. ზომები: ყდა – 240×180, ქალაღი – 221×175, ტექსტი – 190×155, სისქე – 70, სტრიქონებს შორის მანძილი – 10; არშიები: ზედა – 14, ქვედა – 10/15, მარცხენა – 20, მარჯვენა – 10. მასალა: ქალაღი, მელანი – შავი. ლურჯნაჭერგადაკრული მუყაოს ყდა. დამწერლობის სახეობა – მხედრული. ორ სვეტად ნაწერი. შეიმჩნევა ჭვირნიშანი. სტრიქონების რაოდენობა – 22/28. აღრიცხვა – გვერდობრივი და რვეულებრივი. გვერდობრივი აღრიცხვა აღნიშნულია არაბული ციფრებით, ხოლო რვეულებრივი – მხედრული გრაფემებით. სულ 44 რვეული; ხელნაწერი პრიმიტიულად არის გაფორმებული ყვავილების, ფრინველებისა და ადამიანის გამოსახულებებით (5r, 11r-v, 16r, 18v, 24v, 42v, 74r-v, 209r, 224r-227r, 243r, 247v, 248r, 252r, 258v, 260r, 278v, 285r). მთარგმნელი – **მეფის ძე იოანე** (1v). იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: სოლნცე – მზე – შამას

ლუნა – მთოვარე – ყამარ

ვენერა – აფროდიტი – ასპიროზ, ზორა [...] (2r)

მინაწერები:

- 1. მხედრული: მეფის ძის იოანესაგან** ნათარგმნი რუსულ – სლავენურის ენისაგან, თვთ მის მიერვე აღწერილნი, ქართულის ასოებითა რუსულიცა წაიკითხების; **სანკტპეტერბულსა** შინა წელსა ჩყით – 1819 (1v).

2. **მხედრული:** ივანე ბატონიშვილის ნათარგმნი ლექსიკონი და მის მიერვე ბოძებული ძმისა თვისა მეფის ძის თეიმურაზისა (2r).
3. **მხედრული:** ტექსტის ბოლოს – „სრულ არს“ (336v).

ტექსტიკონან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერი არის იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ცნობილი ავტოგრაფული ნუსხა.
2. რუსული ტექსტი ნაწერია ქართული ტრანსკრიპციით, ლექსიკონი ანბანურად არ არის დალაგებული.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 127.
2. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბილისი, 1967.
3. მ. კელენჯერიძე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII-XIX სს., თბილისი, 1961.

ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა [XVIII]

1446/123

ტიქნიკური აღწერილობა:

110 ფ. ზომები: ყდა – 230×180, ქალღი – 220×175, ტექსტი – 180×137, სისქე – 25, სტრიქონებს შორის მანძილი – 15; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 32, მარცხენა – 30, მარჯვენა – 28; მასალა: ცისფერი ქალღი; მელანი – შავი, წითელი; მუყაოს ქრელი ყდა ტყავის კუთხეებით; დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები სინგური; სტრიქონების რაოდენობა – 18; აღრიცხვა – გვერდობრივი, არაბული ციფრებით. განკვეთილობის ნიშნები – ♪, •, ••; ხელნაწერის მფლობელი – **ალექსანდრე ხახანაშვილი** (ფორზაცის რ), [XVIII ს. მიწურული]; დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები; ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

ისტორია **ალექსანდრეს მეფისა** მაკედონიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამხრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთ მეფისა (1რ).

წყდება: ... ხოლო **როკსანა** სამოსელი თვისი გარდაიხია და თმანი თავისა თვისისანი დაიგლიჯა და ტირილითა და მწუხარებითა **ალექსანდრეს**, ვითარცა ცოცხალსა ეტყოდა [...] (225რ).

შენიშვნა: ცალკეა გამოყოფილი „წუხილი **დარიოზისა**“ (35v-43r) და „ტირილი **დარიოზისა**“ (43r-51r).

მინანქრები:

1. მხედრული: ეკუთვნის **ალექსანდრე ხახანაშვილს** 1895 წელსა, **მოსკოვი** (ფორზაცის რ).
2. უმნიშვნელო მინანქრები (225v).

ტექსტიან დაკავშირებული შინიშვნები:

1. „ალექსანდრიანი“, ქართულად ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლია, რომლის პირველწყაროა ფსევდოკალისტენეს თხზულება **ალექსანდრე მაკედონელის** შესახებ („ალექსანდრეს რომანი“). XV საუკუნეში გაჩნდა ამ თხზულების სერბული რედაქციის რუსული ვარიანტი, რომელიც მცირეოდენი ცვლილებით 1699-1713 პროზად თარგმნა **არჩილ მეფემ მოსკოვში** ყოფნის დროს.
2. ხელნაწერი არასრულად შეიცავს **მეფე არჩილის** თარგმანის ტექსტს და ტექსტუალურად თითქმის არ განსხვავდება №19 ხელნაწერისგან. ამავე ტექსტს შეიცავს №28, №297 ხელნაწერები და №101 კრებული (89r-153r). ამ უკანასკნელში, ისევე როგორც №123 ხელნაწერში, ტექსტი არასრულია და იმავე წინადადებაზე მთავრდება, როგორც მოცემული ხელნაწერი – „ტირითა და მნუხარებითა **ალექსანდრეს**, ვითარცა ცოცხალსა ეტყოდა“. ეს ფაქტი ამ ხელნაწერთა გარკვეული ურთიერთმიმართების (მაგ. საერთო დედანი, რომელსაც აკლდა ბოლო ფურცელ(ებ)ი) ნიშანი შეიძლება იყოს.
3. ქართული „ალექსანდრიანი“ თავისუფალი თარგმანია. მთარგმნელი ტექსტს ზოგან აკლებს, ზოგან ავრცობს. კომპოზიციური შემადგენლობით, სიუჟეტის მძაფრი განვითარებით იგი იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისთვის იმდენად საინტერესო საკითხავი წიგნი ყოფილა, რომ არსებული თარგმანის ნიადაგზე შექმნილა როგორც გალექსილი, ისე ვრცელი პროზაული რედაქციები.
4. ტექსტში შიგადაშიგ სიტყვები და ფრაზები ხაზგასმულია **ალექსანდრე ხახანაშვილის** მიერ. ზოგან აქვს კომენტარი არშიაზე „რატომ?“ და ა.შ.

ზომადი ბიბლიოგრაფია:

1. „ალექსანდრიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.
2. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 127.

ანდრია სალოსის ცხოვრება [XIX]

1446/124

ტიქნიკური აღწერილობა:

92 ფ. ცარიელი ფურცლები – 1v, 2r,v; 87v, 88r-91r, 92v; ზომები: ყდა – 213×165, ქალაღი – 200×155, ტექსტი – 138×103, სისქე – 17, სტრიქონებს შორის მანძილი – 16; არშიები: ზედა – 27, ქვედა – 37, მარცხენა – 20, მარჯვენა – 40; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი; მუყაოს ზოლიანი ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; შეემჩნევა ჭვირნიშანი; სტრიქონების რაოდენობა – 20/24; აღრიცხვა – გვერდობრივი; 96-ე გვერდიდან არეულია, 96-ის ნაცვლად წერია 86 (86-96), შემდეგ აღრიცხვა გრძელდება თანმიმდევრულად. გადამწერი – **მღვდელი პეტრე ტაბლიანიძე** (86v); ხელნაწერი ეკუთვნოდა კნინა **ეფემია ჯორჯაძისას** (1r), [XIX]; დათარიღების საფუძველი – პალეოგრაფიული ნიშნები. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

დასაწყისი: ძმანო ჩემნო საყვარელნო და მონანო ღმრთისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუნყოთ, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილი, ვითარცა თაფლი და საყნოსელად სუნნელი, და ამო, განმზადენით გულნი თქვენნი სმენად, რათა მე უფროსლა განვჰძლიერდე და ვინყო თხრობად კაცისა ამის საკვირველისა მოწყალებათა... (3r).

ანდერძი:

მხედრული: საიდამაც ეს წიგნი გარდმოგწერე, ის დედანი იყო უცოდინარის კაცის ნაწერი, ვითარცა ასონაკლებები, ეგრეთვე ტყუილების ლექსებით სავსე და ძნელი აღმოსაცნობი. რაც შემეძლო ვასწორებდი, ჩემის ჰაზრითა. გარნა ვუნცი, რომელი აქუს ბევრი ნაკლებულება და აღმომკითხველთა გთხოვთ ნუ მწყევთ, არამედ მილოცევდით ამ წიგნისა აღმწერელსა მღვდელსა **პეტრე ტაბლიანიძეს** (86v).

მინაწერი:

1. **მხედრული:** „ეს წიგნი ეკუთვნის მათ ბრწყინვალეებს **კნენა ეფემია ჯორჯაძისას**“ (1r).
2. **მხედრული:** „ძველი ასლი ამ წიგნისა ეტრატზე, XIV საუკ. **დაცული შიომღვიმის მონასტერში, თ. ყორდანია**“ (87r).

ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ავტორი – **ნიკიფორე ხუცესი** (X ს.), მთარგმნელი – **ექვთიმე მთაწმინდელი**. ტექსტი კიმენური რედაქციისაა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

1. ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004 წ., გვ. 135-136.
2. ცენტ რალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 127-128.

ოქროს ანაქუსი, 1817

1446/125

ტიქნიკური აღწერილობა:

80 ფ. ცარიელი ფურცლები – 65v-80r; ზომები: ყდა – 205×162, ქალაღი – 199×158, ტექსტი – 134×116, სისქე – 28, სტრიქონებს შორის მანძილი – 8; არ-შიები: ზედა – 30, ქვედა – 30, მარცხენა – 20, მარჯვენა – 20; მასალა: ქალაღი; მელანი – ყავისფერი, წითელი; ტყავგადაკრული ყავისფერი მუყაოს ყდა, ტვიფრული კიდეები მოვარაყებული ოქროსფრად, ყდას შიგნიდან გამოკრული აქვს ჭრელი ქალაღი; დამწერლობის სახეობა – მხედრული, სათაურები და საზედაო გრაფემები – სინგურით; სტრიქონების რაოდენობა – 16; აღრიცხვა – გვერდობრივი, რვეულებრივი; სულ 9 რვეული; გავტორი – **სამოელ რაბინ იუდიანი** (1r); გადამწერი – მეფის ძე **ბაგრატი** (129r); მთარგმნელი – **დიმიტრი ბაგრატიონი** (4r, 129r); გადანერის ადგილი – **სანკტ-პეტერბურგი** (129r), 1817 წ. (65r); ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (**მოსკოვი**).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

წიგნი სამოელ **რაბინ მორაკანელისა** უპირველესის სინალოლისაგან სჯულის შესაკრებელის **მოძღურის ისაკ რაბინისა** მიმართ, რომელ არს **მორაკანის** ქალაქსა შინა – ღმერთმან დაგიცუას შენ, საყუარელო ძმაო, განაგრძოჰსცა საუკუნო შენი, ვიდრე დასასრულადმდე ტყვეობისა ჩვენისად ... (5v).

ტექსტი შემდეგი თავებისაგან შედგება:

თავი ა, მისთვის, ვითარმედ რაჲსათვის იმყოფებიან ღმრთისა რისხუასა ქუჭში იუდიანნი (6v-8v).

თავი ბ, გამოუცხადებს, ვითარმედ იუდიანნი რომლისამე დიდისა ცოდვისათჳს არიან განთესულებასა შინა და ამხილებს მათ დამარხვასა ჰსჯულისასა (8v-10r).

თავი გ, მისთვის, ვითარმედ დამარხუა სჯულისა იუდიანთაგან არა სათნო არს ღმრთისა ცოდვისა მისთვის, რომელსა შინა არიან იგინი (10v-12r).

თავი დ, მისთვის, ვითარმედ იუდიანნი დაბრმობილან (12r-13r).

თავი ე, მისთვისვე, ვითარმედ იუდიანნი ატყუებენო სხვათა და თვით თავთა თვსთა (13r-16r).

თავი ვ, ვითარისა ცოდვისათვის არიან იუდიანნი ტყვეობასა შინა (16v-17v).

თავი ზ, რამეთუ იესო მართალი ქ(რისტ)იანეთა ღმერთი უსამართლოდ განისყიდა (18r-19v).

თავი ლ, უჩვენებს შემდგომად ქრისტეს სიკუდილისა ვითარისა სახითა შეუდგა წინასწარმეტყველებისამებრ დანიელისაჲსა იუდიანთა განბნევა (20r-21v).

თავი თ, ქრისტეს ორჯელ მოსლვისთვის (22r-23r).

თავი ი, მისთვისვე (23r-25v).

თავი ია, მისთვის, ვითარმედ ქრისტე მეორედ მოსვლასა შინა იქმნების საშინელი მსაჯული (25v-27r).

თავი იბ, ქრისტეს ამაღლებისათვის (27r-29r).

თავი იგ, მისთვისვე (29r-33r).

თავი იდ, იუდიანთა სიბრმისა და ურწმუნოებისათვს (33r-34v).

თავი იე, ვითარ თქუჲს უწინარესვე წინასწარმეტყველთა იუდიანთა სიბრმე და მათი ურწმუნოება ქრისტესი (34v-37r).

თავი ივ, უჩვენებს იუდეანთა უარისყოფასა ურწმუნოებისა მათისათვის და აღრჩევასა წარმართთასა რწმუნებისათვს მათისა (37r-40r).

თავი იზ, მისთვისვე (40r-41v).

თავი იწ, მისთვის, ვითარმედ წარმართნი განცხოველებულნი სარწმუნოებით უბიწოდ იმარხვენ ახალსა ჰსჯულსა (41v-42v).

თავი ით, წინასწარმეტყუჲლთა წილ მოციქულთა აღრჩევისათვის (43r-48r).

თავი კ, იუდიანთა მსხუტრპლისა შეურაცხყოფისათვის და ქრისტიანეთა საიდუმლოსა აღრჩევისათვის (48r-52r).

თავი კა, რამეთუ ღმერთმან შეურაცხ-ჰყო მარხუანი, შაბათობანი და მსხუტრპლნი იუდეანთანი და აღირჩია ქრისტიანეთა (52r-54r).

თავი კბ, სიტყვითა უფლისათა რებეკას მიმართ, დამტკიცდების შეურაცხყოფაჲ სჯულისა შესაკრებელისა და აღრჩევაჲ ეკკლესიისა (54r-v).

თავი კგ, მისთვისვე (55r-v).

თავი კდ, მისთვის კუალად ქრისტიანეთა გალობა ღმერთსა შ[ე]უნყნ-არებიეს (56r-57v).

თავი კე, მისთვის, ვითარმედ იუდიანთა არა აქუსთ მიზეზი განქიქებად ქრისტიანეთა გალობისა (57v-59v).

თავი კვ, უჩუტ[ნ]ებს ღმრთისაგან იუდიანთა განდგომასა (59v-62r).

თავი კზ, ყოველთა ამათ დასამტკიცებელად შემოიყუანების რომელიმე აღ-ყურანისაგან თქმული იესოსა და მარიამ დედისა მისისათვის (62r-65r).

ანდერძები:

1. **მხედრული:** ოქროს ანაქუსი – **სამოელ რაბინ იუდიანისა** მეორედ გამოღებული **საკვებტრებურლსა** შინა შნორინის ნების სტანბასა შინა დაიბეჭდა 1782 წელსა (1r).
2. **მხედრული:** **დიმიტრი ბაგრატიონის** მიერ ნათქვამი:
მე დაუშუტრ ამად, ერთი მწამს სამად
სულად, ძედ, მამად იუდეელთ ვამად (65r).
3. **მხედრული:** **საქართუტლოს** მეფის გიორგის ძემან **ბაგრატმან** გარდ-მოვსნერე წიგნი ესე **სამოელ რაბინის** უპირველესის სინალოდის იუდიანისაგან მინერილი სჯულის შესაკრებელის მოძღურის **ისაკ რაბინის** მიმართ, რომელი ეწოდების წიგნსა ამას „ოქროს ანაქუსი“, მკითხველთ შეცთმის შენდობას მოქენაობ, მწირი **როსიასა** შინა **მეფის ძე ბაგრატ.** ჩემთვის აღვწერე. წუვიწ იპარამთ. თვით **პეტერბურლსა** 1817. 12.10.“ (65r).

ტიქსტიპთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ხელნაწერს თავში დართული აქვს რუსული გამოცემის მიძღვნა ქართული თარგმანით: „უმინდესისა სინოდისა მართებელისა წევრსა, დიდსა უფალსა მაღალ ყოვლად უსამღვდელოს **გაბრიელს** არხიეპისკოპოსს დიდისა ნეოლოროდისა, სანკთპეტერბურხისასა და **წმიდისა სამებისა ალექსანდრე ნევესკის მონასტრის** არხიმანდრიტსა. მას ყოვლად სამღუდელოებას უმონყალეს მწყემს-მთავარსა: მაღალ ყოვლად სამღუდელო მეუფეო, უმონყალესო მწყემს-მთავარო, მივიღე უსახმარესი ჟამი გამოცხადებად თქუწნის მაღალ ყოვლად სამღვდელოების უქვენესად შევრდომისა, გავბედავ განვაშვენო სახელითა თქუწნითა თარგმნილი ჩემ მიერი **სამოელ რაბზინის** სათნო უყოფელად ქრისტესთვის გაჰსჯა [...] **მღუდელ-მონაზონი ვარლამ**“(1v-3r).
2. ხელნაწერს აქვს შესავალი: მკითხველთათვის და რუსული გამოცემის შესავლის თარგმანი დაწერილი მთარგმნელის **დიმიტრი ბაგრატიონის** მიერ (3v-5r).
3. ხელნაწერს ერთვის უცხო სიტყვათა განმარტებები (4v,17v, 26r,30r, 27v,33v, 36v, 37v, 39r, 46v,52v, 54r,57r)

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 128-129.

იოანე სინელის კლემასი, 1906

1446/126

ტიქნიკური აღწერილობა:

91 ფ. ცარიელი გვერდი – 68v; ზომები: ყდა – 265×225, ქალაღი – 260×225, ტექსტი – 200×120, სისქე – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 5; არშიები: ზედა – 30, ქვედა – 30, მარცხენა – 20, მარჯვენა – 85; მასალა: ქალაღი; მელანი – შავი და წითელი; მუყაოს ჭრელი ყდა; დამწერლობის სახეობა – მხედრული; სათაურები და დასაწყისი გრაფემები ასომთავრულით; ტექსტის დასაწყისი შემკულია მარტივი ფერადი თავსამკაულით, საზედაო გრაფემები წითრლი მელნით არის გამოყოფილი და დეკორირებულია; სტრიქონების რაოდენობა – 23/24; აღრიცხვა: გვერდობრივი. გვერდების დანომრვა იწყება 4-დან და სრულდება 78-ზე. ერთგან ჩავარდნაა, გვ.75-ს მოყვება გვ.78; გადამწერი: **მონაზონი ილია [ფანცულაია] (1v, 41v, 35r)**; გადანერის ადგილი: **ათონის მთა, ელია წინასწარმეტყველის ეკვდერი, 1906 წ.**; ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1925 წელს ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა:

1. აკროსტიხები ოცდა ათ აღსავალთათჳს. **იოანესაგან სინელისა**, სამ-ათნი.

გვარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი.
ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწვენილ ხარ;
ესენი თითო თავისაგან ათ მუხლად.
მე **იოანე** დავლექსენ პირის პირად ... (2r).

2. **პეტრე გელათელის იამბიკო (38r) -**

აჰა, შენთაცა დიდო, იქართლეს კუალად,
კიბე ხარისხთა, ცად მყვანთა იოანნი.
თნებისა ლექსთა ქრისტეს ქვესწორ ჟამ რიცხვთა,

შენ სულ სახელმან, შენ ღვწამან ინება რა.
სძლის ყვანა მათი **პეტრესგან** ნერგულისა.

შენიშვნა: მესამე სტრიქონის გასწვრივ მიწერილია „**პეტრე**“.

ბიბლიოგრაფია: კორნელი კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 333-334; ტექსტი გამოცემული: ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, გვ. 394; ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 324.

3. იეზუკიელის იამბიკოები (38v):

1. იძღუნენ საცემნი, ორფევის ხმათ დამხსნელნი ... (38v).
2. ბუნებითა მათ აღძრვათათ ესე აჰა, წამებრ ღვანლთა უფლის ... (38v).
3. ნათელთა შორის უღამოსა მბრწყინავმან ... (38v).

შენიშვნა: სამივე იამბიკოს ავტორია **იეზუკიელი** (XII ს.). პირველი და მეორე იამბიკო ეძღვნება **წმინდა იოანეს**, ხოლო მესამე – **წმ. სვიმონს**. პირველი იამბიკოს გასწვრივ არშიაზე წერია: „**იეზუკილისგან** უბადრუკისა“.

პირველი და მეორე იამბიკო აკროსტიქულია. პირველი იამბიკოს თითოეული სტრიქონი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ხოლო მეორესი – ოთხად.

4. სვიმონ კოპაძე, პოემა

[უსათაურო]

კურთხეულ, ქებულ, დიდებულ არს ღვთაებისა სახელი,
სნეულებისა მტვირთველი, ცოდვათა ჩვენთა აღმხმელი ... (39r-41v).

შენიშვნა: თხზულების ტექსტიდან ჩანს, რომ მისი ავტორია **სიმონ კოპაძე** („მე, მთქმელი **სვიმონ კოპაძე**, ამისი მოქმედ-მშრომელი“, (41r).

5. თარგმანებაჲ სახელთა წმიდათა მოციქულთასა

პეტრე? განმხსნელად, ანუ მცნობელად, ანუ მსმენელად ეწოდა ქრისტესგან **პეტრეს** კეფა, რომელ არს კლდე ... (41v).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თხზული ასოებით რამდენჯერმე არის გამეორებული: „მონაზონი ილია“ (41v).

გადამწერის ანდერძები, მხედრული:

1. წიგნი ესე **იოანესაგან სინელისა** სამ-ათნი. 1869 წელსა, სექტემბრის 2, ოდესაც **სვანეთი**დამ მიწოდებულ ვიქმენ ქ. **თბილისში** საზოგადოებისგან ქრისტიანობის აღმადგინებელისა **კავკასიაში** მოსამზადებლად იკონისტოსისა(!), ერთის პატროსანის ბიბლიოთეკარის **ავექტიქ ენფიანჯიანცის** წიგნთსაცავიდამ გადმოვიწერე ესე კლემასი, ლექსად გარდამოღებული მამისა **იოანე ფილოსოფოსისა პეტრინისა ჭირჭიმელისა (!)** (წყობილსიტყვაობასა შინა მოხსენებულისა), უნდო **მღვდელი ალექსი იოსების ძე ბაქრაძე**.

ესე წიგნი გადმომანწერიან ბატონი **ალექსანდრე ხახანაშვილისთვის მამამან მაკარი**, როგორც იყო **ალექსი მღვდლის** გადმოღებული, 1906 წ. (1v).

2. შენ, სამგზის სანატრელო ღირსო **მამაო იოანე**, მეოხ მეყავ უფლისა წინაშე, ოდეს იგი მოვიდეს დიდებითა თვისითა განსჯად ცხოველთა და მკვდართა. დაინერა მთას შინა ათონისასა, ივერის მონასტრის, წმიდა **ილია წინანარმეტყველის** ეგუტირსა შინა ხელითა გლახაკისა და ცოდვილისა **ილია მონაზონისითა**, დასაბამითგან ჯოიდ (7084), ქრისტეს აქეთ ჩშე (1906). თთვესა მარტსა, ბ (35r).
3. ქრისტე, შემინყალე მე ცოდვილი ესე სულიერით მამით და ხერციელით(!) მშობლებით და ყოვლით ნათესავი(!) ჩემითურთ, მეოხებითა უფოსად(! უფროისად ხომ არ წერია შემოკლებულად) კურთხეულისა დიდებულის დედოფლისა ჩვენისა და მარადის **ქალწულისა მარიამ** დედისა შენისათა და პატივოსნისა ჯვარისათა და ყოველთაწმიდათა შენთათა. ამინ. ამინ. **მონაზონი ილია** (35r).

მინანწერები:

1. *Лествичник* (1r, ცარიელ გვერდზე).
2. ციფრები ჩემი დასმულია შესადარებლად პროზაიკულ თარგმანთან (2r).

ტიქსტიან დაკავშირებული შენიშვნები:

1. როგორც ჩანს, ხელნაწერს გადმოყოლილი აქვს დედნის ანდერძი, რომლის **ავტორი მღვდელი ალექსი ბაქრაძეა**. ახალი ანდერძიდან კი ირკვევა, რომ წინამდებარე ხელნაწერი ვინმე მამა მაკარის ლოცვა-კურთხევით, ალექსანდრე ხახანაშვილისთვის გადმოუწერია ილია მონაზონს 1906 წელს ათონის მთაზე წმინდა ილია წინანარმეტყველის ეკვდერში.

ზოგადი ბიბლიოგრაფია:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1949, გვ. 130.

წმიდა გიორგის წამება, 1848

1446/127

ტიქონოვი ალწერილობა:

